J92202
3

გამოცემა „ᲛᲔᲒᲐᲜᲘ“-ს № 8



მ. გორკი

На днѣ

სურათები

4 მოქმედებად

თარგმანი

ᲑᲔᲒᲚᲐᲠᲐᲡᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲑᲢᲐᲛᲑᲐ „ᲒᲣᲢᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘᲡ“, ოლგისა და სლეპცოვის ქუჩაზე № 1. 1907 წ.

მომძღვენი:

მიხეილ ივანიჩ კოხტილევი, 54 წ. თავშესაფარის პატრონი.
ვასილისა კარპოვნა, ამისი ცოლი, 25 წ.
ნატაშა, ამისი და, 20 წ.
შედვედევი, ამათი ბიძა, პოლიციელი, 50 წ.
ვასკა პეპელი, 28 წ.
კლეშჩი, ანდრეი მიტრიჩ, ზეინკალი, 40 წ.
ანნა, ამისი ცოლი, 30 წ.
ნასტია, 24 წ.
კვაშნია, კუპატებით მოვაპრე ქალი, 40 წლ.
ბუბნოვი, მექუდე, 45 წ.
სატინი, 40 წ.
მსახიობი, 40 წ.
ბარონი, 33 წ.
ლუკა, მოგზაური, 60 წ.
ალიოშკა, შეჩექმე, 20 წლ.
კრივოიზობი,
თათარი, } მეკავენი.

რამდენიმე უსიტყვო და უსახელო მაწანწალა.

პირველი მოქმედება.

სცენა: გამოქვაბულის მსგავსი სარდაფი. სარდაფის თაღს ნალესი ჩამოსცლია და შემკვარტლულია. სცენას მარჯვნით ოთხკუთხიანი ფანჯარა ანათებს. სარდაფის მარჯვენა კუთხე პეპელის პატარა ფიცრულ ოთახს უპირავს, რომლის კართანაც ბუბნოვის ტახტი სდგას. მარცხენა კუთხეში—დიდი რუსული ფეჩი; მარცხნითვე, ქვის კედელში,—სამზარეულოში გასასვლელი კარი, სადაც ცხოვრობენ: **ძვაშნია**, **ნასტია** და **ბარონი.** კედელთან, ფეჩსა და კარებს შუა,—დიდი კრავოტი, რომელსაც წინ ჭუჭყიანი ჩითის ფარდა აქვს ჩამოფარებული. კედლების წინ ტახტებია ჩამომწკრივებული. ავანსცენის მახლობლათ, მარცხენა კედელთან, კუნძი ძევს; შიგ ჭახრაკი და გრდემლია ჩასმული. ცოტა ქვეით, ამ გვარსავე კუნძთან, **ალეშკა** ზის და დაძველებულ კლიტეებს გასაღებებს აზომავს. მის მახლობლათ ჰყრია: ორი ბღუჯა მავთულის რგოლზე ასხმული სხვა და სხვანაირი გასაღებები, დაჭეჭყილი თუნუქის სამოვარი, ჩაქუჩი და ქლიბები. სადგომის შუა დიდი მაგიდა სდგას ორი სკამით და ერთი ტაბურეტკით. ყველა ესენი ჭუჭყიანი და შეუღებავია. **ძვაშნია** მაგიდასთან ჩაის აკეთებს; **ბარონი** შავ პურს იღეჭება. **ნასტია** ტაბურეტკაზე ზის და ნახევრათ მაგიდაზე გადახრილი, აწეწილ წიგნსა კითხულობს. ფარდის უკან, კრავოტზე მწოლარე **ანნა** ახველებს; ტახტზე მჯდომარე **ბუბნოვს** მუხლებით ქუდის ყალიბი უპირავს, ზედ დარღვეულ შალვარს აზომავს და ფიქრობს,—როგორ გამოიყვანოს ქუდი. მის მახლობლათ გაფანტულია: ძველი ქუდიდან გამოგლეჯილი კარდონები, ჩვრები და ლიფის ნაგლეჯები. ახლად გამოღვიძებული **სატინი** ტახტზე წევს და ხვრინავს. **მსახიობი** ფეჩზე უჩინრად რაღაცას ცოდვილობს და ახველებს.

გაზაფხულის დასაწყისია; დილა.

ბარონი. მერე?!

კვაშნია. არა, ჩემო კარგო, მომწყდი თავიდან... მაგ-გვარს ნურაფერს ნუ გამაგონებ! ერთხელ გამოვცადე და მეორეთ, ასი მოხრაკული კიბოც რომ მომცენ, არ გავთხოვდები.

ბუბნოვი. (სატინს). შენ რაღას ლრუტუნებ? (სატინი ხვრინავს).

კვაშნია. მე, თავისუფალი ქალი, ჩემივე თავის ბატონ-პატრონი, რომ მამა-კაცის მონა გავხდე და იმის ბაშფორთ-ში ჩავეწერო,—არასოდეს არ მოხდება... არასოდეს! ამერი-კის პრინციც, რომ მომიყვანონ, მაინც ფიქრათ არ მომივა მისი შერთვა!..

კლეშჩი. სტყუი!

კვაშნია. რაოო?

კლეშჩი. სტყუი-მეთქი! აბრამკას მისთხოვდები!

ბარონი. (ნასტიას წიგნს გამოსტაცებს და სათაურს კითხულობს). „უბედური სიყვარული“... (გადიხარხარებს).

ნასტია. (ხელს გაიწვდის). ოიტა! მომეცი-მეთქი... კარ-გია... ნუ მასხარობ!

ბარონი. (უყურებს ნასტიას და წიგნს ჰაერზე აფრიალებს).

კვაშნია. (კლეშჩის). შენ ეი! თხის გოგრავ! ვინა სტყუ-ის, ჰა?! როგორ მიბედავ მაგნაირ თავხედ სიტყვებს!!

ბარონი. (ნასტიას თავზე წიგნს დაარტყავს). აი, შე სულელო, შენა!

ნასტია. (წიგნს გამოსტაცებს). მომეცი!

კლეშჩი. დიდი ვინმე ბრძანდები... მაგრამ აბრამკას კი უნდა მისთხოვდე... იმას ელი...

კვაშნია. რასაკვირველია, დიახ, როგორ არა! აგერ, ერთი შენ არ მიაბრძანებ შენ ცოლს სამარისაკენ და...

კლეშჩი. ხმა ჩაიწყვიტე, შე ბებერო ძაღლო, შენა!... ეგ შენი საქმე არ არის!

კვაშნია. ჰოოო, გემწარა განა სიმართლე?!

ბარონი. აი, გაიმართა... ნასტია, სადა ხარ?

ნასტია. (თავ-ჩაღუნული). ეჰ, დამეხსენ!

ანნა. (ფარდიდან თავს გამოჰყოფს). გათენდა და დაიწყეს... ღვთის გულისათვის ნუ ჰყვირით... ნუ ილაძღებით...

კლეშჩი. აწუწუნდა!

ანნა. ღმერთო, ყოველ დღე, ყოველ ცისმარე დღე... სიკვდილი მაინც მაღირსეთ მოსვენებით.

ბუბნოვი. ხმაურობა სიკვდილს არას დაუშლის.

კვაშნია. (ანნასთან მივა). შე საცოდავო, მიკვირს, როგორ სცხოვრობდი ამ ბოროტებით აღსავსე ადამიანთან!

ანნა. დაეხსენ. . თავი დაანებე...

კვაშნია. დიდება შენს მოთმინებას... როგორა ხარ, უკეთა გრძნობ თავს?

ბარონი. კვაშნია! გაზრისკენ... დროა!

კვაშნია. ეხლავე წავალთ! (ანნას). გინდა ცხელ-ცხელ კუპატებს დაგიტოვებ?

ანნა. არ მინდა... გმადლობ... რა საჭიროა ჩემთვის ჭამა?

კვაშნია. ჭამე-მეთქი! ცხელი საჭელი გარგებს... ლამბაქზე დაგიტოვებ და როდესაც მოგინდეს, ჭამე! (ბარონს). აბა, ვაჟ-ბატონო, წავიდეთ! (კლეშჩის). ვუუ, ალ-ქაჯი! (გადის სამზარეულოში).

ანნა. (ახველებს). ღმერთო...

ბარონი. (ნასტიას ოდნავ კისერში წკიპურტს წაარტყავს). გადააგდე, შე სულელო!

ნასტია. (ბუზღუნით). მომწყდი თავიდან... შენ რას გიშავებ... (ბარონი სტვენით გადის სამზარეულოში—კვაშნიასთან).

სატინი. (წამოიწევს ტახტზე). ნეტა—ვინა მცემა გუშინ?

ბუბნოვი. განა შენთვის სულ ერთი არ არის?

სატინი. ეგ ეგრეა... მაგრამ რათა მცემეს?

ბუბნოვი. ქაღალდი ითამაშე?

სატინი. ვითამაშე....

ბუბნოვი. მაშ მაგიტომ დაეზელიხართ!

სატინი. არამზადები!

მსახიობი. (ფეჩიდან თავს გადმოჰყოფს). შენ, მე ვიცი, ერთხელ მოგკლავენ!

სატინი. ბრიყვი ხარ!

მსახიობი. რათა?

სატინი. იმიტომ, რომ ორჯელ მოკვლა არ შეიძლება.

მსახიობი. (სიჩუმის შემდეგ). არ მესმის, რატომ არ შეიძლება?

კლეშჩი. გირჩევნია ჩამობრძანდე და ოთახი დაალაგო... ბევრს ნუ ინაზები.

მსახიობი. ეგ შენი საქმე არ არის.

კლეშჩი. აი ვასილისა მოვა და ის დაგანახვებს ვისი საქმეც არის.

მსახიობი. მომწყდით თავიდან, შენცა და შენი ვასილისაც... დღეს ბარონმა უნდა დაალაგოს ოთახი... იმისი ჯერია... ბარონ!

ბარონი. (გამოდის სამზარეულოდან). მე არა მცალიან... კვაშნიას უნდა წავყვე ბაზარში.

მსახიობი. ეგ ჩემი საქმე არ არის... ჯერ ოთახი დაალაგე და მერე თუ გინდა ჯანდაბაში წადი... მე სხვების მაგიერ არ ვიმუშავებ!

ბარონი. თავში ქვა გიხლია თუ არ იმუშავებ... ნასტია დაჰგვის... შენ ეი! „უბედურო სიყვარულო!“ გაიღვიძე! (წიგნს წაართმევს).

ნასტია. (წამოდგება). რა გინდა ჩემგან! მომეცი აქა... გადარეულო! (დაცინვით). ვითომ ესეც ბატონია!

ბარონი. (წიგნს აძლევს). ნასტია, მოდი ჩემს მაგიერ შენ დაგავე... დაჰგვი?

ნასტია. (მიდის სამზარეულოსაკენ). დიახ, როგორ არა! (გადის).

კვაშნია. (სამზარეულოს კარებიდან—ბარონს). შენ ეი! წავიდეთ! უშენოთაც დალაგდება ოთახი! (ბარონი გადის. კვაშნია მსახიობს). რომ გეუბნებიან, უნდა დაალაგო... წელი მოგწყდება?!

მსახიობი. სულ... სულ მე... არ მესმის... მწ...

ბარონი. (სამზარეულოდან გამოაქვს წყლის საზიდ ხეზე დაკიდებული კალათები. კალათებში პირ-მოკრული ქოთნებია). დღეს როგორღაც მძიმეთ მეჩვენება.

სატინი. რა საჭირო იყო შენი ბარონათ დაბადება?!

კვაშნია. (მსახიობს). უეჭველათ დაგავე, გესმის! (წინ ბარონს წაიმძღვარებს და დერეფნისაკენ გადიან).

მსახიობი. (ფეჩიდან ჩამოდის). მტვერი მწყენს! (ამაყათ). ორ-

განიზმი მოწამლული მაქვს ოლკოლოლით! (ტახტზე ჩამოჯდება და ფიქრში წავა).

სატინი. ორგანიზმი... ორგანონი...

ანნა. ანდრეი მიტრიჩ!

კლეშჩი. რა გინდა?

ანნა. კვაშნიამ იქ კუპატები დამიტოვა... წადი, ჭამე!

კლეშჩი. შენ არ გინდა?

ანნა. არა. რა საჭიროა ჩემთვის საჭმელი?... შენ მუშაობ და საჭმელი შენთვისაა საჭირო...

კლეშჩი. გეშინიან? ყოჩაღათ იყავ!.. შეიძლება ჯერ კიდევ...

ანნა. წადი... ჭამე... ოჰ, რა ცუდათა ვარ... როგორცა სჩანს, მალე...

კლეშჩი. (ჩამოეკლება) არა გიშავს რა... მორჩები. (გადის სამზარეულოში).

მსახიოლბი. (ერთბაშათ, ხმა-მაღლა). გუშინ სამკურნალოში ექიმმა მითხრა: თქვენი ორგანიზმი მთლად ოლკოლოლით არის მოწამლულიო!...

სატინი. (ღიმილით). ორგანონი...

მსახიოლბი. (დაყინებით). ორგანონი კი არა, ორ-გა-ნი-ზმი-

სატინი. სიკამბრ!

მსახიოლბი. (ხელს ჩაიქნევს). ეჰჰ, რევებს მიჰქარავ... მე მართალს გეუბნები... დიახ, თუ ჩემი ორგანიზმი მოწამლულია... იატაკის დაგვა არ შემიძლია... მტვერი მაწყუნს!

სატინი. მაკრობიოტიკა! ხა!

ბუბნოვი. შენ რაღას მიედ-მოედები?!

სატინი. სიტყვებს... აი კიდევ—ტრანს-სკენდანტალიური!

ბუბნოვი. ეგ რაღაა?

სატინი. აღარ მახსოვს. . დამავიწყდა!

ბუბნოვი. მაშ რაღათ ამბობ?

სატინი. ისე... მომბეზრდა, ჩემო ძმაო, ჩვეულებრივი, ადამიანური სიტყვები... ყველა ჩვენი სიტყვები, შემძაგდა. თითო მათგანი; ვგონებ ათასჯერა მაქვს გაგონილი.

მსახიობი. დრამა „ჰამლეტ“-ში ნათქვამია: სიტყვებს, სიტყვებს, სიტყვებს! კარგი რამ არის! მე ამ დრამაში მესაფლავეს ვთამაშობდი.

კლეშჩი. (სამზარეულოდან გამოდის). ცოცხით როდისღა ითამაშებ?

მსახიობი. ეგ შენი საქმე არ არის! (გულზე ხელს დაირტყავს). „ოჰ, ოფელია! მომიხსენიე მეც შენს ლოცვებში!“ (სცენის გარედან მოისმის ყრუ ხმაურობა, ყვირილი და პოლიციელის სტვენა. კლეშჩი მიუჯდება სამუშაოს და რკინასა ჰქლიბავს).

სატინი. მიყვარს იშვიათი, ახალი სიტყვები... პატარაობისას, როდესაც ტელეგრაფში ვმსახურობდი... ძლიერ ბევრი წიგნები გადავიკითხე...

ბუბნოვი. განა შენ ტელეგრაფისტათაც იყავი?

სატინი. ვიყავი... ქვეყანაზე ბევრი მშვენიერი წიგნი მოიპოვება, საღაც ადამიანი სასურველ სიტყვებს ამოიკითხავს... მე ერთ დროს განათლებული კაცი ვიყავი... შენ ეს იცი?

ბუბნოვი. ჰო, ვიცი... მერე რა მოხდა?! ყური დამიგდე... მე ქურქჩი ვიყავი—მებეწვე... საკუთარი ქარხანის პატრონი... საღებავისაგან ისე ყვითლათა მქონდა ხელები შეღებილი—ბეწვსა ვღებავდი ხოლმე—ისე ყვითლათ, რომ... იდაყვამდის... ასე მეგონა, სიკვდილამდის ვერ გადავირეცხავ და სამარეში ასე, ყვითელი ხელებით ჩამასვენებენ მეთქი... მაგრამ აი ის ხელები... აბა შეხედე .. ჭუჭყიანია და სხვა არაფერი... დიახ!

სატინი მერე?

ბუბნოვი. მერე—არაფერი!

სატინი. ეგ რაზე სთქვი?

ბუბნოვი. ისე... გასაგებათ... ასე გამოდის, რომ გარედან რაც უნდა აჭრელდე—სულ ტყუილია... გახუნდები!

სატინი. ოჰჰ, ძვლები მტკივა!

მსახიობი. (მუხლებზე ხელ-შემოხვეული ზის). დიახ, განათლება სულ ტყუილია... საქმე—ნიჭია! ერთ მსახიობს ვიცნობდი, რომელიც როლს ჩათვლითა კითხულობდა, მაგრამ

პიესის გმირებს ისე თამაშობდა, რომ ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა! საქმე—ნიჭია!

სატინი. ბუბნოვ, ერთი შაური მამე!

ბუბნოვი. ორი კაპეიკის მეტი არა მაქვს.

მსახიობი. გეუბნებით, საქმე ნიჭია, ნიჭი! აი რა არის საჭირო ყველა გმირისათვის... ნიჭი—შენივე თავის რწმენაა!..

სატინი. ოღონდ ერთი შაური მომეცი და დავიჯერებ, რომ შენა ხარ: ნიჭიერიც, გმირიც, ვეშაპიც და კერძო ბოქაულიც... კლეშჩ, შაური მაძე.

კლეშჩი. მომშორდი... შენისთანა ოხრები ბევრნი ყრიან აქა...

სატინი. რაღას ილანძღები... განა არ ვიცი, რომ ერთი კაპეიკიც არა გაქვს!

ანნა. ანდრეი მიტრიჩ... სული მეხუთება.

კლეშჩი. მერე, მე რა გიყო?

ბუბნოვი. დერეფნის კარი გააღე.

კლეშჩი. ძალიან კარგი... შენ ტახტზე ხარ გამოჭიმული, მე იატაკზე ვზივარ... შევცვალოთ ადგილები და მერე გავაღებ დერეფნის კარებს,.. თავათ ისეც გაციებული ვარ.

ბუბნოვი. (მშვიდად). ჩემთვის საჭირო არ არის კარების გაღება... შენი ცოლი თხოულობს.

კლეშჩი. (შეკმუხვნით). მეც ბევრ რამეს ვთხოულობ, მაგრამ არ მაძლევენ.

სატინი. ოჰ, თავი მიბეჟეს... ვერ გამიგია, ხალხი რათა სცემს ერთმანეთს თავში...

ბუბნოვი. თავში? მერე ფეხებში კი დააკლებენ ხოლმე? (აღგება). წავიდე, ძაფი ვიყიდო... დღეს როკორღაც არა სჩანან ჩვენი სახლის პატრონები... თითქოს გაგუდულანო... (გადის).

(ანნა ახველებს, სატინი თავქვეშ ხელებ ამოდებული უძრავათა წევს).

მსახიობი. (ნაღვლიანათ ათვალიერებს მის გარემოს... ანნასთან მივა). რა, ცუდათა ხარ?

ანნა. სული მეხუთება.

მსახიობი. თუ გინდა დერეფანში გაგიყვან? წამოდექი!

(შველის ადგომას. მხრებზე რაღაც დაგლეჯილ ტანთ-საცმელს წამოა-სხამს და დერეფნისაკენ მიჰყავს). ყოჩაღათ იყავ... ნუ გეშინიან... აი, მე თითონაც ავადმყოფი ვარ... ოლოლოლით მოწამ-ლული ავადმყოფი.....

კოსტილევი. (კარებიდან). საით, სასეირნოთ? ოჰო, ძლი-ერ უხდებით ერთმანეთს.

მსახიობი. გზა უყავი... ხომ ხედავ, ავადმყოფები მო-დიან...

კოსტილევი. ინებეთ... მობრძანდით... (ცხვირით რაღა-ცას დუდუნებს—მღერის. ეკვით ათვალიერებს სადგომს და თავ-მარცხნივ გადახრილს პეპელის ოთახისაკენ დაუცქვეტია ყურები. კლეშჩი გაცხარე-ბული აჩხარუნებს გასაღებებს, ჰქლიბავს და ქვეშ ქვეშ შესცქერის კოს-ტილევს). აფხაკუნებ?

კლეშჩი. რაო?

კოსტილევი. აფხაკუნებ-მეთქი? (პაუზა). ჰმ... აა... ის... რა უნდა მეკითხნა... (სწრაფათ და ხმა მაღლა). ჩემი ცოლი აქ არა ყოფილა?

კლეშჩი. არ მინახავს.

კოსტილევი. (ფრთხილათ მიუახლოვდება პეპელის ოთახის კა-რებს). თვეში ორ მანეთად რამოდენი ადგილი ეიჭირავს... კრაოტი... ეს ადგილი... აი, სადაცა ზიხარ... დიახ... თითქ-მის ხუთი მანეთის ადგილს აბანდებ... ღმერთმანი... უნდა ათი შაურიც წამოგადო კისერზე.

კლეშჩი. ბარემ საბელი წამომდე და დამახრჩე! დღეს თუ ხვალ ჩაძაღლდები და მაინც სულ ათ შაურიანები გელანდება?

კოსტილევი. რათ დაგახრჩო? მაგითი ვის რას შევმა-ტებ? ღმერთი გფარვიდეს! იცოცხლე, იცხოვრე და... ათ შა-ურს კი წამოგადებ კისერზე... ლამპარისთვის ზეთს ვიყიდი... ხატს ავუნთებ და ამით შენს ცოდვებსაც შევასუმბუქებ და ჩემსასაც... შენს ცოდვებზე ხომ შენ არასოდეს არა ფიქრობ. ეჰ, ანდრიუშა! ბოროტი კაცი ხარ! აი, შენის ბოროტებით ცოლიც დააქლეკე! არავის უყვარხარ! პატივს არავინ არა გცემს... დიახ... ხელობაც ცუდი გაქვს... ყველას თავს აბე-ზრებ... ზიხარ და მთელი დღე: ფხიკ-ფხაკ! ფხიკ ფხაკ!

კლეშჩი. (ღრიალებს). რისთვის მოხველ... რომ მომწამ-ლო და მოკშხამო განა? (სატინი მაგრათა ხვრინავს).

კოსტილევი. (შემკრთალი). ოხ, ღმერთო ჩემო!

მსახიობი (შემოდის). ავადმყოფი დერეფანში გავიყვანე და თბილათ დავსვი.

კოსტილევი. აი ეგ კეთილი საქმეა, ძამიავ... სამაგიე-როს ღმერთი გადაგიხდის.

მსახიობი. როდის? სადა?

კოსტილევი. საიქიოს, ჩემო ძამიავ, საიქიოს... ყოვე-ლივე ჩვენი მოქმედება იქ იწერება...

მსახიობი. საიქიოს თავი დაანებე და მოდი აქვე და-მაჯილდოვე ..

კოსტილევი. მე როგორ დაგაჯილდოვო?

მსახიობი. ისე... ნახევარი ვალი ჩამომათალე...

კოსტილევი. ხე, ხე, ხე! რა ხუმარა ხარ! ადამიანის კეთილი გული განა ფულთან შესადარებელია? კეთილი საქ-მე აღემატება ყოველსავე დიდებას... მაშასადამე შენი ვალი, ვალათ დარჩება... და მომცემ კიდევაც... ჩემებრ მოხუცს, უსასყიდლოთ უნდა აღმოუჩინო სიკეთე...

მსახიობი. რა გაქნილი ხარ, ბებერო!! (კლეშჩი დერეფან-ში გადის).

კოსტილევი. (სატინ-). ოჰო, გაიქცა ფხაკუნა?! მე მაგას არ ვუყვარვარ..

სატინი. შენ ეშმაკის მეტს არავის არ უყვარხარ!..

კოსტილევი. (ჩაიცინებს). რა საძაგელი ენა გაქვს... მე კი თქვენ ყველანი მიყვარხართ... მე მესმის, რომ თქვენა ხართ ბედისაგან დევნილნი, ღვთის ამარაა დატოვებულნი ჩემნი ძმანი. (უცბათ). ვასკა შინ არის?

სატინი. მიდი, ნახე!

კოსტილევი. (პეპელის ოთახის კარს არახუნებს). ვასია! (მსახი-ობი სამზარეულოში შესავალ კარიდან გამოჩნდება. რაღაცას ღეჭავს)).

პეპელი. ვინ არის?

კოსტილევი. მე ვარ, ვასია, მე!

პეპელი. რა გინდა?

კოსტილევი. (უკან დაიწევს). გაიღე.

სატინი. (თავი(თვის). კარებს გაუღებს და ცოლი იქ დახვდება. (მსახიობი წაიფრუტუნებს).

კოსტილევი. (აღშფოთებული, დაბალის ხმით) რაო?

სატინი. მე მეუბნები რასმე?

კოსტილევი. წელან რა სთქვი?

სატინი. არაფერი... ისე... ჩემთვის...

კოსტილევი. შენ ეი! ზომიერათ იხუმრე თორემა... (ძლიერათ არახუნებს კარს). ვასილი!

პეპელი. (კარს აღებს). რა არის, რა თავს გვაბეზრებ?

კოსტილევი. (ოთახში შეიხედავს). მე... ვასია.. იცი...

პეპელი. ფული მოიტანე?

კოსტილევი. ის... რა ჰქვიან... შენთან პატარა საქმე მაქვს...

პეპელი. ფული მოიტანე მეთქი?

კოსტილევი. რა ფული... მოიცა...

პეპელი. საათის ფული... შვიდი მანეთი... აბა!

კოსტილევი. რომელი საათი?.. შენ ხომ...

პეპელი. შენ ეი! მიფრთხილდი! გუშინ, მოწმების თანადასწრებით, საათი მოგყიდე თუმნათ... სამი მანეთის მეტი არ მოგიცია... შვიდიც მანეთიც მერგება... მოიტა! რა აქეთ-იქით აცეცებ თვალებსა? დაეთრევა, ხალხს აწუხებს და თავის საქმისა კი ვერა გაუგიარა!

კოსტილევი. სსს... მოიცა, ვასია... ნუ ცხარობ... ის საათი...

სატინი. მოპარულია...

კოსტილევი. (სასტიკათ). მე ნაქურდალს არაფერს არ ვიღებ... შენ როგორ შეგიძლიან...

პეპელი. (მხარზე ხელს მოჰკიდებს). რატომ არ მომასვენებ! რა გინდა ჩემგან?!

კოსტილევი. ااا... არაფერი... თუ კი შენ ეგრე... მე წავალ...

პეპელი. წადი, ფული პოიტანე!

კოსტილევი. ოჰ, ღმერთო, რა ამაყი ხალხია!.. (გადის].

მსახიობი. ნამდვილი კომედია იყო!

კლეშჩი. (ღრიალებს). რისთვის მოხველ... რომ მომწამლო და მოეშხამო განა? (სატინი მაგრათა ხვრინავს).

კოსტილევი. (შემკრთალი). ოხ, ღმერთო ჩემო!

მსახიობი (შემოდის). ავადმყოფი დერეფანში გავიყვანე და თბილათ დავსვი.

კოსტილევი. აი ეგ კეთილი საქმეა, ძამიავ... სამაგიეროს ღმერთი გადაგიხდის.

მსახიობი. როდის? სადა?

კოსტილევი. საიქიოს, ჩემო ძამიავ, საიქიოს... ყოველივე ჩვენი მოქმედება იქ იწერება...

მსახიობი. საიქიოს თავი დაანებე და მოდი აქვე დამაჯილდოვე ..

კოსტილევი. მე როგორ დაგაჯილდოვო?

მსახიობი. ისე... ნახევარი ვალი ჩამომათალე...

კოსტილევი. ხე, ხე, ხე! რა ხუმარა ხარ! ადამიანის კეთილი გული განა ფულთან შესადარებელია? კეთილი საქმე აღემატება ყოველსავე დიდებას... მაშასადამე შენი ვალი, ვალათ დარჩება... და მომცემ კიდევაც... ჩემებრ მოხუცს, უსასყიდლოთ უნდა აღმოუჩინო სიკეთე...

მსახიობი. რა გაქნილი ხარ, ბებერო!! (კლეშჩი დერეფანში გადის).

კოსტილევი. (სატინ.). ოჰო, გაიქცა ფხაკუნა?! მე მაგას არ ვუყვარვარ..

სატინი. შენ ეშმაკის მეტს არავის არ უყვარხარ!..

კოსტილევი. (ჩაიცინებს). რა საძაგელი ენა გაქვს... მე კი თქვენ ყველანი მიყვარხართ... მე მესმის, რომ თქვენა ხართ ბედისაგან დევნილნი, ღვთის ამარათ დატოვებულნი ჩემნი ძმანი. (უცბათ). ვასკა შინ არის?

სატინი. მიდი, ნახე!

კოსტილევი. (პეპელის ოთახის კარს არახუნებს). ვასია! (მსახიობი სამზარეულოში შესავალ კარიდან გამოჩნდება. რაღაცას ღეკავს)).

პეპელი. ვინ არის?

კოსტილევი. მე ვარ, ვასია, მე!

პეპელი. რა გინდა?

კოსტილევი. (უკან დაიწევს). გაიღე.

სატინი. (თავი(თვის). კარებს გაუღებს და ცოლი იქ დახვდება. (მსახიობი წაიფრუტუნებს).

კოსტილევი. (აღშფოთებული, დაბალის ხმით) რაო?

სატინი. მე მეუბნები რასმე?

კოსტილევი. წელან რა სთქვი?

სატინი. არაფერი... ისე... ჩემთვის...

კოსტილევი. შენ ეი! ზომიერათ იხუმრე თორემა... (ძლიერათ არახუნებს კარს). ვასილი!

პეპელი. (კარს აღებს). რა არის, რა თავს გვაბეზრებ?

კოსტილევი. (ოთახში შეიხედავს). მე... ვასია.. იცი...

პეპელი. ფული მოიტანე?

კოსტილევი. ის... რა ჰქვიან... შენთან პატარა საქმე მაქვს...

პეპელი. ფული მოიტანე მეთქი?

კოსტილევი. რა ფული... მოიცა...

პეპელი. საათის ფული... შვიდი მანეთი... აბა!

კოსტილევი. რომელი საათი?.. შენ ხომ...

პეპელი. შენ ეი! მიფრთხილდი! გუშინ, მოწმების თანადასწრებით, საათი მოგყიდე თუმნათ... სამი მანეთის მეტი არ მოგიცია... შვიდიც მანეთიც მერგება... მოიტა! რა აქეთ-იქით აცეცებ თვალებსა? დაეთრევა, ხალხს აწუხებს და თავის საქმისა კი ვერა გაუგიარა!

კოსტილევი. სსს... მოიცა, ვასია... ნუ ცხაროობ... ის საათი...

სატინი. მოპარულია...

კოსტილევი (სასტიკათ). მე ნაქურდალს არაფერს არ ვიღებ... შენ როგორ შეგიძლიან...

პეპელი. (მხარზე ხელს მოჰკიდებს). რატომ არ მომასვენებ! რა გინდა ჩემგან?!

კოსტილევი. ააა... არაფერი... თუ კი შენ ეგრე... მე წავალ...

პეპელი. წადი, ფული პოიტანე!

კოსტილევი. ოჰ, ღმერთო, რა ამაყი ხალხია!.. (გადის].

მსახიობი. ნამდვილი კომედია იყო!

სატინი. აი ეგრე... მომწონს!

პეპელი. რას დაეთრევა აქა?

სატინი. არ იცი? ცოლს ეძებს... შენ ერთი მაგას რიგიანათ ჯამოუძებნე გვერდებში...

პეპელი. მაგისთანა ბილწისათვის სწორეთ სიცოცხლეს მოვიწამლავ!

სატინი. შენც სხვა გზით მოუარე. მერე ვასილისაზე გადიწერე ჯვარი და გახდები ჩვენი სახლის პატრონი.

პეპელი. მადლობას მოგახსენებთ! მე ისეთი კეთილი გული მაქვს, რომ მაშინ, დარწმუნებული ვარ, ჩემი სახლკარიანათ არაყზე დამაგირავებთ. (ტახტზე ჩამოჯდება)- ძილი დამიფრთხო მაგ გადამლრძვალმა ქოფაკმა. მერე სიზმარში ვიყავი: ვითომ თევზებს ვიჭერდი, ვითომ უშველებელი თევზი მოხვდა ჩანგალს... იმ გვარი თევზი სიზმარში თუ მოეჩვენება ადამიანს! ვეწევი ჩემსკენ ანკესით და მეშინიან ძუა არ გაწყდეს. დავემზადე და ვფიქრობ—აი ეხლა კი...

სატინი. ეგ თევზი კი არა, ვასილისა იქნებოდა...

მსახიობი. ვასილისა დიდი ხანია რაც დაიჭირა...

პეპელი. (გულ-მოსული). მომშორდით! ჯანდაბამდის გზა გქონიათ თქვენცა და იმასაც!

ქლეშჩი. (დერეფნიდან შემოდის). რა საშინელი სიცივეა!

მსახიობი. რატომ ანნას არ შემოიყვან?.. ხომ გაიყინა...

ქლეშჩი. ნატაშამ წაიყვანა თავისთან—სამზარეულოში.

მსახიობი. ის ბებერი არ დააყენებს იქა...

ქლეშჩი. (მიუჯდება სამუშაოს). მაშინ ნატაშა მოიყვანს.

სატინი. ვასილი, ერთი შაური მამე!

მსახსობი. (სატინს). იიიი!.. შაური! ვასია, ორი შაური მოგვცე?

პეპელი. ჩქარა მივცე, ვიდრე მანეთი არ უთხოვნიათ... აჰაათ!

სატინი. გიბლარტარ! ქურდებზე კარგი ხალხი, ქვეყანაზე არავინ არ არის!

ქლეშჩი. (შეკმუხვნილი). ისინი ადვილათ შოულობენ ფულსა... უშრომლათ.

სატინი. განა ვისაც ფული აქვს, შრომითა აქვს შეძენილი? ფულს ბევრი შოულობს ადვილათ და ცოტაა ისეთი, რომ არ აღმერთებდეს! იმუშაევო! ისე მოაწყე საქმე, რომ მუშაობა სიამოვნება იყოს... და მაშინ შეიძლება ვიმუშაო... დიახ, შეიძლება! თავისუფალი შრომა-სიცოცხლეა და მონური კი — სიკვდილი! (მსახიობს). აბა, სარდანაპალ! მივდივართ?!

მსახიობი. მივდივართ, ნაბუქოდონოსორ, მივდივართ! ისე დავითრო, როგორც ორმოცი ათასი ლოთი! (გადის).

პეპელი. (ამთქნარებს). ცოლი როგორა გყავს?

კლეშჩი. ეჰ, ეტყობა, ჩქარა... (პაუზა).

პეპელი. ამაოთ აფხაკუნებ მაგ ქლიბსა!

კლეშჩი. მაშ რა გავაკეთო?

პეპელი. არაფერი.

კლეშჩი. მაშ როგორ ვიცხოვრო?

პეპელი. როგორა ცხოვრობს ხალხი?

კლეშჩი. ვინ ხალხი? ესენი? განა ეგენი ადამიანები არიან?! მე მრცხვენიან მაგათი შეხედვის... მუშა კაცი ვარ... ბავშვობიდანვე შრომას შეჩვეული... შენა გგონია, ამ უბედურებას თავს ვერ დავახწევ? წავალ... ტყავს გავიძრობ და აქაურობას კი მოვშორდები... აი, დაიცა... მოკვდება ჩემი ცოლი... ექვსი თვეა აქა ვცხოვრობ და ეს ექვსი თვე, ექვს წლათ მეჩვენება.

პეპელი. სცდები, აქ შენზე ნაკლები არავინ არ არის!

კლეშჩი. ცხოვრობენ უსინიდისოთ, უპატიოსნოთ.

პეპელი. (გულ-ცივათ). მერე რა საჭიროა სინიდისი და პატიოსნება?— განა ან ერთსა და ან მეორეს ფეხ-საცმელათ გამოიყენებ? სინიდისი და პატიოსნება იმათთვის არის საჭირო, რომელთაც უფლება და ძალა აქვთ...

ბუბნოვი. (შეშფოთდის). ვუუ-ვუ... გავიყინე!

პეპელი. ბუბნოვ, სინიდისი გაქვს?

ბუბნოვი. რაო, სინიდისი?

პეპელი. ჰო.

ბუბნოვი. რათ მინდა სინიდისი... მე ხომ მდიდარი არა ვარ.

პეპელი. მეც იმას ვამბობ, რომ სინიდისი და პატიოს ნება, მდიდრებისთვის არის-მეთქი საჭირო... კლეშჩი კი ჩვენ გვლანძღავს: სინიდისი არა გაქვთო!

ბუბნოვი. რა, უნდა ესესხნა?

პეპელი. ამას თავისიც ბევრი აქვს ..

ბუბნოვი. მაშ ალბათ ჰყიდი? არა, ჩემო ძმაო, აქ მაგის მუშტარს ვერ იშოვი... აი, დამტვრეული კარდონის ნაჭრები, რომ გქონოდა, იმას კი ვიყიდდი... მხოლოთ ნისიათ!

პეპელი. (დარიგებით). სულელი ხარ, ჩემო ანდრიუშა... შენ სატინს და ბარონს მოელაპარაკე სინდისის შესახებ... ნახე რას გეტყვიან!

კლეშჩი. მე იმათთან სალაპარაკო არა მაქვს რა.

პეპელი. მართალია ისინი ლოთები არიან... მაგრამ შენზე მეტი ჭკვა აქვთ.

ბუბნოვი. ვინც ლოთობს და ჭკვას პატრონობს, ის ორ საქმესა ბატონობს.

პეპელი. სატინი ამბობს: ყოველი კაცი სინიდისიერ მეზობელს ეძებს, მაგრამ ამაოთ, სინიდისი ყველას მეტ ბარგათ მიაჩნიაო! მართლაც ასეა! (შემოდიან ნატაშა და ლუკა. ლუკას ხელში ჯოხი უჭირავს, მხრებზე გუდა წამოუდვია და ქამარზე ჩაინიკი და პატარა ქვაბი ჰკიდია).

ლუკა. ჩემი სალამი პატიოსან ხალხს!

პეპელი. (ულვაშების გრეხით). ოჰო, ნატაშა!

ბუბნოვი (ლუკას) პატიოსნება შარშანწინ გაზაფხულზე შემომაცვდა.

ნატაშა. აი, ახალი მდგმური მოგიყვანეთ!

ლუკა. ჩემთვის სულ ერთია... მე გაიძვერა, ავაზაკი ხალხიც მიყვარს... ჩემი აზრით,—ყველა რწყილი ერთნაირია... ყიელა შავია და დახტის... დიახ, ასეა... აბა, ჩემო კარგო, სად უნდა მოვთავსდე...

ნატაშა. (მიუთითებს სამზარეულოში გასავალ კარებზე). აგერ იქა, ბიძიავ!

ლუკა. იქა?—იქ იყოს! გმადლობ... მოხუცის სამშობლო იქ არის, სადაცა სთბილა. (გადის).

პეპელი. ნატაშა, სად გიპოვნია ასეთი შესანიშნავი მოხუცი.

ნატაშა. თქვენ კი გჯობიათ და... ანდრეი! შენი ცოლი ჩვენთანაა—სამზარეულოში... მერე მოდი და წამოიყვანე.

კლეშჩი. კარგი, მოვალ...

ნატაშა. ეხლა მაინც მოექეცი ალერსიანათ... ხომ იცი, რომ ღღეს თუ ხვალ...

კლეშჩი. ვიცი...

ნატაშა. „ვიცი!“ საქმე მარტო ცოდნა როდია... უნდა გესმოდეს კიდეც... სიკვდილზე საშინელი ხომ არა არის რა...

პეპელი. აი, ჯერ ერთი მე არ მეშინიან სიკვდილისა!

ნატაშა. ჰო, ვიცით რა გულადიცა ბრძანდებით!

ბუბნოვი. (სტვენით). ძაფი კი დამპალი ყოფილაااა...

პეპელი. დიახ, არ მეშინიან... აი თუნდა აიღე დანა და გულში ჩამეცი... მოვკვდები—თვალს არ დავახამხამებ... მოვკვდები სიხარულით, თუ კი შენებრ უმანკოს ხელი მოშიღებს ბოლოს!

ნატაშა. ეგ საკენკი თქვენ კრუხებს დაუყარე... (მიდის).

ბუბნოვი. (გაკიანურებით). ძაფი კი დამპალი ყოფილაااა...

ნატაშა. (დერეფნის კარებიდან). ანდრეი! არ დაგავიწყდეს, მერე მოდი და შენი ცოლი წამოიყვანე...

კლეშჩი. კარგი..

პეპელი. მშვენიერი გოგონაა!

ბუბნოვი. დიახ, არა უჭირს რა!

პეპელი. რატო ისე განზე იწევს? სულ ერთია, აქ დაღუპვა არ ასცდება.

ბუბნოვი. შენ თუ დაღუპავ.

პეპელი. არასოდეს! პირიქით, ეგ მე მებრალება!

ბუბნოვი. როგორც მგელს ცხვარი!

პეპელი. [illegible] ეგ მებრალება... ვიცი, რომ აქ ცხოვრება მაგისთვის [illegible] ... ! [illegible]

კლეშჩი. [illegible] მოგასწრობს მაგასთან ლაპარაკის დროს და...

ბუბნოვი. ოო, ვასილისა? ის მუქთაო არავის არას დაუთმობს... სხვა ალ-ქაჯია!

პეპელი. მომწყდით თავიდან! გამოიჩინეს წინასწარმეტყველება.

კლეშჩი. აჰა, ვნახოთ...

ლუკა. (სამზარეულოში მღერის). შუა ღამეა, გზა-კვალი არ სჩანს.

კლეშჩი. ოჰო, შენი ღმუილი-ღა გვაკლდა!

პეპელი. ცხოვრობ უდარდელათ... და უცებ, თითქოს ცას ღრუბელი გაღაეფარაო,—მოიწყენ, მოიღუშები... ნეტა გამაგებინა, რათა ვარ ასე მოწყენილი?

ბუბნოვი. მოწყენილიო?! ჰმმ...

პეპელი. ეჰ-ჰე-ჰე!

ლუკა. ეე... გზა-კვალი არ სჩანს...

პეპელი. შენ ეი, მოხუცო!

ლუკა. (კარებიდან). მე მეძახი?

პეპელი. დიახ, შენა! ნუ მღერი.

ლუკა. (შემოდის). არ გიყვარს სიმღერა?

პეპელი. მიყვარს—როდესაც კარგათა მღერიან.

ლუკა. მაშ, როგორცა სჩანს, მე ცუდათა ვმღერი?

პეპელი. ალბათ.

ლუკა. ხედავთ! მე კი მეგონა კარგათა ვმღერი-მეთქი. აი, ყოველთვის ასე:—კაცს თავის გაკეთებული საქმე დიდი რამე ჰგონია, აჩვენებს ხალხს და არ მოსწონთ!

პეპელი. (სიცილით). მართალია!

ბუბნოვი. იძახი: მოწყენილი ვარო და იცინი?

პეპელი. მერე რა შენი საქმეა, შე ყვანჩალავ, შენა!

ლუკა. ეგ რომელია მოწყენილი?

პეპელი. მე. (შემოდის ბარონი.).

ლუკა. ხედავთ! იქაც, სამზარეულოში, ვიღაც ახალგაზდა ქალი ზის, წიგნსა კითხულობს და თანაც ტირის... ვეკითხები: რა გატირებს? მეცოდებაო! ვინა-მეთქი? აი ამ წიგნში ერთი ვინმეა და ისაო... როგორც ეტყობა, ისიც მოწყენილია...

ბარონი. ის სულელია!

პეპელი. ბარონ, ჩაი დალიე?

ბარონი. დავლიე .. მერე!

პეპელი. გინდა ხელათ ნახევარ ბოთლი?

ბარონი. რატომაც არ მინდა! მერე!

პეპელი. დადექი ხელ-ფეხზე და ძაღლივით დაიყეფე!

ბარონი. აი, შე რეგვენო, შენა! დაგილევია თუ ვაჭარი ხარ, რომ ეგრე იქცევი!

პეპელი. აბა, დაიყეფე, რომ ერთი გულიანათ გავიცინო... გახსოვს—ერთ დროს, რომ ჩემისთანებს კაცათ არა სთვლიდი!?

ბარონი. ჰო, მერე!

პეპელი. მერე ისა, რომ ეხლა მე შენ ძაღლივით დაგაყეფებ... ხომ დაიყეფები?

ბარონი. კეთილი, დავიყეფები... ვსთქვათ, მე თითონა ვგრძნობ, რომ შენზე უარესი ვარ, ამითი შენ რა გემატება, შე უტვინო!? შენ მაშინ უნდა დაგეყეფებინე, როდესაც შენზე დიდი ვიყავი.

ბუბნოვი. მართალია!

ლუკა. მეც ვიტყვი—მართალია!

ბუბნოვი. რაც იყო, წავიდა, განქრა... აქ ბატონი არავინ არ არის...

ლუკა. მაშ ყველა თანასწორნი ვყოფილვარო... შენ წინეთ ბარონი იყავი?

ბარონი. რას ამბობ, შე ჭინკავ, შენა!

ლუკა. გრაფიც მინახავს, თავადიც, და ბარონს კი პირველათა ვხედავ და ისიც გარყვნილს და გასალახანებულს!

პეპელი. (იცინის). ეგ როგორ შემარცხვინე, ბარონ!

ბარონი. ვასილი, დროა ჭკუა მოიკრიფო!

ლუკა. რომ გიყურებთ, ჩემო კეთილნო!.. რა არის თქვენი ცხოვრება...

ბუბნოვი. დიახ, ჩვენი ცხოვრება, არ არს სიამოვნება!

ბარონი. უკეთესი ცხოვრებაც გვინახავს... დიახ! იყო-

დრო, გავიღვიძებდი თუ არა, ლოგინშივე მომართმევდნენ ყავას—ნაღებით!

ლუკა. ეგ არაფერია... რაც უნდა ითვალთმაქცო და იფარისევლო, კაცათა ხარ დაბადებული და კაცათვე მოკვდები... მე ვხედავ, რომ ხალხი თან და თან ვითარდება... რაღაცას საქმობს.. სცდილობს ცხოვრება გააუმჯობესოს... და არ კი აუმჯობესებს! ჯიუტები არიან ადამიანები!

ბარონი. მოხუცო, შენ ვინ ხარ ან საიდან მოხველი?

ლუკა. მეე?

ბარონი. მოგზაური ხარ?

ლუკა. ყველანი მოგზაურნი ვართ ამ ქვეყნათ... როგორც ამბობენ—თურმე დედა-მიწაც-კი ცაში მოგზაურობს.

ბარონი. (მკაცრათ). ეგ ეგრე, მაგრამ ბაშფორთი გაქვს?

ლუკა. (აუჩქარებლათ). ჯაშუში ხარ?!

პეპელი. (სიხარულით). ყოჩაღ, მოხუცო, ყოჩაღ! გამარჯვება შენია! რაო, ბარონ, მოგხვდა თუ არა?

ბუბნოვი. დიახ, მიიღო ბატონმა!

ბარონი. (გაწბილებული). რა იყო, რა მოხდა ისეთი? მე მხოლოთ ვიხუმრე... მე თითონაც არა მაქვს არავითარი ქაღალდი...

ბუბნოვი. სტყუი!

ბარონი. არა, ქაღალდი კი მაქვს, მაგრამ არაფერში არ არის გამოსადეგი.

ლუკა. ძერე რომელი ქაღალდია გამოსადეგი? განა ყველა მეტი არ არის?..

პეპელი. ბარონ, წავიდეთ ტრახტინში!

ბარონი. მზათა ვარ! მშვიდობით, მოხუცო!... რა გაქნილი ხარ!

ლუკა. ყველაფერი მოხდება ხოლმე, ჩემო კარგო!

პეპელი. (დერეფნის კარებიდან). ჰა, მოდიხარ თუ არა! (გადის, ბარონი საჩქაროთ დაედევნება).

ლუკა. ეჰ კაცი მართლა იყო როდისმე ბარონი?

ბუბნოვი. ეშმაკმა იცის მაგისი თავი... ბატონი, რომ ყოფილა, ეს კი ეტყობა... აი აქაც, ზოგჯერ, არც აციებს,

არც აცხელებს და დაიწყებს ბატონობას... ეტყობა, არ გადაჩვეულა...

ლუკა. ბატონობა სახადივით არის... აი, როგორც ყვავილმა იცის... კაცი მორჩება, მაგრამ იმის ნიშანი კი ისევ ატყვია ხოლმე...

ბუბნოვი. არა, მაინცა და მაინც, ეგ ცუდი კაცი არ არის, რომ ხან და ხან ვირული წიხლი არ იკოდეს... აი, როგორც შენ ბაშფორთზე მოუვიდა...

ალიოშა. (შემოდის გარმონით ხელში—მთვრალი. უსტვენს). ეი, ხალხნო!

ბუბნოვი. რა გაღრიალებს?!

ალიოშა. უკაცრავათ... გვაპატიეთ... მე ზრდილობიანი კაცი ვარ...

ბუბნოვი. კიდევ გადაჰკარ?

ალიოშკა. რამდენიც გინდა! ეს არის ეხლა, პრისტავის თანაშემწემ, მედიაკინმა გამომაგდო პოლიციიდან და მეუბნება: შენი სახე აღარ დავინახო ქუჩაზეო.. ვერ მოგართვი! მე ჩემ ნება კაცი ვარ! ჩემი ოსტატი-კი ზიზღით მიყურებს და დამცინის... მერე რა არის ჩემი ოსტატი? ლოთი, შფოთი... სხვა რა არის?.. მე კი, აი ასეთი კაცი ვარ... არაფერი არა მსურს... არაფერი არ მინდა... მორჩა და გათავდა... მოიტა ფული, წამიყვა... არაფერი არ მინდა... (სამზარეულოდან) ნასტია შემოდის). გინდა მილიონი მომეცი, **არ** მინდა!.. და ჩემისთანა პატიოსან კაცს, რომ ის ჩემი ლოთი ამხანაგი ბრძანებლობდეს, არ მინდა... არა მსურს!.. (ნასტია კარებში დგას, ალიოშკას უყურებს და თავს აქნევს).

ლუკა. (გულ კეთილათ). ეჰ, ჭაბუკო, წასულია შენი საქმე...

ბუბნოვი. ადამიანური სიბრიყვეა!

ალიოშკა. (იატაკზე გაწვება). მოდი, მჭამე! არაფერი არ მინდა... მე თავზე ხელ-აღებული კაცი ვარ... ამიხსენით, რითი მჯობნიან მე სხვები? რითი ვარ მე სხვებზე ნაკლები? მედიაკინი მეუბნება: ქუჩაში აღარ დაგინახო თორემ თავ-პირს

დაგამტვრევო... თუ ასეა, წავალ და ზედ ქუჩაზე გავწვები... გამსრისეთ! არაფერი არ მინდა... არა მსურს...

ნასტია. უბედური! რა ახალ-გაზდაა და ეხლავე თავს ილუპავს!

ალიოშკა. (ნასტიას დაინახავს და წამოიჩოქებს). ახ, მამზელ! პარლე ფრანსე! პრეის-კურანტ... ცოტა გადავკარი!

ნასტია. (ჩურჩულით). ვასილისა!

ვასილისა. (საჩქაროთ გააღებს კარს და ალიოშკას). შენ კიდევ აქა ხარ?!

ალიოშკა. ოჰ, ვახლავართ! მობრძანდით!

ვასილისა. შე ძაღლის ლეკვო, მე შენ არ გითხარ შენი ხსენება აღარ იყოს მეთქი აქა! შენ კიდევ მოსულხარ?

ალიოშკა. ვასილისა კარპოვნა! გინდა სამგლოვიარო მარში დაგიკრა?

ვასილისა. (ხელსა ჰკრავს). დაიღუპე აქედან!

ალიოშკა. (კარებისაკენ მიიწევს). მოიცა... ეგრე არ იქნება... სამგლოვიარო მარში... ეხლა ხან შევისწავლე... ახალთ-ახალი მუსიკაა! მოიცა... ეგრე არ იქნება!

ვასილისა. არ იქნებას გაჩვენებ მე შენა! ეხლავე მთელ ქუჩას თავზე დაგახვევ, შე მეჯორე არამზადავ, შენა! აბა ერთი კიდევ გითქვამს რამე ჩემზე!

ალიოშკა. (გარბის). კარგი, წავალ!

ვასილისა. [ბუბნოვს). მაგისი ფეხი აღარა ვნახო აქა, გესმის!

ბუბნოვი. მე თქვენი სტოროჟი არ გახლავართ!

ვასილისა. ვინცა ხარ, ეგ ჩემი საქმე არ არის... ნუ გავიწყდება, რომ სამადლოთა სცხოვრობ აქა... რამდენი გმართებს ჩემი?

ბუბნოვი. (მშვიდათ). ჯერ არ მიანგარიშნია.

ვასილისა. მე შენ გაანგარიშებ!

ალიოშკა. (კარს შემოაღებს და ყვირის). ვასილისა კარპოვნა! მე შენი არ მეშინიან... არ მეშინიან... არა და არა! (იმალება).

ლუკა. (იცინის).

ვასილისა. შენ ვილა ხარ?

ლუკა. მგზავრი... მოგზაური...

ვასილისა. აქ საცხოვრებლათ მოსულხარ თუ მარტო ერთი ღამის გასათევად?

ლუკა. ვნახოთ და..

ვასილისა. ბაშფორთი?

ლუკა. კეთილი...

ვასილისა. მოიტა!

ლუკა. მოგიტან... სახლში მოგიტან!

ვასილისა. მოგზაური! იტყოდი, რომ მაწანწალა ხარ, ეს უფრო მართალი არ იქნებოდა?

ლუკა. (ოხვრით). ცუდი ადამიანი ყოფილხარ, ცუდი! (ვასილისა პეპელის ოთახის კართან მიდის. ალიოშკა სამზარეულოდან გამოიჭყიტება და ჩურჩულით: წავიდა, ჰა?).

ვასილისა. (მოუბრუნდება). შენ კიდევ აქა ხარ? (ალიოშკა მიიმალება და უსტვენს. ნასტია და ლუკა იცინიან).

ბუბნოვი. (ვასილისას). შინ არ არის...

ვასილისა. ვინა?

ბუბნოვი. ვასკა...

ვასილისა. მე გკითხე რამე!

ბუბნოვი. არა, მაგრამ ისე ათვალიერებ აქაურობას, რომ...

ვასილისა. მე რომ ვათვალიერებ, ვშინჯავ, ყველაფერი რიგზეა თუ არა! ეს რა არის, რატომ აქამდის არ დაგიგვიათ? რამდენჯერ მიბრძანებია მე თქვენთვის, აქაურობა სუფთათ შეინახეთ-მეთქი!

ბუბნოვი. დღეს ბსახიობმა უნდა დაგავოს... იმის ჯერია...

ვასილისა. ეგ ჩემი საქმე არ არის... იცოდეთ, თუ სანიტარები მოვიდნენ და დამაჯარიმეს... ყველას გაგყრით...

ბუბნოვი. (შეშფოთებულ). მერე, რიღათი იცხოვრებ?!

ვასილისა. ერთი ბეწვი არსად დავინახო, გესმით?.. (მიდის სამზარეულოსაკენ ნასტიას). შენ რაღას აყუდებულხარ აქა და მოგიბრეცია ეგ ცხვირ-პირი? იატაკი დაგავე! ნატალია არ დაგინახავს... აქ არა ყოფილა?

ნასტია. არ ვიცი... არ მინახავს...

ვასილისა. ბუბნოვ! ჩემი და იყო ქა?

ბუბნოვი. (ლუკაზე უჩვენებს). ეს მოიყვანა.

ვასილისა. ის შინ იყო?

ბუბნოვი. ვასკა? შინ იყო... ნატალია კლეშჩის ელა-პარაკებოდა და...

ვასილისა. მე შენ როდი გკითხავ, ვის ელაპარაკებო-და-მეთქი! ყველგან ნაგავი... ჭუჭყი... უსუფთაობა... უჰ, თქვე ღორებო! ყველაფერი სუფთათ იყოს, გესმით?! (საჩქა-როთ გადის).

ბუბნოვი. რომელი მხეცი იქნება მაგ დედა-კაცზე უა-რესი?!

ლუკა. დიახ, მეტათ ნაზი ქმნილებაა!

ნასტია. არც გასამტყუნარია... შეაუღლე ვინც გინდა ისეთ კაცთან როგორიც მაგის ქმარია და...

ბუბნოვი. არა, არც ისე ერთგულათ უწევს უღელს!

ლუკა. ყოველთვის ასე იცის აფეთქება?

ბუბნოვი. ყოველთვის... საყვარელს ეწვია და ის კი შინ არ დაუხვდა...

ლუკა მაგიტომ გასწყრა, ჰა?! ეჰ-ჰე! რამდენ ნაირი ხა-ლხი ბრძანებლობს ამ ქვეყნათ და რანაირად არ აშინებს ერ-თი მეორეს, მაგრამ წესიერება მაინც არსად არა სჩანს... არც სისუფთავეა სადმე...

ბუბნოვი. წესიერება ყველას უნდა, მაგრამ გონიერება ჭლალატობთ... ეჰ, დროა დავგავოთ... ნასტია, მოდი, გაისარ-ჯე და დაგავე.

ნასტია. დიახ, როგორ არა.. მე თქვენი მოახლე არ გახლავართ. (სიჩუმე). ეჰ, უნდა დავლიო დღეს... ისე დავით-რო, რომ...

ბუბნოვი. ეგეც საქმეა...

ლუკა. რათა, რისთვის უნდა დაითრო? წელან სტირო-დი, ეხლა კი იძახი, უნდა დავითროვო...

ნასტია. დიახ, დავითვრები და ისევ ვიტირებ...

ბუბნოვი. ნუ ჩქარობ...

ლუკა. რა მიზეზით, რათა? მიზეზი ხომ უნდა იყოს რამე? უმიზეზოთ მუწუკიც არ ამოსდის ადამიანს!

ნასტია. (გაჩუმდება და თავს აქნევს).

ლუკა. ეჰ, ჩემო კეთილნო, რა არის თქვენი ბოლო? აბა, ცოცხი სად არის, მე მაინც დავგვი...

ბუბნოვი. დერეფანშია, კარებს უკან...

ლუკა. (დერეფანში გადის).

ბუბნოვი. ნასტია!

ნასტია. ჰა?

ბუბნოვი. ვასილისა რათ მივარდა ალიოშას?

ნასტია. იმიტომ, რომ ალიოშკას ულაპარაკნია: ვასკას ვასილისა მობეზრდა, თავს ანებებს და იმის დას, ნატაშას ერთავსო... წავალ... უნდა მოვშორდე აქაურობას ..

ბუბნოვი. სად წახვალ?

ნასტია. მომბეზრდა... მე აქ მეტი ვარ...

ბუბნოვი. (მშვიდათ) ყველგანაც მეტი ხარ... ყოველი ადამიანი მეტია ქვეყანაზე... (ნასტია თავს აქნევს. ადგება და ნელის ნაბიჯით გადის დერეფანში. შემოდის მედვედევი, ლუკა შემოსდევს, ცოცხით).

მედვედევი. თითქოს... მე შენ არ გიცნობ!...

ლუკა. დანარჩენ ხალხს— ყველას იცნობ?..

მედვედევი. ჩემ საპოლიციო ნაწილში ყველას უნდა ვიცნობდე. . აი შენ კი ვერა გცნობ.

ლუკა. ეგ იმიტომ, ჩემო ძმიავ, რომ მთელი დედამიწა შენ საპოლიციო ნაწილში ვერ მოთავსდა .. პატარა ნაწილი გარეთ დარჩა!.. (გადის სამზარეულოში).

მედვედევი. (მიდის ბუბნოვთან). მართალია უბანი პატარა მაბარია, მაგრამ დიდზე უარესია... აი ეხლა, როდესაც მორიგეობა გავათავე და სახლში მოსასვენებლათ მივდიოდი, მეჩექმე ალიოშკა პოლიციაში წავიყვანე .. გაწოლილა შუა ქუჩაში, აჭყიტინებს გარმონს და ყვირის: არაფერი არ მინდა... არაფერი არა მსურს!.. ცხენები დადიან... საზოგადოთ მოძრაობაა... ხომ შეიძლება გასრისონ... დამთხვეული ვინმეა! მაშინათვე ვტაცე კისერში ხელი და წარდავადკინე პოლიციაში.—სრულებით არ უყვარს წესიერება...

ბუბნოვი. საღამოზე მოხვალ ნარდის სათამაშოთ?

მედვედევი. ჰო, მოვალ... ვასკა რასა იქს?

ბუბნოვი. არაფერს... ისე, როგორც იცი!

მედვედევი. ცხოვრობს რაღა?

ბუბნოვი. რატომაც არ იცხოვრებს! იმისთვის ადვილია ცხოვრება!

მედვედევი. (ეჭვით). ადვილი? (ლუკა დერეფანში გამოჩნდება ვედრით.) აქ ვასკაზე რაღაცებს ლაპარაკობენ... შენ არა გაგიგიარა?

ბუბნოვი. მე ათას გვარი ლაპარაკი მესმის!

მედვედევი. ვითომ ვასილისა... არ შეგიმჩნევია?..

ბუბნოვი. რა?

მედვედევი. ისე... საერთოდ... ეგებ იცი და სტყუი? ხომ ყველასა აქვს გაგებული?! (მკაცრათ). ტყუილები არ შეიძლება!

ბუბნოვი. რათ უნდა ვიტყუო?

მედვედევი. საქმეც ეგ არის! ძაღლები! ყბედობენ... ვითომ ვასკა და ვასილისა... მე რა? მე ხომ მამა არა ვარ ვასილისასი, ბიძა ვარ. . მე რას დამცინიან? (შემოდის კვაშნია). რა ხალხია... არ შეუძლიანთ, რომ ყველას არ დასცინონ... (კვაშნიას). ოჰ, მოხვედი!

კვაშნია. ოჰ, ჩემო სიცოცხლის კლიტევ! იცი, ბუბნოვ, წელან სავაჭროთ, რომ ვიყავი, გადამეკიდა: გინდა თუ არა, შენზე ჯვარი უნდა დავიწეროვო.

ბუბნოვი. მერე რაღას უყურებ? შვირთე... ფულებიც აქვს და ჯერ-ჯერობით ჯანზედაც არის...

მედვედევი. მე? (ცერს უჩვენებს). ასე ვარ, აი!

კვაშნია. შენ ჭი! მაგეებს ნულარ გამახსენებ, გესმის, თუ არა?! მე ეგ ვცადე... ქალისთვის გათხოვება და წყალში გადავარდნა, ორივ ერთია... ერთხელაც მეყო მაგ სისულელის ჩადენა.

მედვედევი. მოითმინე, მოითმინე... ახლა, ქმარიც არის და ქმარიც ..

კვაშნია. ჩემთვის ყველა ერთია... ჩაძაღლდა თუ არა ჩემი ძვირფასი მეუღლე—აი ძაღლები დავაკალ იმის სულს— მთელი დღე სიხარულისაგან აღარ ვიცოდი რა ჩამედინა... არც კი მჯეროდა ჩემი ბედნიერება.

მედვედევი. თუ უმიზეზოთა გცემდა შენი ქმარი, პოლიციაში უნდა გეჩივლა.

კვაშნია. მე ღმერთს შევჩიოდი მთელი რვა წელიწადი და არაფერი არ მეშველა...

მედვედევი ეხლა აკრძალულია ცოლების ცემა... ეხლა ყველაფერი კანონზე და წესიერებაზეა დამყარებული... უმიზეზოთ არავის ცემა არ შეიძლება... და თუ წესიერება დაარღვიე, მაშინ კი გცემენ!

ლუკა. (ანნა შემოჰყავს). აი, მოვაღწიეთ! როცა ეგრე სუსტათა ხარ, უნდა გშველოდეს ვინმე... სად არის შენი ადგილი?

ანნა. (აჩვენებს). მადლობელი ვარ...

კვაშნია. აი გათხოვილი ქალი, აბა შეხედეთ!

ლუკა. მეტათ დასუსტებულია... დერეფანში მიუბჯენია ხელი კედელზე, მოდის და თან კვნესის... რათ უშვებთ მარტოს?

კვაშნია. უკაცრავათ, ბიძიაჩემო, ვერ შევამჩნიეთ... და მაგის მოახლე კი, როგორცა სჩანს, სასეირნოთ წასულა.

ლუკა. შენ იცინი და როდესაც ადამიანი ასე სუსტათ არის, მოვლა უნდა... იცოდე, კაცი როგორიც უნდა იყოს, თავის ფასს არ დაჰკარგავს.

მედვედევი. თვალ-ყური უნდა ადევნოთ... ერთიც ვნახოთ, მოკვდა... მერე დავიდარაბის თავი ვისა აქვს?.. ყური უნდა უგდოთ!

ლუკა. მართალსა ბრძანებთ, ბ. უნდერ!

მედვედევი. ჰმ... დიახ... მართალია ჯერ სრული უნდერი არა ვარ, მაგრამ...

ლუკა. ჰოო? შეხედულება კი გოლიათისა გაქვს და! (დერეფნიდან ფეხის ხმა და ყვირილი მოისმის).

მედვედევი. უეჭველათ ჩხუბია!

ბუბნოვი. მე მგონი.

კვაშნია. წავიდე ერთი ვნახო!

მედვედევი. მივეშველო.. ეჰ, ჩვენი სამსახური, ჩვენი სამსახური! არა, რათ აშველებენ მოჩხუბრებს? უნდა ბიუშო, ვიდრე კარგათ დაზელავდნენ ერთმანეთს და მერე თითონ გაშველდებიან... აღარც ეგრე ხშირად იჩხუბებენ, იმიტომ, რომ დაზელილი გვერდები დიდხანს ეხსომებათ...

ბუბნოვი. (ჩამოდის ტახტიდან). შენ ერთი მაგის შესახებ მმარიველობას მოელაპარაკე!

კოსტილევი. (შემოაღებს კარებს და ყვირის). აბრამ, ჩქარა, ჩქარა! ვასილისა ნატაშასა ჰკლამს! (ყვამნია, მედვედევი და ბუბნოვი დერეფნისკენ გარბიან. ლუკა თავის ქნევით გაჰყურებს მათ).

ანნა. ოჰ. ღმერთო... საბრალო ნატაშა!

ლუკა. ვინა ჩხუბობს?

ანნა. სახლის პატრონის ცოლი და იმისი და...

ლუკა. (მივა ანნასთან). რა აქვთ გასაყოფი?

ანნა. არ ვიცი...

ლუკა. შენ რა გქვიან?

ანნა. ანნა... გიყურებ და მამა ჩემი მაგონდება... ისიც შენსავით მოსიყვარულე, მოალერსე და რბილი კაცი იყო...

ლუკა. ბევრი მთელეს და დავრბილდი, ჩემო კარგო! (ეარხარება ხმა ჩახლეჩილი).

ფ ა რ დ ა.

მეორე მოქმედება.

იგივე მოწყობილება. საღამოა. ფეჩის მახლობლათ ტახტზე სხედან სატინი, ბარონი, კრივოიზობი და თათარი. ქალალდსა თამაშობენ. კლეშჩი და მსახიობი თამაშობას უცქერიან. ბუბნოვი, თავის ტახტზე, მედვედევთან ნარდსა თამაშობს. ლუკა, მწოლარე ანნას მახლობლათ, ტაბურეტკაზე ზის. სადგომს ორი ლამფა ანათებს: ერთი ქალალდის მოთამაშეებთან კედელზე ჰკიდია და მეორე ბუბნოვის ტახტზე სდგას.

თათარი. ერთიც ვითამაშე, მეთი აღარ ვითამაშე!

ბუბნოვი. ზობ! იმღერე! (მღერის).

.მზე შუქს ჰფენს არე-მარეს...

კრივოიზობი. (აჰყვება). ჩემს საკანში კვლავ ბნელა...

თათარი. (სატინს). აურია ქალალდი... გარგა აურია... მე ვიძის შენ როგორი ვარ...

ბუბნოვი. | დღე ღამ მცველი ჩემს ფანჯარს
კრივოიზობი. | გარს უვლის ნელა-ნელა!

ანნა. ცემა... ლანძღვა... მეტი არაფერი არა მღირსებია ჩემს სიცოცხლეში...

ლუკა. ნუ ნაღვლობ, ჩემო კარგო, ნუ...

მედვედევი. საით ეწევი, საით?

ბუბნოვი. ა-ა! ჰო, უკაცრავათ, უკაცრავათ!

თათარი. (სატინს მუშტს მოუღერებს). შენ რათ გინდოს ქალალდი დამალოს? მე ნახოს...

კრივოიზობ. დაანებე თავი, ასან... სულ ერთია .. ჩვენ წავაგებთ... აბა, ბუბნოვ, დაიწყე!

ანნა. ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს, რომ როდისმე მაძღრათ ვყოფილიყავ... ყოველ ლუკმას ზედ დავკანკალებდი... მეშინოდა, რომ სხვაზე მეტი არა მეჭამარა... ჩემს ტანს ძონძების მეტი არა უნახავს რა... რათა? რისთვის?

ლუკა. დაიღალე განა, შვილო? არაფერია... არა გიშავსრა...

მსახიობი. (კრივოიზობს). სალდათი ჩამოდი... სალდათი... ეშმაკს შენი თავი...

ბარონი. ჩვენ ხელმწიფე გვყავს...

კლეშჩი. რა თქმა უნდა, ესენი გასჭრიან...

სატინი. ჩვენ ასე ვიცით...

მედვედევი. დამკა!

ბუბნოვი. დამკა? აი მეც...

ანნა. ვკვდები...

კლეშჩი. უყურე! უყურე! კნიაზ, დაანებე თავი, დაანებე-მეთქი, გეუბნები!

მსახიობი. ამას შენი დარიგება არა სჭირდება...

ბარონი. ეი, ანდრიუშკა! შენ გირჩევნია შენთვის იყო, თორემ... ცხვირ-პირს ამოგინაყავ...

თათარი. ერთიც დაარიგე! გოგა ზღალი ზავიდა, თავი გადეხა... მეც და ეგრე...

კლეშჩი. (თავს გაიქნევს და ბუბნოვთან მიდის).

ანნა. ღმერთო, ღმერთო! ნუ თუ იმ ქვეყნათაც ამ გვარი ტანჯვა მომელის?

ლუკა. იქ არაფერი არ იქნება... ნუ შფოთავ... არაფერი არ იქნება... იქ მოისვენებ... შენ მხოლოთ მოთმინება იქონიე... ყველასთვის მოთმინებაა საჭირო!...

ბუბნოვი. (მღერის). ნუ მდარაჯობთ... მე ისეც...

კრივოიზობ. (მღერის). სად წაუვალ ოქვენს ბრჭყალებს?!

ყველა (ერთად). | მინდა თავისუფლება,
| მაგრამ ვერ ვლეწ ბორკილებს!

თათარი. (ყვირის). შენ რათ დამალოს ქაღალდი სახელში?

ბარონი (გაწბილებული). მაშ შენ ცხვირში ხომ არ დავმალავ?

მსახიობი. (დარწმუნებით). კნიაზ, შემცდარი ხარ... აბა, რას ამბობ, როგორ შეიძლება?...

თათარი. მე ნახოს.. აღარ მინდა მეტი იდამაშოს!

სატინი. (ქაღალდებს აგროვებს) ასან, გირჩევნია ჩამოგვ-

შორდე... ხომ იცი, რა ხალხიცა ვართ... რაღათა თამაშობ ჩვენთან?

ბარონი. ერთი კნიაზს დამიხედევით და! ორი აბაზი წააგო და სამი მანეთისასა ყვირის!

თათარი. (ცხარეთ). სუნდუსი უნდა ითამაშო...

სატინი. რათა?

თათარი. როგორ, რათა?

სატინი. ჰო, რათა?

თათარი. არ ვიცის?

სატინი. არა. შენ იცი?

თათარი. (გაბრაზებული გადააფურთხებს, ყველანი იცინიან).

კრივოიზო�ბი. (გულ-კეთილათ). უცნაური კაცი ხარ, ასან!.. ამათ, რომ სვინდისიერათ იცხოვრონ, ხომ შიმშილით ამოწყდებიან...

თათარი. ჩემი რა საქმეა? სუნდუსით უნდა იცხოვროს!..

კრივოიზოcnბი. გეყოფათ... წავიდეთ, ჩაი დავლიოთ!... აბა, ბუბნოვ! (მღერის).

ეჰ, ბორკილო, ბორკილო,

ბუბნოვი. რკინავ, შენ ჩემო მცველო!

კრივოიზოcnბი. წავიდეთ, ასანკა! (სიმღერით გადიან).

ვაჰმე, მე შენ ვერ დაგლეწ,
ჩემო დამლონებელო!

თათარი. (ბარონს მუშტით დაემუქრება და დანარჩენებს გაჰყვება).

სატინი. (ბარონს, სიცილით). თქვენ, თქვენო თქვენობავ, ჩვეულებრივ შესტოპეთ... განათლებული კაცი ხართ და ერთი ქაღალდი ვერ გადამალეთ?...

ბარონი. ეშმაკმა იცის რა მომივიდა!... ჰმ...

მსახიოcnბი. საქმე ნიჭია... რწმენა არა გაქვს შენი თავისა... უამისოთ კი ვერაფერს ვერ გააწყობ...

მედვედევი. მე ერთი დამკა მყავს... შენ ორი...

ბტბნოვი. ერთიც კარგია, თუ ჭკუით ითამაშებ.— ითამაშე...

კლეშჩი. წაგებული ხართ, აბრამ ივანიჩ!

მედვედევი. ეგ შენი საქმე არ არის! გესმის! შენ გაჩუმდი!

სატინი. სამი აბაზი და სამი კაპეიკი მოვიგე...

მსახიობი. სამი კაპეიკი მე მომეცი და... მაგრამ ეჰ, რათ მინდა...

ლუკა. (სამზარეულოდან შემოდის). მოუგეთ ფულები თათარსა? არყის დასალევათ არ მიხვალთ?

ბარონი. მივდივართ.... შენც წამოდი...

სატინი. ერთი მთვრალიცა გნახოთ როგორი ხარ!

ლუკა. ფხიზელზე ღარესი...

მსახიობი. წავიდეთ, მოხუცო... მე შენ იქ კუპლეტებს წაგიკითხავ!

ლუკა. რას წამიკითხავ?

მსახიობი. ლექსებს... გაიგე?

ლუკა. ლექსებს? მერე რათ მინდა ლექსები?

მსახიობი. ხან გავიცინებთ, ხან ვიტირებთ. აი რათ გვინდა...

სატინი. შენ ეი, მელექსე! მოდიხარ თუ არა? (გადის ბარონთან ერთად).

მსახიობი. წადით, მოგეწევით! მოხუცო, აი მაგალითად... ერთ ლექსს წაგიკითხავ.., ჰმ, ჰმმ... როგორ იწყება... არა, აღარ მახსოვს... (შუბლზე ხელს ისვამს).

ბუბნოვი. მორჩა... გაქრა შენი დამკა... ითამაშე..

მედვედევი. თუ აქეთ არ წასულიყავ!..

მსახიობი. მოხუცო, წინეთ, როდესაც ჩემი ორგანიზმი ჯერ ოლკოლოლით არ იყო მოწამლული, შესანიშნავი ხსოვნა მქონდა. . ეხლა კი ყველაფერი განქრა... ყველაფერი... როდესაც წავიკითხავდი ამ ლექსს .. ხალხი აღტაცებული ტაშს მიკრავდა. . მაქებდა... მოხუცო, შენ როდი იცი რა არის მსახიობისათვის ტაში... ქება .. დიდება... იცი, ეს... ეს... როგორც არაყი... ხშირად... გამოვიდოდი სცენაზე... გავჩერდებოდი აი ასე... გავჩერდებოდი და... (სიჩუმე). აღარაფერი არ მახსოვს... აღარც ერთი სიტყვა... აღარ მახ-

სოვს... არა... არა... მერე რა რიგათ მიყვარდა ის ლექსი... სამწუხაროა განა, მოხუცო?

ლუკა. დიახ, სამწუხაროა იმის დაკარგვა, რაც გიყვარს, რადგან გული იმითი სცოცხლობს!

მსახიობი. მე გული აღარა მაქვს, მოხუცო... დავკარგე, მომიკვდა... და იცი რათა? რწმენა არა მქონდა ჩემი თავისა... დაღუპული ვარ, მოხუცო, დაღუპული...

ლუკა. მერე, რაო? შენკ იწამლე! ეხლა, ძამიავ, ლოთებსაც. არჩენენ... უფულოთა სწამლობენ... ისეთი საავადმყოფოა გამართული, სადაც მუქთათ არჩენენ... დარწმუნებულან, რომ ლოთიც ადამიანია და თურმე სიხარულითა სწამლობენ... აბა, ჩემო კარგო, მოემზადე. . წადი იქა...

მსახიობი. (დაფიქრებული). სადა?! საით?!

ლუკა. ის ერთ ქალაქშია... რა ჰქვიან... სახელათ უწოდებენ... ეგ ადვილია, გეტყვი იმ ქალაქის სახელს, მხოლოთ, აი რა უნდა გითხრა: სანამ შენ მოემზადე... ძალ-ღონე მოიკრიბე... განმტკიცდი... შენი თავი შენვე დაისაკუთრე... და მერე ყველაფერი ადვილია... განიკურნები... ახალი ცხოვრება დაგეწყება... ახალი და მკვდრეთით აღსდგები... კარგია, არა?

მსახიობი. (იღიმება). ახალი ცხოვრება... ახალი... დიახ, კარგია... ახალი... (იცინის). ჰო, დიახ, დიახ! მე შემიძლიან! მართალია განა? ხომ შემიძლიან?...

ლუკა. რატომაც არა? ადამიანმა ოღონდ მოიწადინოს და ყველაფერი შეიძლიან!

მსახიობი. (უცებ, თითქოს ეხლა გაიღვიძაო). ეჰ, ჩერჩეტი ყოფილხარ, ჩერჩეტი! (უსტვენს). მშვიდობით, მოხუცო! (გადის).

ანნა. ბიძია...

ლუკა. რაო, ჩემო კარგო?

ანნა. მითხარი რამი...

ლუკა. (მივა მასთან). კეთილი, ვისაუბროთ!

კლეშჩი. (მიიხედ-მოიხედავს, მივა ცოლთან და დაიკქერდება. ხელებს გაშლის, თითქოს რაღაცა უნდა სთქვას).

ლუკა. რა იყო, ძამიავ?

კლეშჩი. (ხმა დაბლა). არაფერი! (ნელის ნაბიჯით წავა დერეფნისაკენ, ცოტა ხანს შედგება და მერე გადის).

ლუკა. (თვალით გააცილებს). რაღაც ფიქრები აწუხებს შენ ქმარს.

ანნა. მე ეხლა მაგისთვის აღარა მცხელა...

ლუკა. გცემდა ხოლმე?

ანნა. მერე როგორ? მაგან არ დამაჭლექა...

ბუბნოვი. ჩემ ცოლს ერთი საყვარელი ჰყვანდა: ნარდის მოთამაშე ის იყო აი...

მედვედევი. ძძ-მ...

ანნა. ბიძია, მითხარი რამე. გული მიწუხს.

ლუკა. ეგ არაფერია... სიკვდილის წინეთ, ყოველთვის ასეა, ჩემო კარგო... მოკვდები და მოისვენებ... მაშინ აღარაფერი არ დაგჭირდება... არც კვნესა, არც ოხვრა... აღარც რისამე შიში გექნება... სიჩუმე... მყუდროება... იწვები შენთვის მოსვენებით... სიკვდილი ყველაფერს ამშვიდებს... სიკვდილი ჩვენთვის სიტკბოებაა... ამბობენ, მოკვდები და მოისვენებო... ეს მართალია, ჩემო კარგო... მაშ, აბა, მითხარი: თუ არ აქ, ამ ყვეყნათ, სად უნდა დაისვენოს ადამიანმა? (შემოდის პეპელი, თმა-აწეწილი და მოღუშული. ცოტა ნასვამია. კარების მახლობლათ, ტახტზე ჩამოჯდება და თავს ჩაჰკიდებს).

ანნა. იქ, საიქიოსაც ესე უნდა დავიტანჯო?

ლუკა. მერწმუნე, იქ არაფერი არ იქნება... იქ მხოლოთ მოისვენებ... დამშვიდდები... მიგიწვევენ უფალთან და ეტყვიან: უფალო, მოხედე მონასა შენსა ანნასა, წარმომდგარსა შენსა წინაშე!

მედვედევი. (მკაცრათ). მერე, შენ რა იცი იქ რას იტყვიან? ჰა?! (პეპელი, მედვედევის ხმის გაგონებაზე, თავს აიღებს და ყურს უგდებს).

ლუკა. ალბათ ვიცი, ბ. უნდერ!

მედვედევი. (მორბილებული). ჰო, არა... თუმცა ჯერ სრული უნდერი არა ვარ, მაგრამ...

ბუბნოვი. ორს ვიყვან!

მედვედევი. აი შეგაჩვენოს ჩემმა გამჩენმა...

ლუკა. ამ დროს უფალი გადმოგხედავს მოწყალის თვა-

ლით და იტყვის: მე ვიცნობ ანნას... წაიყვათ სამოთხეში... დეე, იქ დაისვენოს... მე ვიცი, რომ მაგან თავისი ცხოვრება ტანჯვით და ვაებით გაატარა... წაიყვათ სამოთხეში,.. დაასვენეთ ანნა...

ანნა. (ოხვრით). ბიძია, საყვარელო ბიძია... ნეტა აგრე იყოს... ნეტა იქ მაინც მოსვენებით ვიყო... იქ მაინც არ დავიტანჯო...

ლუკა. არ დაიტანჯები... არაფერი არ იქნება... ნურას იდარღებ.... მშვიდათ განუტევე სული... დამიჯერე, სიკვდილი ჩვენთვის იგივეა, რაც ბავშვისთვის მშობელი დედა!

ანნა. იქნება მოვრჩე... იქნება განვიკურნო...

ლუკა. (ჩაიცინებს). რისთვის, სატანჯველათ?

ანნა. არა... ცოტაც კიდევ... ცოტა ხანიც, რომ ვიცოცხლო... თუ იმ სოფლათ მოსვენებით ვიცხოვრებ, დეე, აქ დავიტანჯო!

ლუკა. გეუბნები, იქ არაფერი არ იქნება-მეთქი... არაფერი... ერთი სიტყვით....

პეპელი. (წამოდგება). მართალია და შეიძლება სიცრუეც იყოს ..

ანნა. (შეშინებული). ღმერთო...

ლუკა. ოჰო, რაინდი...

მედვედევი. ვინა ღრიალებს!

პეპელი. (მივა მასთან) მერე, რა გნებავს?

მედვედევი. ტყვილა-უბრალოთ ღრიალებ—აი რა! კაცი ყოველთვის თავ-დაჭერილი უნდა იყოს!

პეპელი. აი, შე მუხის კუნძო, შენა! მერე ისიც ბიძას გეძახიან...

ლუკა. (პეპელს, ხმა დაბლა). ნუ ყვირი... ავადმყოფს სული ხდება... უშლი...

პეპელი. აი, შენ კი დაგიჯერებ, ბიძიავ! მეტათ ყოჩაღი ხარ!... მშვენიერათ ახერხებ ტყუილებსა... შესანიშნავ ზღაპრებს ამბობ... იცრუე, ნუ გეშინიან.—ქვეყანა სიცრუეზეა აგებული....

ბუბნოვი. მართლა კვდება ეგ დედაკაცი?

ლუკა. მე მგონი არა ხუმრობს!

გუბნოვი. მაშასადამე ხველას თავს დაანებებს... განუწყვეტლივ ახველებდა... ორს ვიყვან!..

მედვედევი. ორი ისარი გეცეს მაგ გულში!

პეპელი. აბრამ!

მედვედევი. მე შენი აბრამა არ გახლავარ!

პეპელი. აბრამკა! ნატაშა უქეიფოთ არის?

მედვედევი. მერე, რა შენი საქმეა!

პეპელი. არა, შენ ეს მითხარი, ვასილისამ ძლიერა სცემა?

მედვედევი. არც ეგ არის შენი საქმე... ეგ საქმე ოჯახს შეეხება... შენ კი ვინა ხარ?

პეპელი. ვინც უნდა ვიყო... მაგრამ თუ მოვინდომე, ნატაშას თვალით ველარ განიცდით.

მედვედევი. (თამაშს თავს ანებებს). რა სთქვი? ვისზე ამბობ? შენ გინდა, რომ ჩემი ძმის ქალი... უჰ, შე ქურდო, შენა...

პეპელი. შენ კი ვერც ერთხელ ვერ დამიჭირე და!..

მედვედევი. პატარა დამაცა, მალე დაგიჭერ!

პეპელი. დამიჭერ და ვაი თქვენი ბრალი! შენა გგონია, გამომძიებლის წინაშე ხმას ჩავიწყვეტავ? დიახ, ელოდე! მკითხავენ: ვინ გაჩვენებდა გზას საქურდავათ?—მიშკა კოსტილევი და მისი ცოლი! ნაქურდალ ნივთებს ვინ ყიდულობდა?—მიშკა კოსტილევი და მისი ცოლი!

მედვედევი. ეგ სიცრუეა... არ დაგიჯერებენ...

პეპელი. დამიჯერებენ, იმიტომ, რომ სიმართლეა! შენც... შენც გაგხლართავ ამ საქმეში... სუყველას დაგლუპავთ, თქვე შეჩვენებულებო, თქვენა!

მედვედევი. სტყუი... სცრუობ... როდის რა დაგიშავე? ჩემი სიცუდე გახსოვს რაშიმე, შე ცოფიანო ძაღლო, შენა?!

პეპელი. არც თუ სიკეთე მახსოვს!

ლუკა. ჭეშმარიტებაა!

მედვედევი. (ლუკას). შენ სადღა ეჩხირები.. რა შენი საქმეა... ეს საქმე, ოჯახის საქმეა...

ბუბნოვი (ლუკას). თავი დაანებე, სახრჩობელა ჩვენთვის ხომ არა მზადდება.

ლუკა. (მშვიდათ). მე რა... მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომელ ადამიანსაც ადამიანისთვის სიკეთე არ უქნია, ის ძლიერ ცუდათ მოქცეულა-მეთქი!

მედვედევი. (ვერ გაიგო). საქმეც ეგ არის... ჩვენ აქ ყველანი ვიცნობთ ერთმანეთს... შენ კი ვინა ხარ? ჰმ! (გაჯავრებული გადის)..

ლუკა. გაჯავრდა მათი აღმატებულება! ოჰ-ჰო-ჰო! ეჰ, ჩემნო ძმანო, მე როგორც ვატყობ, ცუდათ არის თქვენი საქმე!

პეპელი. ვასილისასთან გაიქცა საჩივლელათ!

ბუბნოვი. სულელურათ იქცევი, ვასილი... აქ ტყუილათ ყოყოჩობ და მამაცობას იჩენ... მამაცობასაც თავისი ადგილი აქვს... აქ არ გამოგადგება... იცოდე, ესენი ცოცხლათ წაგგლეჯენ თავსა.

პეპელი. შენ არხეინათ იყავ... ჩვენ, ეროსლაველები, ეგრე ადვილათ არ დავმორჩილდებით მტერსა... თუ ბრძოლაზე მიდგა საქმე, მაშინ ჩვენ ვიცით.

ლუკა. მართლა და, რომ მოსცილდე აქაურობას, ცუდს როდი იზავ.

პეპელი. მერე, სად წავიდე?

ლუკა. აი, მაგალითად, ციმბირში.

პეპელი. ვიდრე სახელმწიფო ხარჯით არ გამგზავნიან, მე ციმბირში არ წავალ.

ლუკა. დამიჯერე, წადი... იქ შეგიძლიან გზა გაიკვალო და საპირონიც არიან იქ შენისთანები.

პეპელი. ჩემი გზა უკვე გაკვალულია.—მამა ჩემმა მთელი თავისი სიცოცხლე ციხეში გაატარა... და მეც ეგევე დამავალა... ბავშვობიდანვე ქურდს მეძახიან... ქურდის შვილს.

ლუკა. ძღიერ კარგი ადგილია ციმბირი! სწორეთ ოქროს ქვეყანაა! ვისაც ჭკუა აქვს და ძალ-ღონე მოსდევს, იმაზე კარგ მხარეს ვერ მონახავს.

პეპელი. მოხუცო, სულ ერთთავათ რათა სტყუი?

ლუკა. ჰა?

პეპელი. დაყრუვდი?.. რათა სტყუი-მეთქი?

ლუკა. რაში ვტყუი?

პეპელი. ყველაფერში... ეს აქ კარგია, ეს იქა... მაშ ეს რა არის, თუ არ ტყუილი?

ლუკა. დამიჯერე, წადი, შენ თითონ ნახე და გაიგებ, ვსტყუი თუ მართალს ვამბობ... იცოდე, მადლობას მეტყვი... რას დასტრიალებ აქაურობას? ან რა ძალიან თავგამოდებით დაეძებ მაგ სიმართლეს... აბა იფიქრე,—იქნება ეგ სიმართლე უფრო უარესი გამოდგეს შენთვის.

პეპელი. ჩემთვის სულ ერთია! უარესია, უარესი იყოს.

ლუკა. უცნაურია! რათ გინდა, რომ ძალათი თავი მოიკლა?

ბუბნოვი. ვერ გამიგია... რეებს გადასცემთ და გადმოსცემთ?.. ვასკა, რომელ სიმართლეს დაეძებ ან რათ გინდა ეგ სიმართლე? ყველას თავისი სიმართლე აქვს: შენ-შენი სხვას სხვისი.

პეპელი. მოიცა... შენ ნუ ჭიჭყინებ... დეე, ამანა სთქვას... გამიგონე, მოხუცო... ღმერთი არის?

ლუკა. (იღიმება).

პეპელი. მითხარ, არის?

ლუკა. (ხმა დაბლა). თუ გრწამს—არის, თუ არა გრწამს —არ არ არის. ქვეყნათ რაცა გრწამს, ის არის. (პეპელი უსიტყვოთ, დაყინებით შესცქერის ლუკას).

ბუბნოვი. წავიდე, ჩაი დავლიო... ტრახტირში არ წამოხვალთ?

ლუკა. (პეპელს). რას მიყურებ?

პეპელი. მოიცა... კარგი... ვსთქვათ... მაშ...

ბუბნოვი. მაშ მარტო მე წავალ. (მიდის და კარებში ვასილისას შეხვდება).

პეპელი. მაშასადამე, შენ...

ვასილისა. (ბუბნოვს). ნასტია შინ არის?

ბუბნოვი. არა. (გადის).

პეპელი. აჰა, მოვიდა...

ვასილისა. (ანნასთან მივა). ხომ ისევ ცოცხალია?

ლუკა ნუ შეაწუხებ...

ვასილისა. შენ რაღას აკეთებ აქა?

ლუკა. თუ აგრეა... წავალ...

ვასილისა. (პეპელის ოთახის კარებისაკენ გაემართება). ვასილი, შენთან საქმე მაქვს. (ლუკა დერეფნის კართან მივა, გააღებს და ისევე მაგრა მიაჯახუნებს. შემდეგ ტახტიდან ფეჩზე ადის სიფრთხილით).

ვასილისა. (პეპელის ოთახიდან). ვასია, აქ მოდი.

პეპელი. არ მოვალ.

ვასილისა რატომ? რაზე წყრები?

პეპელი. მომბეზრდა ამდენი ვაი-ვაგლახი.

ვასილისა მეც მოგბეზრდი?

პეპელი. დიახ, შენც...

ვასილისა. (მხრებზე ხელსახოცს გადმოიჯიმავს და ხელებს გულზე მიიკრავს. მივა ანნას საწოლთან, ფრთხილათ შეიხედავს ფარდიდან და შემდეგ ისევ პეპელთან დაბრუნდება).

პეპელი. აბა, რას იტყვი?

ვასილისა. რა უნდა ვსთქვა? ძალათ თავის შეყვარება შეუძლებელია. მეც ჩვეულებათ არა მაქვს მოწყალების თხოვნა... გმადლობ სიმართლისათვის.

პეპელი. რომელ სიმართლისათვის?

ვასილისა. რომ თავი მოგაბეზრე... ან იქნება ეს ტყუილია?

პეპელი. (უსიტყვოთ შეჰყურებს).

ვასილისა. (მიუახლოვდება). რას მიყურებ? ვერა მცნობ?

პეპელი. (ამოიოხრებს). ოჰ, რა ლამაზი .. რა მომხიბლავი ხარ... (ვასილისა კისერზე ხელებს მოხვევს, პეპელი მხრებს გაიქნევს და ჩამოიცილებს). მაგრამ არასოდეს არა მყვარებიხარ... თუმცა ვცხოვრობდი შენთან, მაგრამ არასოდეს არ მომწონდი...

ვასილისა. (ნელათ). ეგრე-ჰა? მერე?

პეპელი. არაფერი... წადი, ჩამომეხსენი.

ვასილისა. იქნება სხვა ვინმე მოგვიდა თვალში?

პეპელი. შენი საქმე არ არის... მაჭანკლობას როდი გთხოვ.

ვასილისა. (მნიშვნელობით). და ძალიან ცუდსაც სჩადიხარ.

შეიძლება მე ის შენთან შემეუღლებინა.

პეპელი. (ეჭვით). ვინ ის?

ვასილისა. თვითონაც კარგათ იცი... რა საჭიროა თვალთ-მაქცობა? ვასილი, მე პირდაპირი ადამიანი ვარ. (ნელის ხმით). არას დაგიმალავ. შენ მე მაწყენინე .. იძახდი, მიყვარხარო... და ეხლა კი უცებ...

პეპელი. უცებ კი არა, მე დიდი ხანია გეუბნები... შენ უსულ-გულო არსება ხარ... მანდილოსნის მაღალ ღირსებას კი სული უნდა შეადგენდეს. ჩვენ მხეცები ვართ... ჩვენთვის განსწავლა, გაწრთვნაა საჭირო... და შენ კი როგორ გამ-ეწრთვენ, რა შემასწავლე?

ვასილისა. რაც იყო, განქრა... ვიცი რომ ადამიანი თავის-თავის უფალი არ არის. აღარ გიყვარვარ? კეთილი! დეე, ასე იყოს.

პეპელი. მაშასადამე, ყველაფერი მშვიდობიანათ გათავ-და. უჩხუბრათ და უდავიდარაბოთ დავშორდით ერთმანეთს .. ეს კარგია!

ვასილისა. არა, მოიცა... როდესაც შენთან ვცხოვრო-ბდი, იმედი მქონდა, რომ ამ საშინელ ჭაობიდან ამომიყვან-დი... მე მეგონა, ქმარს და ბიძას მამაშორებდი... ამაცდენ-დი ამ ვაგლახ ცხოვრებას... და, სწორე გითხრა, შეიძლება, შენ კი არა, სწორეთ ეს იმედი იყო, რომ შენ თავს მაყვა-რებდა.

პეპელი. მე კი ვფიქრობდი, რომ შენ როგორც ჭკვი-ანი ქალი... შენ ხომ ჭკვიანი და მოხერხებული ხარ?!

ვასილისა. (მისკენ დაიხრება). ვასია, მოდი დავეხმაროთ ერთმანეთს...

პეპელი. როგორ თუ დავეხმაროთ?

ვასილისა. (ხმა დაბლა და ძლიერათ). მე ძლიერ კარგათ ვიცი, რომ ჩემი და მოგწონს...

პეპელი. მაგიტომა სცემ ასე მხეცურათ? მიფრთხილდი, ვასკა! „იმას“ თავი დაანებე!

ვასილისა. მოითმინე! ნუ ცხარობ... შეიძლება ყველა-ფერი ჩუმათ და კეთილათ დაბოლოვდეს. მოდი, შეირთე

ჩემი და... მე კიდევ ფულსაკ მოგცემ... სამას მანეთს მოგცემ... შესაძლოა მეტიც მოგცე—თუ მოვაგროვე.

პეპელი. (უკან დაიწევს). აი თურმე რა ყოფილა! ოჰოო! ეგ ძლიერ მოხერხებულათ მოგიფიქრია! ყოჩაღ! მაშასადამე... ქმარი—კუბოში, საყვარელი—კატორღაში და შენ კი...

ვასილისა. რათა კატორღაში? ვასია, შენ თითონ ნუ... ამხანაგის შემწეობით.. და თუნდა თითონაც ჩაიდინო ეს საქმე, ვინ რას გაიგებს .. ნატალია... ფულები... აბა იფიქრე... წახვალთ საითმე... და მეც სამუდამოთ გამანთავისუფლებ... ჩემი დაც, რომ ჩემს გვერდით აღარ იქნება, იმისათვის კარგია... მე ის დასანახავათაც კი მძულს. . შენი გულისათვას ვაღრჩობ მე იმას, ვაწვალებ... ვაწვალებ, ისე ულმერთოდ, რომ თითონ მევე მტკივა გული... მაინცა ვცემ... და მუდამაც ასე მოვიქცევი...

პეპელი. მხეცო! იკვეხი კიდეც შენ სიმხეცეს?

ვასილისა. კი არ ვიკვეხი, სიმართლეს გეუბნები... მოიფიქრე, ვასია... აი შენ თითონაც, ჩემი ქმრის გაუმაძღროების გულისათვის, ორჯელ ციხეში იჯექი... და მეც, აგერ ოთხი წელიწაჯია, სისხლსა მწოვს... განა ის ქმარია? ნატაშას ხომ სტანჯავს და ყოველ ნაბიჯზე მისძახის: უმაქნისო, მათხოვარავ! განა ყველასთვის შხამი და საწავლავი არ არის?

პეპელი. მოხერხებულათ თვალთ-მაქცობ!

ვასილისა. რაში ხედავ თვალთ-მაქცობას? მხოლოთ სულელი ან უგნური ვერ გაიგებდა ჩემ აზრებს .. შენ კი უნდა მიხვდე .. (კოსტილევი შემოდის და წინ მოიპარება ფრთხილათ).

პეპელი. (ვასილისას). ქმარა, წადი...

ვასილისა. აბა დაფიქრდი... (დაინახავს ქმარს). შენ მე გამომყე?

პეპელი. (შეკრთება და ველურად შეჰყურებს კოსტილევს).

კოსტილევი. ეგ... მე... მე ვარ... მარტონი ხართ?.. ჰმ... მუსაიფობთ, არა? (ეცრივ ფეხებს ააბრახუნებს და გაანჩხლებული დაყვირებს). ვასკა, შე უმსგავსო! საზიზღარო, მათხოვარავ! (თავისავე ხმაზე შეკრთება, რადგან ვასილისა და პეპელი ხმას არ იღებენ და არც გაინძრევიან). ოჰ, ღმერთო, შემინდე შეცოდება-

ნი ჩემნი! ვასილისა, ცოდვებში მხვევ!.. ყველგან დაგეძებ. . (კბილების კრეჭით). ძილის დროა... ლამპარში ზეთის ჩასხმაც დაგვიწყებია... უჰ, შე მათხოვარავ, შე ღორო! (აკანკალებულ ხელებს მოუქნევს, ვასილისა ნელის ნაბიჯით მიდის დერეფნის მხარეს და პეპელისაკენ იხედება).

პეპელი. (კოსტილევს). შენ ეი! წადი... მომშორდი!

კოსტილევი. (ყვირის). მე აქ სახლის პატრონი ვარ! შენ თითონ წადი... შე ქურდო, შენა!

პეპელი. (ყრუდ). მიშა, მომშორდი!

კოსტილევი. ხმა ჩაიწყვიტე. . მე აქ... მე შენ... (პეპელი კისერზე ხელსა სტაცებს და ანჯღრევს. ფეჩიდან ხმაურობა და ხმა-მაღლივი მთქნარება მოისმის. პეპელი გაანთავისუფლებს კოსტილევს, რომელიც ყვირილით დერეფნისაკენ გაექანება).

პეპელი. (ტახტზე შეხტება). ვინ არის აქ? ვინა ხარ ფეჩზე?

ლუკა. (თავს გადმოჰყოფს). ჰა?

პეპელი. შენა ხარ?

ლუკა. (მშვიდათ). მე ვარ... თვით მე... ოჰ, მაცხოვარო! წმიდა ქრისტეო!

პეპელი. (დერეფნის კარს მიხურავს; ურდულს ეძებს და ვერ უპოვნია). ოჰ, წყეულნი! მოხუცო, ჩამოეთრიე!

ლუკა. ეხლავე... ჩამოვალ...

პეპელი. (მოღუშული). მანდ რათ შემძვრალხარ?

ლუკა. მაშ სად უნდა შემძვრალვიყავ?

პეპელი. აკი დერეფანში გახვედი?

ლუკა. დერეფანში, ძამიავ, მოხუცი ვარ, შემცივა...

პეპელი. ყველაფერი გაიგე?

ლუკა. დიახ, გავიგე... როგორ არ გავიგე... ყრუ ხომ არა ვარ!.. ბედი გქონია, ბედი!

ლუკა. (ეჭვით). რა ბედი ან რაში მქონია ბედი?

ლუკა. აი მე რომ ფეჩზე შევძვერი. .

პეპელი. მერე, იქ რათ ასტეხე ხმაურობა?

ლუკა. იმიტომ, რომ დამცხა... კიდევ კარგი, რომ შენ-და საბედნიეროთ, მოვიფიქრე და არ დაგახრჩობინე მოხუცი...

პეპელი. დიახ, ადვილი შესაძლებელი იყო ეგ ჩამედინა... მე ის მძულს .. მეზიზღება..

ლუკა. მართალია... და არც გასაკვირველია... მაგ გვარი შემთხვევა ხშირათ მოხდება ხოლმე.

პეპელი. (ღიმილით). გეტყობა შენც დაგმართია ასეთი რამ?!

ლუკა. ყური დამიგდე რას გეტყვი... ის დედაკაცი მოიშორე თავიდან... ახლოს არ გაიკარო... ის თავის ქმარს შენზე კარგათ უჩვენებს თავის გზას... იმ ალ-ქაჯს ნურაფერს ნუ გაუგონებ... აი, ხომ ხედავ, თავზე ბალანი აღარა მაქვს.. მერე რისგან? ვისგან? მხოლოთ დედაკაცებისაგან... რამდენი დედაკაციც მე მინახავს და დავახლოვებივარ, იმდენი თმა არა მსხმია ამ გაშიშვლებულ თავზე .. ეგ დედაკაცი კი...

პეპელი. არ ვიცი მადლობა გითხრა, თუ შენც...

ლუკა. გამიგონე-მეთქი... თუ შენ ნატაშა მოგწონს... მოჰკიდე ხელი და წადი, მოშორდი აქაურობას...

პეპელი. ვერ მიცვნია ეს ხალხი... კეთილს და ბოროტს ერთმანეთში ვერ ვარჩევ... ვერაფერი ვერ გამიგია...

ლუკა. რა არის აქ გაუგებარი? ადამიანი იცვლება: დღეს კეთილია, ხვალ ბოროტი... და ნატაშა თუ მართლა გულით მოგწონს, წაიყვა და წადი... ან არა და—მარტო წადი... ჯერ კიდევ ახალგაზდა ხარ... ქალებს ბევრს იშოვი...

პეპელი. (მხარზე ხელს დაადებს). არა, შენ ეს მითხარი.... ყველა მაგას რისთვის მელაპარაკები?

ლუკა. მოითმინე... დამაცა ერთი ანნას დავხედო... წელან როგორღაც ახრიალებდა... (ანნას საწოლთან მიდის, ფარდას გადასწევს, დაჰყურებს და ხელს შეეხებს. პეპელი დაფიქრებული და თავგზა დაბნეული შესცქერის) ყოვლად მოწყალეო, იესო მაცხოვარო! განუსვენე სულსა მიცვალებულისა მონისა შენისა ანნასასა!

პეპელი. (ხმა დაბლა). მომკვდარა? (შორიდან გადახრილი დასცქერის საწოლს).

ლუკა. დიახ, აღესრულა... ამისი ქმარი სად წავიდა?

პეპელი. ტრახტირში იქნება.

ლუკა. უნდა შევატყობინოთ.

პეპელი. (შეკრთება). არ მიყვარს მიცვალებული...

ლუკა. (კარებისაკენ მიდის). მკვდარი რა შესაყვარებელია... ცოცხალი უნდა გიყვარდეს და არა მკვდარი- .

პეპელი. მეც წამოვალ...

ლუკა. გეშინიან?

პეპელი. არ მიყვარს... საზარელია! (საჩქაროთ გადიან... სიჩუმე და სიცარიელე. დერეფნის კარებთან ყრუ და გაუგებარი სიტყვები მოისმის. შემდეგ შემოდის მსახიობი).

მსახიობი. (გაჩერდება კარების ზღუდეში. ორივე კარს აქეთ-იქით ხელს ჩაკიდებს და ყვირის). ეი, მოხუცო! სადა ხარ? მოვიგონე! ყური დამიგდე! (ბარბაცით გადმოსდგავს ორ-სამ ნაბიჯს, გამომეტყველ სახეს მიიღებს და ლექსს ამბობს).

თუ რომ ჰვეყანას არ შეუძლიან
პოვნა წმინდისა სიმართლის გზისა,—
დიდება უგნურს, რომელიც მოჰგვრის
კაცობრიობას ოქროს ტკბილ ძილსა.

(კარებში გამოჩნდება ნატაშა და მსახიობის უკან გაჩერდება).

მოხუცო!

რომ მოხდეს და ხვალ მზეს დაავიწყდეს
გზის განათება დედა-მიწისა,—
ხვალვე ქვეყანას სხივებს მიმოჰფენს,
აზრები ვინმე უგუნურისა!

ნატაშა. (იცინის). თავ-ცარიელი... როგორ გალექილა!

მსახიობი. (მისკენ მიბრუნდება). ოჰ, ეგ შენა ხარ? მოხუცი სადღაა? ჩემი ძვირფასი მოხუცი? როგორცა სჩანს, არავინ არ არის... მშვიდობით, ნატაშა, მშვიდობით!

ნატაშა. (შემოდის) ჯერ არ მომსალმებიხარ და მემშვიდობები?

მსახიობი. (გზას გადაუღობას). მე მივდივარ... მივემგზავრები... დადგება გაზაფხული და მე აქ ვეღარა მნახავთ.

ნატაშა. გზა მომე!.. საით მიემგზავრები?

მსახიობი. ქალაქის საპოვნელათ... მოსარჩენათ... შენც წადი, ოფელია! მონასტერში წადი, მონასტერში... შენ იცი, არსებობს სამკურნალო ორგანიზმისა. . სადაც ლოთებს არჩენენ... შესანიშნავი სამკურნალოა!.. მარმარილოს იატაკით...

სინათლე .. სისუფთავე... საჭმელ-სასმელი... სულ მუქთათ... დიახ, მარმარილოს იატაკით... მე იმას ვიპოვნი... განვიკურნები... და ისევ ხელ-ახლათ შეუდგები ცხოვრებას...! ნატაშა, ხომ გახსოვს მეფე ლირის სიტყვები... ჩემი სახელი სვერჩკოვ-ზავოლჟსკი იყო სცენაზე... ეხლა კი ეს არავინ არ იცის... არავინ... აღარა მაქვს სახელი... აღარ... იცი, რა ძნელია სახელის დაკარგვა... ძაღლებსაც კი აქვთ თავიანთი სახელი... (ნატაშა მსახიობს გვერდით გაუვლის, მივა ანნას საწოლთანდა დააცქერდება). ყველა კაცსა აქვს თავისი სახელი!

ნატაშა. ღმერთო ჩემო, მომკვდარა!

მსახიობი. (თავს იქნევს). შეუძლებელია!

ნატაშა. ღმერთს გეფიცები... ნახე...

ბუბნოვი. (კარებიდან). რა უნდა ნახოს?

ნატაშა. ანნა მოკვდარა!

ბუბნოვი. მაშასადამე ხველებას ვადუვლია.... (მიდის ანნასთან. დაცქერდება და ისევ უკან წამოვა). კლეშჩს უნდა შევატყობინოთ... მოუაროს...

მსახიობი. მე მივდივარ... ვეტყვი... დაიკარგა სახელი... (გადის).

ნატაშა. (ოთახის შუაზეა) ვეც ოდესმე ესე სარდაფში ჩაგდებულს...

ბუბნოვი. (თავის ტახტს რაღაცა ძონძს გადააფარებს). რაო, რას ბუტბუტებ?

ნატაშა. ისე, ჩემთვის...

ბუბნოვი. ვასკას, ელი? უფრთხილდი თორემ, მე ვიცი, შენ ის კისერს მოგტეხავს....

ნატაშა. მაინც არ ამცდება და, სულ ერთია, დეე იმან მომტეხოს

ბუბნოვი. (წამოწვება). კარგი, შენ იცი.

ნატაშა. მოკვდა და მოშორდა უბედურებას, მაგრამ მაინც მენანება. ღმერთო, რისთვის ცხოვრობდა?

ბუბნოვი. ყველა ეგრეა: იბადებიან, ცხოვრობენ და კვდებიან... მეც მოვკვდები, ისიც, შენცა და სხვაცა... რა საჭიროა შენანება! (შემოდიან: ლუკა, თათარი, კრიეოიზობი და კლეშჩი. კლეშჩი ყველაზე უკან შემოდის—მობუზულია).

ნატაშა. სსს... ანნა...

ᲙᲠᲘᲕᲦᲘᲨᲦᲑᲘ. გავიგეთ... ღმერმა სასუფეველი დაუმკვიდროს მაგის სულსა!

ᲗᲐᲗᲐᲠᲘ. (კლეშჩს). უნდა გავიტანოს... დერეფანი გავიტანოს... მგვდარი აგ არა... აგ ცოცხალი უნდა დაიზინოს...

ᲙᲚᲔᲨᲩᲘ. (ხმა დაბლა). გავიტანთ! (ყველანი საწოლთან მივლენ. კლეშჩი ყველაზე უკანა სდგას და ცოლს გადასცქერის).

ᲙᲠᲘᲕᲦᲘᲨᲦᲑᲘ. (თათარს). შენა ბგონია სუნი აუვა?.. სუნს არ დააყენებს... ეგ ცოცხლათვე გახმა.

ᲜᲐᲢᲐᲨᲐ. ღმერთო! ებრალებოდეთ მაინც. ერთს მაინც ეთქვა რაიმე წესიერი სიტყვა!.. ოჰ, თქვე...

ᲚᲣᲙᲐ. შენ, გოგონა, ნუ ჯავრობ!.. არაფერია! ჩვენ სად შეგვიძლია, რომ მკვდრები შევიბრალოთ?! ეჰ, ჩემო კეთილო! ცოცხლები არ გვებრალებიან... ჩვენი საკუთარი თავის შებრალებაც ვერ მოგვიხერხებია... სად შეგვიძლია კვდრები შევიბრალოთ...

ᲑᲣᲑᲜᲝᲕᲘ. (ამთქნარებს), კიდევაც ვიტყვი: სიკვდილს ხმაურობისა არ ეშინიან... ავადმყოფობას ეშინიან ხმაურობისა და არა სიკვდილს.

ᲗᲐᲗᲐᲠᲘ. (ჩამოშორდება). პოლიცია უნდა...

ᲙᲠᲘᲕᲦᲘᲨᲦᲑᲘ. უეკველათ უნდა შევატყობინოთ პოლიციას... კლეშჩ, პოლიციაში გამოაცხადე?

ᲙᲚᲔᲨᲩᲘ. არა... დამარხვა უნდა... მე კი ორი აბაზის მეტი არა მაქვს...

ᲙᲠᲘᲕᲦᲘᲨᲦᲑᲘ. რადგან ასეა საქმე—ისესხე... ან არა და ჩვენ შევაგროვოთ... ზოგი თითო შაურს მოგვცემს... ზოგი... ვისაც რა შეუძლია... პოლიციაში კი გამოაცხადე... დაეჩქარე! თუ არ გამოაცხადე, ასე ეგონებათ, ან შენ მოგიკლავს, ან არა და... (მიდის ტახტთან და თათართან დასაწოლათ ემზადება).

ᲜᲐᲢᲐᲨᲐ. (ბუბნოვის ტახტს ჩამოსცილდება). ეხლა სულ ეს უნდა დამესიზმროს ხოლმე ძილში... სულ ერთთავათ მიცვალებულებსა ვხედავ სიზმარში... მარტო ვერ წავსულვარ... მეშინიან... დერეფანში ბნელა...

ᲚᲣᲙᲐ. (უკან მისდევს). კვდრებისა ნუ გეშინიან... შენ ცოცხლებს ერიდე... ცოცხლებს გაუფრთხილდი...

ნატაშა. ბიძია, გამაცილე

ლუკა. გაგაცილებ... წავიდეთ! (გადიან. პაუზა).

კრივოლიზობი. ოჰ-ჰო-ჰო-ჰო! ასან! ჩქარა გაზაფხულ დადგება, მეგობარო, და თბილათ ვიცხოვრებთ... ეხლა სოფლათ გლეხები გუთანსა და სახნის-საკვეთს ამზადებენ... სახნავათ ემზადებიან... ჩვენა, ჩვენ რაღას ვუყურებთ?.. ასან! დაუძილქუშნია ამ წყეულ მაჰმადიანს...

ბუბნოვი. თათრებს ძილი უყვართ.

კლეშჩი. (ღამის სათევის შუა სდგას და გარინდებული იცქირება თავის წინ). რაღა ვქნა ეხლა?!

კრივოლიზობი. დაწექ და დაიძინე... მეტი არაფერი...

კლეშჩი. (ნელად). ამას... ამას რა ვუშველო? (პასუხს არავინ აძლევს. შემოდიან მსახიობი და სატინი).

მსახიობი. (ყვირის). მოხუცო! აქეთ, ჩემო ერთგულო კენტო!

სატინი. მიკლუხა-მაკლაი მოდის... ხ-ხო!

მსახიობი. გათავდა! მორჩა!! მოხუცო! სად არის ქალაქი... შენ სადა ხარ?

სატინი. ფატა-მორგანა! მოგატყუა მოხუცმა, მოგატყუა!.. არაფერი არ არის... არაფერი... არც ქალაქი... არც ხალხი... არაფერი არ არის...

მსახიობი. სტყუი!

თათარი. (წამოხტება). ხაზეინი ზადა ვარ? ხაზაინთან ზავიდოს... აგ ვერ დაიზინოს... ფული არ მოგცოს... მგვდარი, მდვრალი კაცი... (საჩქაროთ გადის. სატინი სტვენით გააცილებს).

ბუბნოვი. (ნამძინარევი ხმით). დაიძინეთ, ყმაწვილებო! ნუ ხმაურობთ... ღამე ძილი უნდა!

მსახიობი. დიახ... აქ მიცვალებულია... „ჩვენსა ბადესა მიცვალებული მოუთრევია“. ლექსი ბ—ბერანჟერისა! ჩუმათ... აქ მიცვალებულია!

სატინი. (ყვირის). მიცვალებულებს არაფერი არ ესმით! მიცვალებულნი არაფერს არა გრძნობენ! იყვირე, იღრიალე! მიცვალებულებს არაფერი არ ესმით! (კარებში ლუკა გამოჩნდება).

ფ ა რ დ ა.



მესამე მოქმედება.

უდაბური ადგილი, ათას გვარი ნამტვრევ-ნალეწებით სავსე. ეზო ბალახ-ბულახითაა მოფენილი. სცენის სიღრმეში ქვიტკირის მაღალი კედელია, რომელიც ცასა ჰფარავს; მის მახლობლათ დუდგულის ბუჩქნარი. მარჯვ-ნივ—გაშავებული კოჭაკების კედელი ეზოს შენობისა—სარაიის ანუ საჯინიბოსი. მარცხნივ—ყომრალი კედელი კოსტილევების ღამის სათევ ოთახისა, რომელსაც ალაგ-ალაგ-ღა შერჩენია ნალესი. ეს კედელი ალ-მაცერათა სდგას, ისე, რომ უკანა კუთხე, თითქმის, უდაბურის შუა გულს ესწორდება. ამ კედლის და წითელი კედლის შუა, ვიწრო გასა-ვალია. ყომრალ კედელს ორი სარკმელი ატანია:—ერთი მიწის პირათ; მეორე—ორი არშინით მაღლა, ქვიტკირის კედლის მახლობლათ. ამ კე-დელთან გდია ყირამალა გადაბრუნებული მარხილი და ბოძის ჩამონაჭე-რი სიგრძით ოთხი არშინის ოდენა. მარჯვენა კედელთან დაგროვილია—ძველი ფიცრები, ლატნები და კოჭები. საღამოა. ჩამავალი მზე წითლათ ანათებს ქვიტკირის კედელს. გაზაფხულს პირი ახლათ უჩანს. ცოტა ხნის წინეთ თოვლი მოდიოდა. დუდგულის გაშავებული შტოები ჯერ ისევ უკოკრაა. ბოძზე მწკრივათა სხედან **ნატაშა** და **ნასტია**, ხოლო შეშის ნამტვრევებზე **ლუკა** და **ბარონი**. **კლეშჩი** წამოწოლილია ხეების გროვაზე, მარჯვენა კედელთან. მიწის პირათ, რომ ფანჯარაა, იქიდან **ბუბნოვის** სახე მოსჩანს.

ნასტია. (თვალები დახუჭული აქვს, სიტყვებს თავის ქნევას უფარ-დებს და ისე ლაპარაკობს, თითქოს გალობსო). შუა ღამეა. ის პი-როგისამებრ მოდის ხემთან—ბაღის ზეივანში.... მე დიდი ხა-ნია რაც ველი და ვაებისაგან მთლათ ვცახცახებ. ისიც ჩემ მდგომარეობაშია. სახე ცარცივით გასთეთრებია და ხელში რევოლვერი უჭირავს...

ნატაშა. (სემიჩკას ამტვრევს). ვერ უყურებთ! მაშ მართალი ყოფილა, რომ ამბობენ—სტუდენტები თავზე ხელ-აღებული ხალხნი არიანო!

ნასტია. მოდის და მეუბნება საზარელი ხმით: ჩემო ძვირფასო და საყვარელო...

ბუბნოვი. ხო-ხო! ძვირფასოვო?

ბარონი. მოიცა! თუ არ მოგწონს—გაეცალე, ტყუ-ლის თქმა კი აცალე! მერე?

ნასტია. ჩემო თვალის ჩინო და საყვარელო... მშობლე-

ბი შენზე ჯვარ-წერის ნებას **არ** მაძლევენ და სამუდამო წყევა-კრულვასა მპირდებიან შენი სიყვარულისათვის. მე ჩემ სიცოცხლეს ბოლო უნდა მოვუღო... მეტი არა დამრჩენია-რა —ხელში კი ვებერთელა რევოლვერი უჭირავს... ათი ტყვიით გატენილი!—მშვიდობით, ჩემო ძვირფასო, ჩემი ჩაგრული გულის თანამგრძნობელო! მე გადავწყვიტე.. უშენოთ სიცოცხლე არ ძალ-მიღს... და მე ვუპასუხე: ჩემო დაუვიწყარო მეგობარო, რაული...

ბუბნოვი. (გაკვირვებული). რაო? ყარაული?

ბარონი. (იცინის). ნასტენკა! იმ დღეს არა სთქვი, რომ გასტონი ჰქვიანო?!

ნასტია. (წამოხტება). გაჩუმდით... ოჰ, თქვე უბედურნო! თქვე მაწანწალა ძაღლებო! განა თქვენ შეგიძლიანთ მიხვდეთ, გაიგოთ—რა არის სიყვარული, ჭეშმარიტი სიყვარული? და მე კი გამოვცადე ეგ... დიახ, გამოვცადე ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარული... (ბარონს). შენ! უმაქნისო... განათლებული კაცი ხარ... იძახი მწოლარე ყავას მივირთმევდიო...

ლუკა. მოითმინეთ... ნუ უშლით... პატივი ეცით ადამიანს... საქმე სიტყვები კი არ არის, არამედ ის, თუ რაზე ამბობენ ამ სიტყვებს... აი რაშია საქმე... გვიამბე, გოგონი, გვიამბე... არაფერია!

ბუბნოვი. დაიმშვენე, ყვავო, ფრთები... დაფქვი!

ბარონი. აბა—მერე?

ნატაშა. ყურს ნუ უგდებ, ჩემო კარგო... ეგ მაგათ შურით მოსდით... თავიანთ თავზე არა აქვთ რა სათქმელი და...

ნასტია. (ისევ ჩაეოჯდება). არა **მსურს**... მეტს აღარაფერს არ ვიტყვი... თუ კი არა სჯერათ.. თუ დამცინიან... თუ კი... (ერთბაშათ სიტყვებს შესწყვეტავს და რამდენიმე წამს ჩუმათ არის. შემდეგ ისევ დახუჭავს თვალებს და კვლავ განაგრძობს თავის ამბავს, მხურვალეთ და ხმა-მაღლა. ხელების მოძრაობას სიტყვებს უფარდებს და, თითქოს, შორით მუსიკის ხმას ყურს უგდებსო). და აი—მე ვუპასუხე: ჩემო სიცოცხლის ნუგეშო! ჩემო მოელვარე მთვარეევ! არც მე შემიძლიან უშენოთ სიცოცხლე... როგორც მიყვარხარ, თავ-განწირვითა და გაგიჟებით, ასევე მეყვარები ვიდრემდე მიცემს მე მკერდში გული!.. მხოლოთ... ნუ... ნუ მოისპობ შენ ნორჩ სიცოცხლეს... ეგ სიცოცხლე საჭიროა შენი ძვირფასი მშობლებისათვის... შენა ხარ მათი ნუგეში... შენა ხარ მათი სიხარული... დამტოვე! დეე, ისევ მე დავიღუპო!.. დეე, ისევ მე მომკლას შენზე დარდმა და ნაღველმა... მე მარტო

ვარ .. ერთი ვარ... ჩემი ბუნება ასეთია... დეე, ისევ მე... მე დავიღუპო... სულ ერთია... მე არაფერში არა ვარ გამოსადეგი... და არც არა მაქვსრა... სრულიად არა მაქვსრა... *(სახეს ხელებით დაიფარავს ღა უჩუმრივ ტირის).*

ნატაშა. [მხარს შეაქცევს და ხმა-დაბლა). ნუ სტირი... აბა, რა საჭიროა ტირილი?.. (ლუკა იღიმება და ნასტიას თავზე ხელს უსვამს).

ბუბნოვი. (ხარხარებს). ერთი უყურეთ ამ ჭინკის ბღარტსა და!

ბარონი. (ესეც იცინის). ბიძია! შენ იქნება ყველა ეგ მართალი გგონია?... ეგ მაგ ამბავს, უბედური სიყვარულის წიგნი, რომ აქვს, იქიდან ამოიკითხავდა... ყურს ნუ უგდებ მაგის როხვას...

ნატაშა. მერე, შენ რა? გირჩევნია გაჩუმდე, თორემ...

ნასტია. (გულ-მოსული). ოჰ, შე უსულო ლეშო! შე გრძნობა დახშულო! შენ ხომ გული, სული არა გაქვს?

ლუკა. (ნასტიას ხელს მოჰკიდებს). წავიდეთ, ჩემო კარგო! ნუ ჯავრობ! არაფერია... მე-ვიცი... მე-მჯერა! შენ მართალი ხარ... ესინი სტყუიან!.. თუ გრწამს, რომ ის, რაც შენ გამოსცადე, ჭეშმარიტი სიყვარული იყო, მაშასადამე ყოფილა! დიახ, ყოფილა! (ბარონზე უჩვენებს). ამ ადამიანზე ნუ ჯავრობ... ეს, შეიძლება, შურითაც იცინის... შეიძლება, ამისთვის ნამდვილი, ჭეშმარიტი, თავის დღეში არა ყოფილარა... შეიძლებაარა ყოფილარა... წავიდეთ!

ნასტია. (გულზე ხელებს მაგრა მიიკრავს). ბიძია! ღმერთს გეფიცები... ყველა ეს ნამდვილათ მოხდა... ის ფრანგი სტუდენტი იყო.. სახელათ გასტონი ერქვა... შავ-წვერა... ბჭყვრიალა ჩექმებს იცვამდა ხოლმე... ოჰ, რატომ მეხი არ ჩამოვარდება და მიწაში არ ჩამიტანს... მერე—ისე ვუყვარდი... ისე ვუყვარდი, რომ...

ლუკა. მე-ვიცი! ეგ არაფერია... მე მჯერა! მაშ ბჭყვრიალა ჩექმებს იცვამდა, ჰა? ვერ უყურებთ? იმას უყვარდი... ჰო, მერე? შენც გიყვარდა? (კუთხიდან გადიან).

ბარონი. რა სულელია ეს ქალი... კეთილი გულისაა, მაგრამ აუტანელი სულელია!..

ბუბნოვი. ადამიანს სიცრუე ძლიერ უყვარს... თითქოს გამომძიებლის წინაშე სდგასო, სულ ცრუობს და ცრუობს...

ნატაშა. სჩანს—სიცრუე სიმართლეზე სასიამოვნოა... მეც...

ბარონი. რაა შენც? მერე?..

ნატაშა. ვფიქრობ... ვფიქრობ და —ვუცდი...

ბუგნოვი. რას უცდი?

ნატაშა. (მკრთალის ღიმილით). ისე... ყოველთვის ვფიქრობ, რომ დღეს თუ ხვალ მოვა ვინმე, განსაკუთრებულ თვისების ადამიანი... და სრულიათ ახალი რამ მოხდება.. ხანგრძლივათ, მუდმივ ველი... მაგრამ ამაოთ... ან და მართლაც —რას უნდა მოველოდე? (პაუზა).

ბარონი. (სიცილით). არაფერს... მე არაფერს არ მოველი... გადასახადი-გადამხდა... მორჩა... გათავდა!.. მერე?

ნატაშა. ზოგჯერ წარმოვიდგენ, რომ ხვალ უეცრათ უნდა მოვკვდე.. და გულს სევდით ვივსებ... ზაფხულის დროს კარგია სიკვდილზე ფიქრი... ზაფხულობით მეხი ხშირათა ვარდება... მეხით სიკვდილი ყოველთვის შესაძლოა. .

ბარონი. მწარე ცხოვრებაა, შენი ცხოვრება... შენ **დას** ქაჯ-ეშმაკის ხასიათი აქვს...

ნატაშა. მერე, ვინა ცხოვრობს კარგათ? ყველა სიმწარით იკვებება... ყველა მწარეთა ცხოვრობს...

კლეშჩი. (რომელიც აქამდე უძრავათ იწვა და მონაწილეობას არაფერში არ იღებდა—ეხლა უეცრივ წამოხტება). ყვყლა? სტყუი! ყველა არა! ასე, რომ იყოს... რა უშავდა?! ასე, რომ იყოს, საწყენი არ იქნებოდა... დიახ, არ იქნებოდა საწყენი...

ბუგნოვი. რა დაგემართა? რა შავი ჭირი გეცა? ვერ უყურებთ, როგორ აღრიალდა? (კლეშჩი ისევ თავის ადგილას დაწვება და ბუზღუნებს).

ბარონი. წავალ ნასტიას შევურიგდები, თორემ გადასაყლურწავათ ფულს აღარ მომცემს.

ბუგნოვი. მმ... ხალხს სიცრუე უყვარს... ნასტიას საქმე აშკარაა... ის პირი-სახეს ხომ იგლესავს... შეჩვეულია... ახლა სულის წაგლეს-წამოგლესაც სწადია... მაგრამ სხვები? სხვები რაღათ სჩადიან ამ გვარსავე საქმეს? აი, მაგალითად, ლუკა... ძლიერ ბევრსა ცრუობს... მერე სულ უარგებლოთ... მოხუცი კაცია, რათ იქცევა ასე?

ბარონი. (სიცილით, ჩამოსცილდება). ყველას სულს ნაცრის ფერი აძევს და ალის ფრათ შეცვლა სწადია...

ლუკა. (კუთხიდან შემოდის). შენ, ჩემო ბატონო, რათ აწუხებ იმ ქალსა რათ უშლი? დეე, იტიროს და მით გაკრთოს... ის ხომ თავის სიამოვნების გულისათვის აფრქვევს ცრემლსა... შენ რა გაკლდება?

ბარონი. სისულელეა, მოხუცო თავი მოგვაბეზრა! ..

დღეს—რაული, ხვალ—გასტონი... და ყოველთვის კი ერთი და იგივე... თუმცა—სულ ერთია—შესარიგებლათ მივდივარ მასთან! (გადის).

ლუკა. წადი და მიუალერსე! ადამიანის მიალერსება—მავნებელი როდია...

ნატაშა. რა კეთილი ხარ, მოხუცო! რათა ხარ ასეთი კეთილი?

ლუკა. კეთილია, ამბობ? ძალიან კარგი, თუ კი ასეა... დიახ... (წითელი კედლის იქიდან გარმონის ნელი ხმა და სიმღერა მოისმის). საჭიროა, რომ კეთილი კაციც არსებობდეს ქვეყნათ... ხალხი უნდა გებრალებოდეს!.. აი, ქრისტეს ყველა ებრალებოდა და ჩვენც ასევე დაგვავალა... მერწმუნე, შვილო, რომ თავის დროზე ადამიანის შებრალება... ძლიერ კარგია... აი, მაგალითად, ერთხელ აგარაკზე დარაჯათ ვმსახურობდი... ინჟინერთან ვიყავი, ქალაქ ტომსკის მახლობლათ... კარგი და კეთილი... აგარაკი ტყეში იყო გაშენებული... მიყრუებულ ალაგას... ზამთარია და აგარაკზე მარტოთ-მარტო მე ვარ... ძალიან კარგი და კეთილი! ერთხელ, ვნახოთ, მოძვრებიან!

ნატაშა. ქურდები?

ლუკა. სწორეთ ისინი. მოძვრებიან... დიახ! ავიღე თოფი და გამოველ... ვუყურებ—ორნი არიან... გააღებენ ფანჯარას და ისე გაერთობიან საქმეში, რომ მე ვერც კი მამჩნევენ... ვუყვირი: აი თქვე... დაიკარგეთ აქედან! ისინი, რასაკვირველია, ცულით მოიწევენ ჩემზე... მე იმათ წინდაწინვე ვუცხადებ: ჩამომეხსენით... თორემ ეხლავე გესვრით! თოფი მიჭირავს და ხან ერთს ვუმიზნებ და ხან მეორეს. ისინი მუხლებზე დაეცნენ და მეხვეწებიან, გაგვიშვიო! მე კი... ისე... ვჯავრობ. . ცულსა ვწვდი, გესმის! ვეუბნები: მე თქვენ გაგდებდით და არ წახვედით, თქვე ქაჯებო. თქვენა! და ეხლა კი, რადგან აგრეა, მოამტვრიეთ ერთ-ერთმა წკეპლები... მოამტვრიეს. კეთილი! ახლა. . ვუბრძანე, რომ ერთი გაწვეს და მეორემ გაწკეპლოს... ასე. და ამ გვარათ, ჩემი ბრძანებით, ერთმანეთი გაწკეპლეს!.. გაწკეპლის შემდეგ მეუბნებიან: ბიძია, შენი ქრისტეს გულისათვის, პატარა პური მოგვეცი, შორი გზიდან მშიერ-მწყურვალნი მოვდივართო... ესეც შენი ქურდები, ჩემო საყვარელო!.. (იცინის). ესეც შენი ცულით ამხედრებული ქურდები!.. დიახ!.. ორივე მშვენიერი ბიჭები აღმოჩნდნენ... ვეუბნები: თქვე ქაჯებო, თქვენა, არა სჯობდა, პირდაპირ გეთხოვნათ!.. ისინი მიპასუხებენ: მოგვეზრდა, ბიძიავ, ამდენი თხოვნა... დადიხარ, ეხვეწები, სთხოვ და

არავინ არას იმეტებს... საწყენია!.. მთელი ზამთარი ორივემ ჩემთან გაატარეს. ერთს სტეფანა ერქვა—წამოავლებდა ხელს თოფსა და დაეშვებოდა ხოლმე ტყისაკენ... მეორეს იაკოფი —ერთთავად უქეიფოთ იყო და ახველებდა... მაშასადამე, სამნი ვდარაჯობდით აგარაკსა... გაზაფხული დადგა და მითხრეს—მშვიდობით, ბიძია, ჩვენ მივდივართო... და წავიდნენ კიდეც... რუსეთისაკენ გასწიეს...

ნატაშა. ისინი კატორღიდან იყვნენ გამოქცეულნი?

ლუკა. სწორეთ იქიდან. მე რომ ისინი არ შემებრალებინა, შესაძლო მოვეკალი... ან კიდევ სხვა რამ ჩაედინათ... და ამას მოჰყვებოდა სასამართლო, ციხე და ციმბირი... მერე რა სარგებლობა მოაქვს ყველა ამ სისაძაგლეს? ციხე და ციმბირი ადამიანს სასიკეთოს ვერას ასწავლის... ადამიანს ადამიანის გაწვრთნა კი ძლიერ ადვილათ შეუძლია... დიახ, ადამიანს შეუძლია სიკეთის და სათნოების მოძღვარი იყოს. (პაუზა).

ბუბნოვი. მმ-დიახ! აი, მე კი, არ შემიძლია ვიცრუო... რა მაქვს მოსარიდებელი? ჩემი აზრით, სიმართლე პირ და პირ უნდა ითქვას... აშკარათ... დაურიდებლათ.

კლეშჩი. (კვალათ წამოხტება როგორც მახვილ ნაკრავი და ღრიალებს). რომელი სიმართლე? სად არის სიმართლე? (დაგლეჯილ ტანსაცმელს ხელითა სწეწავს). აი—სიმართლე! ყველგან უფსკრული... და არსაიდან ხსნა და შველა... შიმშილით სიკვდილი —აი სიმართლე! ქაჯო, ეშმაკო! რა საჭიროა ჩემთვის სიმართლე? სულს ნუ მიხუთავ! მომეცი ნება თავისუფლათ ამოვისუნთქო! ამოსუნთქვის ნება მომეცი!.. რა დანაშაული მიმიძღვის? რა საჭიროა ჩემთვის სიმართლე? ცხოვრება არ შეიძლება, შე სატანავ! სიცოცხლე მოწამლულ-მოშხამულია! აი —სიმართლე!

ბუბნოვი. ხედავთ-რა ალიაქოთი ასტეხა!

ლუკა. ყოვლად ძლიერო იესო! გამიგონე, ჩემო კარგო... შენ...

კლეშჩი. (სიბრაზისაგან კანკალებს). ილაპარაკეთ აქ სიმართლე! მოხუცო, შენ ყველას ამშვიდებ... ანუგეშებ... იცოდე, რომ შეზიზღებიან ყველა ესენი!.. და ეგ სიმართლეც იყოს წყეული და შერისხული! გაიგე? წყეულიმც იყოს და შერისხული... (კუთხიდან გადის).

ლუკა. აი-აი-აი! როგორ გაცხარდა .. ნეტა სად გაიქცა?

ნატაშა. თითქოს—ბნედა ეცაო!

ბუბნოვი. ძლიერ მიუშვა! თითქოს თეატრში თამაშობსო! ეგ ხშირათ მოხდება ხოლმე... ჯერ არ შესჩვევია ცხოვრებას!...

პეპელი. (ნელის ნაბიჯით შემოდის კუთხიდან). მშვიდობა პატიოსან კრებას! რაო, მომჯადოებელო მოხუცო... სულ სხვა და სხვა ისტორიებს ამბობ, ჰა?

ლუკა. რომ გენახა, როგორ აღრიალდა აქ ერთი ადამიანი. .

პეპელი. კლეშჩი ხომ არა? რა დაემართა? თავში დაკრულივით გარბოდა.

ლუკა. შენც გაიქცევი თუ კი ისე გულს მოგიკვლენ ..

პეპელი. (ჯდება). არ მიყვარს მე ის კაცი... ამაყია და ამასთანავე ბოროტი... (კლეშჩს აჯავრებს). „მე მუშა კაცი ვარ!« ყველას თავის თავზე დაბლა აყენებს... იმუშავე—თუ აგრე მოგწონს... რა არის აქ თავ-მოსატანი? თუ ადამიანს მუშაობის დაგვარათ დავაფასებთ, მაშინ ყოველ ადამიანზე მაღლა ჯხენი უნდა დავაყენოთ! ის ყველაზე მეტს მუშაობს და ერთთავად ჩუმათ არის... ნატაშა, თქვენები შინ არიან?

ნატაშა. სასაფლაოზე წავიდნენ და მერე ეკლესიაში უნდა შეიარონ...

პეპელი. მაგიტომაც ასე თავისუფლათა ხარ... ეს იშვიათი მოვლენაა!

ლუკა. (დაფიქრებული-ბუბნოვს). აი, შენ ამბობ—სიმართლეო! სიმართლე—ყოველთვის როდი მოარჩენს ჭრილობას!.. სიმართლე—ყოველთვის როდი განკურნავს სულსა! მაგალითად, ერთხელ ასეთი შემთხვევა მოხდა: ერთ კაცს ვიცნობდი, რომელსაც მართალთა ქვეყანა სწამდა...

ბუბნოვი. რა სწამდა?

ლუკა. მართალთა ქვეყანა. ამ სოფლათ უთუოდ უნდა იყოს მართალთა ქვეყანა, სადაც სულ სხვა გვარი ხალხნი ცხოვრობენო... ჩინებული ხალხნი! იმათ ერთმანეთი უყვართ... ერთმანეთს ყველაფერში ეხმარებიან... ერთი სიტყვით, მათში ყველაფერი ჩინებულათ არის მოწყობილიო!... და აი, ეს კაცი ყოველთვის ემზადებოდა წასასვლელათ, რომ მართალთა ქვეყანა ეპოვნა. ის კაცი ღარიბი იყო... საცოდავათა ცხოვრობდა... ხშირათ ისეთ საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდებოდა ხოლმე, რომ სიკვდილი ათას წილათ ერჩივნა, მაგრამ მაინც გულს არ იტეხდა... პირ-იქით, ჩაიცინებდა და იტყოდა ხოლმე: ეარაფერია! მოვითმენ! ცოტასაც დავიცდი,

მერე მივატოვებ ამ ცხოვრებას და წავალ მართალთა ქვეყანაში... ერთათ-ერთი მისი სატრფიალო საგანი, ეს ქვეყანა იყო.

პეპელი. მერე? წავიდა?

ბუბნოვი. სადა? ხა-ხა!

ლუკა. და აი, ამ ადგილას—ეს საქმე ციმბირში მოხდა—ერთი ნასწავლი კაცი გადმოასახლეს... გადმოასახლეს თავისი წიგნებით.. გეგმებით და სხვა და სხვა ეშმაკებით... ეს კაცი მივარდება და ეტყვის ამ ნასწავლს: მოწყალება მოიღე და მასწავლე მართალთა ქვეყნის გზა! ნასწავლი კაცი მაშინათვე წიგნებს გადაშლის, გეგმებს ჩაათვალიერებს... შინჯავს, სჩხრეკავს და ხედავს, რომ მართალთა ქვეყანა არსად არ არის... ყველაფერი სწორეა, ყველა ქვეყნები ნაჩვენებია, მაგრამ მართალთა ქვეყანა არ არის!

პეპელი. (ხმა დაბლა). არ არის, ჰა? (ბუბნოვი იცინის).

ნატაშა. ნუ უშლით... მერე, ბიძია?

ლუკა. ის კაცი არ უჯერებს. უთუოდ უნდა იყოსო... კარგათ მონახე... თუ მართალთა ქვეყანა არ აღმოჩნდა, შენი წიგნები და გეგმები არაფრათ არ ვარგებულაო... ნასწავლს ეწყინება: ჩემი გეგმები ყველაფერს სწორეთ აჩვენებენ, მაგრამ მართალთა ქვეყანა არსად არ არისო... აქ კი ეს კაციც გასწყრა—როგორ თუ არ არის? ვცხოვრობდი, ყველაფერს ვითმენდი, ყოველთვის მჯეროდა, რომ მართალთა ქვეყანა არსებობს... და შენი გეგმები კი აჩვენებენ, რომ არ არისო? მძარცველო!—მიაძახებს ეს კაცი ნასწავლს... აი, შეარამზადავ, შენა! შენ გარყვნილი, ფლიდი კაცი ხარ და არა ნასწავლი... და მოსცხებს ეჯოს ყურის ძირას... მოსცხებს მეორეს... (დაჩუმდება) ყველა ამის შემდეგ, წავა სახლში და თავს ჩამოიხრჩობს! (ყველა ჩუმათ არის. ლუკა ღიმილით შესცქერის პეპელს და ნატაშას).

პეპელი. (ხმა დაბლა). ეშმაკმა წაიღოს... ვერაფერი სამხიარულო ამბავია...

ნატაშა. ტყუილი ვერ მოუთმენია...

ბუბნოვი. (მოღუშული). ყველა ეგ ზღაპარია და სხვა არაფერი...

პეპელი. ესეც შენი მართალთა ქვეყანა... მაშასადამე, არ აღმოჩნდა, ჰა?

ნატაშა. ის კაცი მეცოდება...

ბუბნოვი. ტყუილია-მეთქი ყველა ეგ... გამოგონილი ამბავია... მართალთა ქვეყანა! კარგი ზღაპარი გცოდნია... მაგრა შეინახე! ხა, ხა, ხა! (ფანჯარას მიეფარება).

ლუკა. (თავის ქნევით ბუბნოვის ფანჯარაზე აჩვენებს). რომ დამ-ცინის კიდეც! ეხე-ხე! (პაუზა). ეჰ, ყმაწვილებო! იცხოვრეთ კარგათ და კეთილათ! ჩქარა გაგშორდებით!

პეპელი. ეხლა საით მიემგზავრები?

ლუკა. ხახოლებში... გავიგე, რომ იქ ახალი სარწმუ-ნოება აღმოუჩენიათ. უნდა დავხედო... დიახ! ხალხი ყოველ-თვის ეძებს და ეძებს... ხალხს უნდა, რომ ყველაფერი უკეთ იყოს... ღმერთო, შენ მიეც მას მოთმინება!

პეპელი. როგორ გკონია, იპოვნის?

ლუკა. ხალხი? რასაკვირველია... ვინც ეძებს-იპოვნის... ვინც სულითა და გულით არის მოწადინებული—იპოვნის!

ნატაშა. რაცა სწადიათ, რომ ეპოვნათ... უკეთეს რას-მეს გამოიგონებდნენ...

ლუკა. და გამოიგონებენ კიდეც... მხოლოთ დახმარე-ბაა საჭირო, გოგონი... დახმარება და პატივისცემა...

ნატაშა. მე საიდან შემიმლიან დახმარება, როდესაც თვითონ ასე უსაშვალოთა ვარ?

პეპელი. (გადაწყვეტით). ნატაშა, ხელ-ახლათ გიმეორებ... აი, ამასთან გეუბნები... ამან ყველაფერი იცის... ნატაშა, უარს ნუ მეუბნები... გამომყე.

ნატაშა. სადა? ციხეში?

პეპელი. ხომ გეუბნები—მივატოვებ ქურდობას! ღმერთს გეფიცები—მივატოვებ! რადგანა ვსთქვი—ავასრულებ კიდეც. წერა-კითხვა ვიცი... ვიმუშავებ... ეს ამბობს, ციმბირში შე-ნი ნებით წადიო... ძალიან კარგი... წავიდეთ, ნატაშა! შენა გგონია, ჩემი ცხოვრებით კმაყოფილი ვარ? ეჰ, ნატაშა! მე ვიცი... ვხედავ! მხოლოდ იმითღა ვამშვიდებ ჩემ თავს, რომ სხვები ჩემზე მეტად ქურდობენ და მაინც პატიოსნათა ცხო-ვრობენ... სულ ერთია, ეს ვერაფერს მიშველის! ეს... ის არ არის, რაც მე მწადია... არ დაგიმალავ, სინიდისისა არა მწა-მსრა... ერთს კი ვგრძნობ: სხვა გვარი ცხოვრებაა საჭირო... უკეთესი ცხოვრება... ისეთი ცხოვრება, რომ ჩემი თავი მევე მიყვარდეს!

ლუკა მართალია, ჩემო კარგო! ღმერთმა მოგანიჭოს ეგ სიკეთე. იესო ქრისტემ აგისრულოს ეგ სურვილი... მარ-თალია: ადამიანს თავისი თავი უნდა უყვარდეს.

პეპელი. ბავშვობიდანვე ქურდი ვარ... ყველგან და ყო-ველთვის მომძახოდნენ: ქურდო ვასკა, ქურდის შვილო ვას-კა!.. რადგან აკრეა, ძალიან კარგი! მე მართლაც ქურდათ

გადავიქცევი-მეთქი, ვიფიქრე და ასეც ჩავიდინე... დაფიქრდი: შეიძლება ჯიბრმა და ბოროტებამ გადამქმნა ქურდათ. შეიძლება იმიტომა ვარ ქურდი, რომ ჩემ სიცოცხლეში სხვა სახელი არ დაუძახნიათ ჩემთვის... ნატაშა! შენ მაინც ნუ მომექცევი ასე! შენ მაინც სხვა სახელით მომმართე!

ნატაშა. (ნაღვლიანათ). როგორღაც არა მჯერა... არავითარი ლაპარაკი არა მჯერა... რაღაც ცუდათა ვგრძნობ თავს... გული ისე მღრღნის, რომ ითქოს რაღაცას მოველი... ეჰ, ვასილი, ტყუილად ჩამოაგდე დღეს ამ საგანზე ლაპარაკი...

პეპელი. მაშ როდისღა? პირველათ ხომ არ გეუბნები...

ნატაშა. არც ისე ძლიერ მიყვარხარ და აბა, რა საჭიროა, რომ გამოგყვე? ზოგჯერ მომწონხარ და ზოგჯერ, რომ შემოგხედავ, გულზე სევდა მომაწვება ხოლმე. სჩანს აო მიყვარხარ. ვინც უყვართ—მასში ცუდს არას ხედავენ და მე კი ვხედავ.

პეპელი ნუ გეშინიან—შეგიყვარდები... შეეჩვევით ერთმანეთს... შენ მხოლოთ დამეთანხმე. წელ-წადზე მეტია გაკვირდები და გატყობ, რომ სასტიკი ხასიათის ქალი ხარ... კარგი და სანდო! მას შემდეგაა, რომ შეგიყვარე და მიყვარხარ! (სარკმელში გაჩოჩნდება ვასილისა. მორთულ-მოკაზმულია. ყურს უგდებს).

ნატაშა. მაშ ასე... მე გიყვარვარ და ჩემ დას კი...

პეპელი. *(არეული)* ჰო, რაა შენ დას?

ლუკა. ეგ არაფერია, გოგონი... როდესაც პური არა აქვთ,—გედსა სჭამენ ხოლმე.. თუ კი პური არ არის!..

პეპელი. (შეჭმუხვნილი). გებრალებოდე! რა სიცოცხლეა, ჩემი სიცოცხლე? ეს მგლური ცხოვრება ვერაფრათ მახარებს! თითქოს კლდის ნაპრალში ვინთქებიო! . რასაც ხელს მოვკიდებ, ყველაფერი დამპალია... შენი და... მე მგონი, შენი და, რომ ასე ძუნწი არ იყოს, იმის გულისათვის ყველაფერს ჩავიდენდი... ოღონდ სრულიად ჩემი გამხდარიყო... მაგრამ მას ფული უფრო ჩემზე ძლიერ უყვარს და მასთანვე თავისუფლებაც უნდა .. დიახ, თავისუფლება, რომ გარყვნილების მორევში უფრო თავისუფლად ჩაიფლას. მას ჩემი შვილა არ შეუძლიან...

ლუკა. მეც გირჩევ: გაჰყევი მაგას, გოგონი! არა უჭირსრა, კარგი ყმაწვილია! შენ მხოლოთ ხშირად მოაგონე ხოლმე, რომ კარგი ყმიწვილია... ნუ დაავიწყებ... და სხვა ნურაფრისა ნუ გეფიქრება. ეგ დაგიჯერებს... შენ მხოლოდ ხში-

რად მოაგონე: ვასია, არ დაივიწყო, რომ შენ კარგი ყმაწვილი ხარ! აბა იფიქრე, სხვა სადღა უნდა წახვიდე—თუ არ მაგასთან? შენი და—მხეცზე უმხეცესი ბოროტია... იმის ქმარზე ლაპარაკი ხომ მეტია.,. ერთი სიტყვით. აქ ცხოვრებას, ჯოჯოხეთში ცხოვრება სჯობია... აბა, სხვა სადღა უნდა წახვიდე, თუ არ მაგასთან?

ნატაშა. მე ხშირათა ვფიქრობ და ვიცი, რომ წასასვლელი გზა არსაითა მაქვს, მაგრამ არავის ლაპარაკი არა მჯერა... თორემ ვიცი, რომ გზა არსაითა მაქვს...

პეპელი. შენ ერთი გზა გაქვს და მოგკლავ და **იმ** გზაზე კი არ გაგიშვებ!

ნატაშა. (ღიმილით). აი, ჯერ ჯვარი არ დაგვიწერია და მოკვლასაც კი მიპირებ...

პეპელი. (მოეხვევა). ნატაშა, დაანებე მაგეებს თავი!

ნატაშა. (ეკვრის). მხოლოდ ერთს გეტყვი, ვასილი: ღმერთს გეფიცები, რა წამსაც ხელს დამაკარებ, ან რამე ნაირად მაწყენინებ... არაფერს არ დავერიდები და მაშინათვე თავს ჩამოვიღრჩობ!

პეპელი. დეე, გახმეს ჩემი მარჯვენა თუ ბოროტად დაგაკარო!

ლუკა. ნურაფერზე ნუ ეჭვობ, ჩემო კეთილო... შენ უფრო საჭირო ხარ მაგისათვის, ვიდრე ეგ შენთვის.

ვასილისა. (სარკმელიდან). ესეც შენი ნიშნობა! გისურვებთ ხანგრძლივ სიყვარულს!

ნატაშა. მოსულან! ოჰ, ღმერთო ჩემო, დამინახეს... ეჰ, ვასილი...

პეპელი. რისა გეშინიან? ეხლა აღარავის შეუძლიან ხელი გახლოს!

ვასილისა. ნუ გეშინიან, ნატალია! ეგ შენ არა გცემს.. მაგას არც ცემა შეუძლიან და არც სიყვარული... მე ეს ძალიან კარგათ ვიცი...

ლუკა. (ხმა დაბლა). ოჰ, შე კუდიანო... შე შხამიანო გველო, შენა.

ვასილისა. ეგ მხოლოთ სიტყვებით ყოყოჩობს, საქმით კი...

კოსტილევი. (შემოდის). ნატაშკა! აქ რას აკეთებ, შე მუქთა-ხორავ, შენა?! ჭორის გუდასა ხსნი და შენ მშობლებზე სჩივი განა? რატომ სამოვარი არ დაგიდგავს? მაგიდა რატომ არ მოგისუფთავებია?

ნატაშა. (მიდის). თქვენ აკი ეკლესიაში გინდოდათ შევლა?

კოსტილევი. რაც გვინდოდა—ეგ შენი საქმე არ არის! შენ შენი საქმე უნდა გააკეთო... ნაბრძანები უნდა შეასრულო...

პეპელი. ციც! ვერ მოგართვეს! ეს შენი მოსამსახურე აღარ არის. ნატაშა, ნუ წახვალ, ნურაფერს ნუ გააკეთებ...

ნატაშა. ბრძანებლობას თავი დაანებე... ჯერ ადრე გახლავთ! (გადის).

პეპელი. (კოსტილევს). გეყოფათ! რაც დასცინეთ და დაამცირეთ, ისიცა კმარა! ეხლა ეგ მე მეკუთვნის, ჩემია!

კოსტილევი. შენი? ჰა, ჰა, ჰა! როდის იყიდე? რა მიეცი?

ვასილისა. (ხარხარებს). როგორ იყიდე?

ლუკა. ვასია! წადი, შენ წადი...

პეპელი. თქვენ ეი! ფრთხილათ! ეგ სიცილი ტირილათ არ გადაგექცეთ!

ვასილისა. ოჰ, როგორ მეშინიან! ოჰ, როგორა ვკანკალებ!

ლუკა. ვასილი, წადი-მეთქი! ხედავ, როგორ გაგულიანებს ის დედაკაცი... უნდა წაგაჩხუბოს—გაიგე?

პეპელი. დიახ... ააა! სტყუის... სტყუი! რაც შენ გინდა, ის არ მოხდება!

ვასილისა. რაც მე არ მინდა, არც ის მოხდება!

პეპელი. (მუშტით დაემუქრება). ვნახოთ! (გადის).

ვასილისა. (სარკმელს მიეფარება). მე შენ სხვანაირ ქორწილს გაგიმართავ!

კოსტილევი. (ლუკასთან მივა). რაო, ბებრუხანა?

ლუკა. არაფერი, ბებრუხანა!

კოსტილევი. დიახ... ამბობენ, მიდისო ..

ლუკა. დროა.

კოსტილევი. საით?

ლუკა. საითაც თვალები წამიყვანენ...

კოსტილევი. სამაწანწალოთ, არა? ერთ ადგილას ვერ ისვენებ განა?

ლუკა ნათქვამია—მდებარე ქვის ქვეშ, წყალიც კი არ გადისო.

კოსტილევი. ის ქვა არის. ადამიანი კი ერთ ადგილას უნდა ცხოვრობდეს. ხალხს ბაღლინჯოებივით ცხოვრება არ შეჰფერის, რომელნიც უგზო-უკვლოთ დაძვრებიან... ადამიანმა თავის განსაზღვრული ბინა უნდა გამონახოს და არა ამაოთ იხეტიალოს დედა-მიწაზე...

ლუკა. ვისაც ყველგანა აქვს ბინა?

კოსტილევი. სჩანს ის მაწანწალა და უსარგებლო კაცია... ადამიანს სარგებლობა უნდა მოჰქონდეს... უნდა მუშაობდეს.

ლუკა. ვერ უყურებთ!

კოსტილევი. სწორეთ. მაშ როგორა გგონია! რა არის მოგზაური? მოგზაური არის—ღენაური, გასაოცარი კაცი, რომელიც სხვებს არაფერში არ ემსგავსება თუ ის ნამდვილი მოგზაურია და იცის რემე, თუ ისეთი სხვანაირი რამ გაიგო... რაც არავისათვის გამოსადეგი არ არის, თუნდა ეს სიმართლეც იყოს,—არ უნდა სთქვას... ყოველგვარი სიმართლე როდია საჭირო... დიახ! ეგ სიმართლე შენთვის შეინახე... და გაჩუმდი... თუ ის ნამდვილი მოგზაურია—სდუმს, ჩუმათ არის! ან [illegible]ია და—ისე იტყვის, რომ ყველასთვის გაუგებარია! ამ გვარ მოგზაურს არაფერი არ უნდა. . არაფერში არ ერევა, ხალხს ტყუილა-უბრალოთ გზა-კვალს არ უბნევს... როგორ ცხოვრობენ ადამიანები—მისი საქმე არ არის. ის უნდა მართალთა ცხოვრებას მიზდევდეს... ტყე-ღრეში და ხვრელში უჩინრად უნდა ცხოვრობდეს... არავის ხელს არ უშლიდეს, არა ჰკიცხავდეს... ყველასთვის ლოცულობდეს... ამ ქვეყნიურ ცოდვათათვის მარად ცრემლს უნდა აფრქვევდეს... შენთვის, ჩემთვის, ყველასათვის... აი, ამიტომაცაა, რომ ის ამ ქვეყნიურ ამაოებას გაურბის... გაურბის, რომ ლოცვაში გაატაროს თავისნი დღენი... ასეა! (პაუზა). შენ კი... შენ რა მოგზაური ხარ? ბაშფორთიც კი არა გაქვს... წესიერ კაცს—ბაშფორთი უნდა ჰქონდეს... ყველა რიგიან ხალხს—ბაშფორთები აქვთ! დიახ!

ლუკა. არიან ხალხნი და არიან კიდევ—სულ სხვანი—ადამიანები!

კოსტილევი. შენ ეი! ბრძენობას თავი დაანებე! გამოცანებს ნუ მეუბნები! მე შენ მასხარა არა ვარ... რა არის ხალხნი და ადამიანები?!

ლუკა. სადა ხედავ აქ გამოცანას? მე ვამბობ, რომ ზოგი მიწა საოესავათ უნიადაგოა... ზოგი ნიადაგიანი... ნოყიერი... რასაც დასთეს, ყველაფერი იხეირებს... აი, ამ გვარათვე...

კოსტილევი. მერე? რაზე ამბობ მაგას?

ლუკა. აი, მაგალითად, შენა... შენ თვით მაღალმა ღმერთმაც, რომ გითხრას: მიხეილ! იყავ ადამიანი! სულ ტყუ-

ილია, შენში ხეირს ვერა ნახავს... რაცა ხარ, იმადვე დარჩები.

კოსტილევი. შენ ეი! გესმის? ჩემი ცოლის ბიძა პოლიციელია და თუ მე იმას...

ვასილისა. (შემოდის). მიხეილ ივანიჩ, წავიდეთ, ჩაი დავლიოთ.

კოსტილევი. (ლუკას). აი რას გეტყვი: დაიკარგე აქედან! მოგვშორდი! ჩემ სახლში აღარა გნახო!

ვასილისა. დიახ, მოგვშორდი, მოხუცო! მეტის-მეტათ წაგიგრძელებია ეგ ენა... ან კი, ვინ იცის... შეიძლება კატორღიდან გამოქცეული ვინმეცა ხარ!

კოსტილევი. დღესვე შენი ხსენება აღარ იყოს აქა! გაიგე? თორემ...

ლუკა. თორემ რა? შენი ცოლის ბიძას დაუძახებ, არა? კეთილი, დაუძახე! თუ კი ჩემისთანა კატორღიდან გამოქცეულ ტუსაღს დაიჭერს—უეჭველია—ჯილდოს მიიღებს... სამიოდე კაპეიკს!

ბუბნოვი. (ფანჯარიდან თავს ამოჰყოფს). რაო, რასა ჰყიდით? რაში აძლევთ სამ კაპეიკს?

ლუკა. მე მემუქრებიან—გაგყიდითო!

ვასილისა. (ქმარს). წავიდეთ!

ბუბნოვი. სამ კაპეიკათ? არ მიკვირს... უფთხილდი, მოხუცო, თორემ ეგენი კაპეიკათაც კი გაგყიდიან!

კოსტილევი. (ბუბნოვს). შენ ეი! ჭინკასავით არ გამოგიყვია ეგ თავი! ჩუმათ ეგდე! (მიდის ცოლთან ერთად).

ვასილისა. რამდენი ბნელი ხალხია ამ ქვეყნათ და ათას ნაირი ავაზაკი!

ლუკა. გისურვებთ საამურ მადას!

ვასილისა. (მობრუნდება). ენა დაიმოკლე... შე გადამღვრძალო ქოფაკო, შენა! (გადის ქმართან ერთად—კუთხიდან).

ლუკა. აძაღამ წავალ...

ბუბნოვი. მით უკეთესი. დროზე გაცლა სჯობია.

ლუკა. მართალს ამბობ.

ბუბნოვი. გამოცდილი მაქვს. ერთხელ კატორღას ავცდი იმით, რომ ხიფათს დროზე გავეცალე!..

ლუკა. მართლა?

ბუბნოვი. სწორეთ. ეს საქმე ასე მოხდა: ჩემი ცოლი ერთ ოსტატს შეუკავშირდა... გამოტეხით უნდა ვსთქვა, კარგი ოსტატი იყო. ძლიერ ხელოვნურად ღებავდა ძაღლის ბეწვს—ენოტისად, კატისას—კენგურისად, მთხივისად და სხვა

და სხვად... ყოჩაღი იყო. ასე და ამ გვარათ—შეუკავშირდა მას ჩემი ცოლი... ისე მტკიცეთ შეუყვარდათ ერთმანეთი, რომ მე მეგონა ან მომწამლავდნენ, ან ამ სოფლიდან ამაბარგებდნენ... მე ჩემ ცოლსა ვცემდი, ოსტატი კიდევ მე მცემდა... ძალიან მოკრივე იყო! ერთხელ ნახევარი წვერი ჩამომგლიჯა და გვერდებიც ლაზათიანათ ჩამიზილა. ბოლოს—ძლიერ გავბოროტდი: ავიღე რკინის არშინი და დავცხე ჩემ ცოლს გოგრაზე! ასტყდა ერთი აურ-ზაური... ვატყობ, რომ სასიკეთო არა მომივარა... ისინი მჯობნიან! ვიფიქრე, ვიფიქრე და ბევრი ფიქრის შემდეგ, ცოლის მოკვლა გადავწყვიტე... მაგრამ გონს მალე მოვედი და გამოვიქეცი.

ლუკა. ძალიან კარგათ მოქცეულხარ! დეე, იმათ იქ ძაღლები ენოტებათ გადააქციონ!

ბუბნოვი. მხოლოთ. . ქარხანა ჩემი ცოლის სახელზე იყო... და აი, ასე დავრჩი, როგორცა მხედავ! თუმცა სიმართლე რომ ვსთქვა, იმ ქარხანას აქამდე შევჭამდი! იცი, მე გალოთებული ვარ!

ლუკა. გალოთებული? ა-ა?

ბუბნოვი. აუტანელათა ვარ გალოთებული! როგორც კი დავიწყებ ლოთობას, ტყავის მეტს არაფერს არ შევირჩენ ხოლმე... ზარმაცია ვარ! ჭირივითა მძულს მუშაობა! (სატინი და მსახიობი გაჯიბრებული ლაპარაკით შემოდიან).

.სატინი. სისულელეა! ვერსადაც ვერ წახვალ... ყველა ეგ თვალთ-მაქცობაა და სხვა არაფერი! მოხუცო! რა წასჩურჩულე ყურში ამ საცოდავ ჩენჩოს?

მსახიობი. სტყუი! ბიძია, უთხარი, ჩააგონე მაგას, რომ სტყუის! მე მივდივარ! დღეს ვიმუშავე... ქუჩა დავგავე... არაყი კი არ დამილევია! როგორია? აი ფული და მეც ფხიზელი ვარ!

სატინი. ეგ სიბრიყვეა და სხვა არაფერი! მოიტა, დავხარჯოთ! ან არა და—მომეცი ქაღალდში წავაგო ..

მსახიობი. მომშორდი! ეს გზის ფულათ მინდა.

ლუკა. (სატინს). გამაგებინე, რათ უხლართავ მაგ ადამიანს გზა-კვალს?

სატინი. „მითხარი, ბედის გამომცნობელო, რა გადამხდება მე ცხოვრებაში?“ წავაგე, ჩემო ძმაო, მაგრამ ჯერ მთლათ არ დავღუპულვარ. ბიძია, ქვეყნაზე ბევრი შულერია, რომელიც მე ყველაფერითა მჯობნის.

ლუკა. დღეს ძალიან მხიარულათა ხარ, ჩემო კოსტანტინ...

ბუბნოვი. (მსახიობს). შენ ეი! მოდი აქა! (მსახიობი მიდის მასთან და ჩაყუნთული ჯდება. ბუბნოვი და ის ნახევარი ხმით ლაპარაკობენ).

სატინი. როდესაც ახალ გაზდა ვიყავ, შრომა მიყვარდა... კარგია წარსულის მოგონება... კოხტა ხალათი მეცვა! მშვენიერი ცეკვა ვიცოდი, სცენაზე ვთამაშობდი... მიყვარდა ხალხის გამხიარულება... მშვენიერება იყო!...

ლუკა. მერე როგორ მოხდა, რომ შენ გზა-კვალს ასცდი და წაიბორძიკე?

სატინი. რა ცნობის მოყვარე ხარ, მოხუცო! ყველაფერი გინდა იცოდე... და მერე რათა?

ლუკა. მინდა კაცობრიობის ავ-კარგი გავიგო... აი, შენ-კი ვერა გამიგიარა... ასეთი გამბედავი, ასეთი მამაცი ხარ, ჩემო კოსტანტინ... და იმავე დროს... ეს ვისი ბრალია?

სატინი. ციხისა, ბიძია, ციხისა! ოთხი წელიწადი და შვიდი თვე ციხეში ვიყავ დაპატიმრებული .. და პატიმრობის შემდეგ კი—მაზანდა დავკარგე...

ლუკა. ოჰო-ჰო! მერე რა მიზეზით იყავი დაპატიმრებული?

სატინი. ერთ ფლიდ არამზადასთვის. გაანჩხლებულ გაბრაზებულ გულზე შემომაკვდა ის შეჩვენებული... ბანქოს თამაშობაც ციხეში შევისწავლე...

ლუკა. ის კაცი ქალის გულისათვის მოჰკალი, არა?

სატინი. დიახ,—ჩემი დის შეურაცყოფისათვის... მაინცა და მაინც შენ ჩამომეხსენი... არ მიყვარს როდესაც ჩემ თავ-გარდასავალს მეკითხებიან... ყველა ეს—დიდი ხნის ამბავია... ჩემი და მოკვდა... აგერ, ცხრა, წელიწადია რაც ის მოკვდა... კარგი, კეთილი ადამიანი იყო ჩემი და...

ლუკა. შენ ძლიერ მარჯვეთ უხვდები ცხოვრების ზვირთებს... რომ გენახა, ამ ცოტა ხნის წინეთ როგორ აღრიალ. და ზეინკალი... ოჰ-ჰო-ჰო!

სატინი. კლეშჩი?

ლუკა. სწორეთ... ყვიროდა: სამუშაო არ არის, არაფერი არ არისო ..

სატინი. მიეჩვევა... ან რა უნდა გავაკეთო?

ლუკა. (ნელად). შეხედე! მოდის... (ნელის ნაბიჯით შემოდის კლეშჩი, თავ ჩაქინდრულია).

სატინი. ეი, ქვრივო! რას დაგიშვია ეგ ჩიჩაყვი? რის გამოგზავნებას აპირებ?

კლეშჩი. ვფიქრობ: რა გავაკეთო? სამუშაო იარაღი ადა-

რა მაქვს... ყველაფერი ჩემი ცოლის დაკრძალვას მოუნდა...

სატინი. მე შენ ერთ რჩევას მოგცემ: ნუ იმუშავებ.. იარე და თელე მიწა...

კლეშჩი. კეთილი, მაგრამ ხალხისა მრცხვენიან..

სატინი. მერე—ხალხს რატომ არა სცხვენიან, რომ შენ ძალზე უარესათა სცხოვრობ? დაანებე თავი მაგ სისულელეს... აბა მოიფიქრე... ვსთქვათ, ასე მოხდა:—აღარც შენა მუშაობ, აღარც მე, ასობით, ათასობით აღარ მუშაობენ... გესმის? ყველა თავს ანებებს მუშაობას... არც ერთი კაცი აღარა მუშაობს!—რა მოხდება მაშინ?

კლეშჩი. ყველანი შიმშილით ამოწყდებიან...

ლუკა. (სატინს). შენ მაგ გვარი ქადაგებით ლტოლვილებთან უნდა წახვიდე... ერთ გვარი ხალხია... ლტოლვილებს ეძახიან...

სატინი. ვიცი... ისინი სულელები როდი არიან, ბიძია.. (კოსტილევების სარკმელიდან ნატაშას ყვირილი მოისმის: „რათა“? „მოიცა...“ „რისთვის?“).

ლუკა. (შეწუხებული). ნატაშაა? ისა ყვირის? ჰა? ოჰ, შე... (კოსტილევების ოთახიდან მოისმის—ხმაურობა, ალიაქოთი, დამტვრეული ჭურჭლების ჭრიალი და კოსტილევის მჩხავანა ხმა: »ა-ა.. მტანჯველო... მწვალებელო!«).

ვასილისა. დადექ... დამაცა... მე მაგას... აი... აი...

ნატაშა. მცემენ! მკლავენ!

სატინი. (სარკმელში შესძახის). თქვენ ეი!

ლუკა. (ფაცი-ფუცით). ვასილის, ვასილის დაუძახოთ... ოჰ, ღმერთო... ძმანო... ყმაწვილებო, დაუძახეთ...

მსახიოლბი. (გარბის). ეხლავე დაუძახებ...

ბუბნოვი. ძალიან მოუხშირეს მაგ ქალს ცემა.

სატინი. მოხუცო, წავიდეთ, მოწმეთ დავესწროთ...

ლუკა. (სატინს გაჰყვება) შენც რა მოწმე გამომნახე! ვასილის დაუძახოთ... ბევრათ სჯობია...

ნატაშა (გარედან). დაო... დაო! ვაიიი!

ბუბნოვი. პირს დაუცეს... წავიდე ეოთი შევხედო... (კოსტილევების ოთახში ხმაურობა თან და თან მიწყდება. ეტყობათ—ოთახიდან დერეფნში გავიდნენ. მოისმის მოხუცის ყვირილი: „დადექ!“ კარს მაგრათ მიაჯახებს. კარის ხმა—დანარჩენთ ყიჟინას ცულათ დაესობა და გაჰკვეთს. სცენაზე სიწყნარეა. წყვდიადი მეფდება).

კლეშჩი. (შეშების გროვაზე ზის და არაფერში მონაწილეობას არ იღებს. ხელებს მძლავრათ იზელავს. რაღაც დუდღუნს მოჰყვება. პირველში გაუგებარია მისი სიტყვები და მერე აშკარათ გაისმის): მაშ როგორ? უნდა ვიცხოვროთ... (ხმა მაღლა). დასაყრდნობი ადგი-

ლია საჭირო... დასაყრდნობი არ არის... არაფერი არ არის! მარტოთ-მარტო... ობლათა ვარ მიტოვებული... არსაიდან შველა... არსაიდან ხსნა... (წელში მოხრილი, ნელის ნაბიჯით გადის. რამდენიმე წუთს სულ-შემხუთავი სიჩუმეა. ცოტა ხნის შემდეგ — სადღაც გა.ავალში — არეულ-დარეული ხმაურობა და უთავ-ბოლო ბგერა გაისმის. ის იზდება და ახლოვდება. ისმის ცალკე ხმები):

ვასილისა. მე მაგისი და ვარ! გაუშვი...

კოსტილევი. შენ რა უფლება გაქვს?

ვასილისა. ავაზაკო...

სატინი. ვასკას დაუძახე... ჩქარა! ზობ, მოსცხე მაგას! (პოლიციელი უსტვენს).

თათარი. (შემორბის. მარცხენა ხელი ჩამობმული აქვს). ეს სად როგორი განონი ვარ... დღე გაცი მოგლას?

კრივოიზობი. (შემოდის; უკან მედვედევი მოსდევს). ერთი ისეთი ლაზათიანი უთავაზე, რომ...

მედვედევი. რა ნება გაქვს, რომ ჩხუბობ?

თათარი. შენა? შენ შენი საქმე ვიძის რა ვარ?

მედვედევი. (კრივოიზობს გამოუდგება). შესდექ! მომეცი სასტვენი... სასტვენი მომეცი...

კოსტილევი. (შემორბის). აბრამ! დაიჭი ეგა... დაიჭი,.. მოკლა... (კვაშნიას და ნასტიას კუთხიდან თმა გაწეწილი ნატაშა შემოჰყავთ. სატინი უკან დასდევს ვასილისა. ვასილისა ცდილობს, რომ ნატაშას გაარტყას, მაგრამ სატინი ხელსა ჭერავს. ალიოშკა, თითქოს ქაჯიაო, ვასილისას მახლობლათ დახტის, ყურში უსტვენს, ყვირის და ღრიალებს. შემდეგ რამდენიმე ტანისამოს შემოფლეთილი ქალი და კაცი გამოჩნდება).

სატინი. (ვასილისას). საით, შე დაწყეველილო ბაიყუშო, შენა!

ვასილისა. მომშორდი, შე ავაზაკო! სიცოცხლეს გავწირავ და გავგლეჯ, დავფლეთ!

კვაშნია. (ნატაშას ცალკე გაიყვანს). კმარა, კარპოვნა... გრცხვენოდეს! ასე რამ გაგამბეცა?!

მედვედევი. (სატინს დაეჭერს). აააა... დაგიჭირე თუ არა?!..

სატინი. ზობ! მოსცხე! დაჭკა!... ვასკა! ვასკა მოდის! (ყველანი, წითელი კედლის მახლობლათ, გასავალთან შეჯგუფდებიან. ნატაშას მარჯვნივ წაიყვანენ და შემდეგ შეშის გროვაზე დასვამენ).

პეპელი. (ქუჩაბანდიდან გადმოხტება და უსიტყვოთ, ძლიერის მოძრაობით გააპობს ხალხს). ნატალია სად არის?

კოსტილევი. (კუთხეში იმალება). აბრამ! ვასკა დაიჭირე... ძმანო, მიშველეთ! დაიჭირეთ ვასკა, ეგ ქურდი.. ეგ მძარცველი...

პეპელი. ოჰ, შე დამყაყებულო... შე ქოფაკო ძაღლო, შენა!.. (მძლავრათ გაარტყამს. კოსტილევი ისე წაიკეცება, რომ კუთხეში მისი ზევითა ტანის ნახევარიღა მოსჩანს. პეპელი ნატაშას მივარდება).

ვასილისა. ვასკას დაჰკათ! ჩემო კეთილნო... დაჰკათ მაგ ქურდსა!

მედვედევი. (სატინს უყვირის). შენ უფლება არა გაქვს... ეს ოჯახური საქმეა... ნათესავები არიან... და შენ ვინა ხარ?

პეპელი. როგორ... რითი შეგეხო? დანით?

კვაშნია. დახე, რა მხეცები არიან!.. ცხელი წყლით ფეხები დაუწვეს ქალსა.

ნასტია. ცხელი სამოვარი გადააქციეს ზედა...

თათარი. იქნებ არ უნდოდოს და ისე მოხდოს... უნდო გარგა გაიგოს... ასე არ ილაბარაგოს...

ნატაშა. (თითქმის გულ-წასული). ვასილი... წამიყვა... წამიყვა, დამძარხე...

ვასილისა. ღმერთო ძლიერო! მიშველ-ეთ! მომკვდარა! მოჰკლეს! (ყველანი გასავალს მიაწყდებიან, სადაც კოსტილევის გვამია. ბრბოს შუადან გამოძვრება ბუბნოვი და ვასკასთან მიდის).

ბუბნოვი. (ხმა მაღლა). ვასკა! მოხუცს ანდერძი აეგო!..

პეპელი. (გაუგებრად შეჰყურებს). წადი... დაუძახე... საავადმყოფოში წაიყვანონ... მე, მე გაუსწორდები მაგას!

ბუბნოვი. მე შენ გეუბნები—მოხუცი ვილაცამ გაგუდა... (სცენაზე ისე ჩაქრება ხმაურობა — თითქოს კოცონს წყალი დაასხესო. სხვა და სხვა სიტყვები ნახევარ ხმათ გაისმის: „მართლა თუ?“ „არა!“ „წავიდეთ, ძმაო!“ „ეგ ეშმაკის კერძი!“ „ეხლა ნახე შენა!“ „გავიქცეთ—ვიდრე პოლიცია არ მოსულა!“ ბრბო თხელდება. გადიან. ბუბნოვი, თათარი, ნასტია და კვაშნია კოსტილევისაკენ გაექანებიან).

ვასილისა. (წამოიწევს და ძლევა მოსილად გაჰკივის). მოჰკლეს! ქმარი მომიკლეს... ამან მოჰკლა... ვასკამ მოჰკლა! მე თითონა ვნახე! მე თითონ! რაო, ვასია? ეხლა რას იტყვი? პოლიციას დაუძახო თუ არა?

პეპელი. (ნატაშას ჩამოსცილდება). გამიშვი, მოშორდი! (კოსტილევს დახედავს). გიხარიან განა? (გვ-ძს ფეხს წაჰკრავს). ჩაკვდა... ქოფაკი ძაღლი... ისე მოხდა, როგორც შენა გსურდა... მაგრამ არც შენ დაგტოვებ ასე... (მივარდება. სატინი და კრივოიზობი საჩქაროთ დაიპერენ. ვასილისა ქუჩაბანდის იქით იმალება).

სატინი. გონს მოდი!

კრივოიზობი. ტპრუუ! საით მიხტიხარ?

ვასილისა. (გამოჩნდება). რაო, ჩემო საყვარელო მეგობარო, ვასილი... ბედს ვერ წაუხვალ... პოლიცია! აბრამ ხმა მიე... დაუსტვინე!

მედვედევი. სასტვენი ჩამომწყვიტეს ამ ქაჯებმა!

ალიოშკა. აი სასტვენი! (უსტვენს. მედვედევი დაედევნება).

სატინი. (პეპელს ნატაშასთან მიიყვანს). ვასკა, ნუ გეშინიან!

ჩხუბში, რომ კაცი შემოგაკვდეს... მაგდენი არაფერია... მძიმე სასჯელს არ მოგისჯიან.

ვასილისა. ვასკა დაიჭირეთ! მაგან მოჰკლა... მე თითონა ვნახე!

სატინი. მეც გავარტყი სამიოდეჯერ მოხუცს... მაგას ბევრი უნდოდა თუ? ვასკა, მოწმეთ დამინიშნე...

პეპელი. მე თავის გამართლება არა მსურს... მე მინდა ვასილისა ჩავითრიო...და ჩავიორევ კიდეც!.. მაგას ეს უნდოდა! ეგ მაგულიანებდა! ეგ ჩამძახოდა,—ჩემი ქმარი მოჰკალიო!

ნატაშა. (უცბათ, ხმა მაღლა). ა-ა... ეხლა ყველაფერი ცხადია! მაშ აგრე, ვასილი?! კეთილნო ხალხნო! ეგენი შეთქმულები არიან! ჩემი და და ეგ შეთქმულები არიან! ყველა ეს მაგათ მოაგვარეს... მაშ აგრე, ვასილი?! ამას წინეთ იმიტომ მელაპარაკებოდი, რომ მაგას ყველაფერი გაეგო, არა? კეთილნო ხალხნო? ჩემი და—მაგის საყვარელია! ეს თქვენც იცით... ეს ყველამ იცის... ეგენი შეთქმულები არიან... ჩემმა დამ, სწორეთ ჩემმა დამ ჩააგონა, რომ ჩემი ქმარი მოჰკალიო!.. ის მაგათ ხელს უშლიდა... მე, მეც ხელს ვუშლიდი... და იმიტომაც დამასახიჩრეს.

პეპელი. ნატალია!

სატინი. აი, ეშმაკმა გზიდოს, აჰა!

ვასილისა. ცრუობ! ეს სიცრუეს ამბობს! მე... ამან, ვასკამ მოჰკლა!

ნატაშა. ეგენი შეთქმულები არიან! პირი-პირსა აქვთ შიცემული! წყეულიმც იყავით! წყეული!

სატინი. გაიმართა თამაშა! ვასილი, ფრთხილათ თორემ, იცოდე, წაგლეკავენ...

კრივოლიზობი. გაუგებარი საქმეა... ეშმაკმა იცის, რა ამბავია ..

პეპელი. ნატალია! ნუ თუ მართლა... ნუ თუ მართლა გჯერა, რომ მე მაგასთან...

სატინი. ღმერთს გეფიცები, ნატაშა, რომ შენ... აბა თითონ დაფიქრდი...

ვასილისა. (ჭუჩაბანდის იქით). ქმარი მომიკლეს. . თქვენო კეთილშობილებავ... ვასკა პეპელი ქურდია... მაგან მოჰკლა.. ბატონო ბოქაულო! მე თითონა ვნახე... ამათაც ნახეს... ყველამა ნახა ..

ნატაშა. (შფოთავს. თითქმის—გრძნობა დაკარგულია). კეთილნო ხალხნო! ამათ მოჰკლეს... ჩემმა დამ და ვასკამ მოჰკლა... გამიგონეთ... ჩემმა დამ მოაკვლევინა... მაგან ასწავლა... მა-

გან განაზრახა თავის საყვარელი—აი ეს დაწყევლილი! მაგათ მოჰკლეს! წაიყვათ ეგენი... გაასამართლეთ... მეც წამიყვათ... ციხეში წამიყვათ! ღვთის გულისათვის, წამიყვათ! ციხეში წამიყვათ!

ფარდა.

მეოთხე მოქმედება.

პირველი მოქმედების მოწყობილება. პეპელის ოთახი აღარ არის და ფიცრული კედელი დამსხვრეულია. სადაც კლეშჩი იჯდა, იმ ადგილიდან გრდემლი აუღიათ. კუთხეში, პეპელის ნაოთახარ ალაგას, **თათარი** წევს, შფოთავს და ხან გამოშვებით კვნესის. **კლეშჩი** მაგიდასთანა ზის **და** გარმონს აკეთებს. ზოგჯერ შინჯავს. მაგიდის მეორე ბოლოში სხედან, —**სატინი, ბარონი** და **ნასტია**. წინ უდგათ: ერთი ბოთლი არაყი, სამი ბოთლი ლუდი და შავი პურის ვებერთელა ნაჭერი. **მსახიობი**— ფეჩზე შფოთავს და ახველებს. ღამეა. სცენას—მაგიდის შუა მდგომარე ლამფა ანათებს. კარზე ქარი ჰქრის.

კლეშჩი. დიახ... სწორეთ იმ ალიაქოთის დროს გადაიკარგა...

ბარონი. განუქრა პოლიციას... ვითაარცა განქრების კვამლი ცეცხლის პირიდან.

სატინი ასევე განქრებიან ცოდვილნი მართალთა სახის წინაშე!

ნასტია. კარგი ვინმე იყო მოხუცი... თქვენ კი... თქვენ ხალხნი როდი ხართ... ყველას შხამ-გესლითა გაქვთ გული სავსე.

ბარონი. (სვამს). შენი სადღეგრძელო იყოს, ლუდი!

სატინი. ძლიერ ცნობის მოყვარე მოხუცი იყო... დიახ... აი, ნასტენკას შეუყვარდა კიდეც... შეყვარებულია იმ მოხუცზე...

ნასტია. დიახ, შემიყვარდა და შეყვარებულიცა ვარ... მართალია!... იმას ყველაფერი უნახავს... ყველაფერი გამოუცდია... ყველაფერი იცოდა...

სატინი. (სიცილით). და—საერთოდ... ბევრისთვის ისეთი იყო ის მოხუცი... როგორც რბილი რამ უკბილოსათვის...

ბარონი. (აგრევე). როგორც მალამო მუწუკისათვის...

კლეშჩი. იმას შემბრალე გული ჰქონდა... თქვენ კი შებრალება არა გაქვთ-..

სატინი. რა მოგემატება, რომ შეგიბრალო?..

კლეშჩი. შებრალების გარდა... ადამიანს არ უნდა აწყენინო...

თათარი. (ტახტზე ჩამოჯდება და ნატკენ ხელს ბავშვივით არწევს). ბებერი გარგი იღო... განონი სული ჰქუნდა... ვისაც განონი სულში ვარ—გარგია... ვისაც განონი დაგარგა—დაიღუბა...

ბარონი. როგორი კანონი, კნიაზ?

თათარი აგეთი... სხუა და სხუა... ვიცის როგორი?

ბარონი. მერე?

თათარი. გაცი არ გაძღინოს—აი განონი!

სატინი. მაგასა ჰქვიან: „დებულება სისხლის სამართლის და გამასწორებელ სასჯელთა შესახებ“.

ბარონი. და კიდევ:—„წესდება მომრიგებელ მოსამართლეთაგან დადგენილ სასჯელთა შესახებ“.

თათარი. ყურანი ერქოს... ჩვენი ყურანი განონი უნდო იღოს... სულში ყურანი უნდი იღოს...

კლეშჩი. (გარმონსა სინჯავს). ჭყიტინებს ეს საოხრო!... კნიაზი მართალს ამბობს... კანონიერათ უნდა იცხოვრო... როგორც სახარებაში სწერია...

სატინი. იცხოვრე...

ბარონი. სცადე...

თათარი. მაჰმადი მოგცეს ყურანი და უთხროს: აი განონი! გაგეთე როგორც დაძეროს—მერე დრო დადგოს... ყურანი დაძოლდეს... დრო მოგცოს სხუა ყურანი... ახალი... ღველა დრო, თავის ყურანი მოგცოს...

სატინი. ჰო, რასაკვირველია... მოვიდა დრო და მოგვცა:—„დებულება სასჯელთა შესახებ...“ ეს მაგარი კანონია... ჩქარა ვერ გასცვეთ!...

ნასტია. (მაგიდაზე ჯიქას დაარტყამს). რისთვის, რათა ვცხოვრობ აქა... თქვენთან? წავალ საითმე... დედა-მიწის კიდურზე წავალ!

ბარონი. ფეხშველა ფეხით, ლედი?

ნასტია. მთლათ შიშველი... სულ ბობღვით ვივლი...

ბარონი. ეშვენიერი სანახაობა იქნება, ლედი... თუ ბობღვით წახვალ.

ნასტია. დიახ, წავალ, რომ მოვშორდე შენი ნავსი სახის მზერას. ახ, ყველაფერი შემძაგდა... მთელი ცხოვრება... მთელი ხალხი...

სატინი. როცა მიდიოდე, მსახიობიც თან წაიყვანე.. ისიც იქით მოდის... გაუგია, რომ დედა-მიწის კიდის იქიდან, სულ ნახევარი ვერსის მანძილზე, საავადმყოფო აუგიათ ორგანონისათვის.

მსახიობი. (ფეჩიდან თავს გადმოჰყოფს). ორგა-ნი-ზმისა-

თვის, შე გამოსულელებულო!

სატინი. ოლკოლოლით მოწამლულ ორგანონისათვის.

მსახიობი. დიახ, ის წავა! ის წავა... აი, ნახავთ!

ბარონი. ვინ ისა, სერ?

მსახიობი. მე!

ბარონი. Mersi, ღმერთთა მსახურო... რა ჰქვიან? დრამათა და ტრაგედიათა ღმერთავ... რა ერქვა?

მსახიობი. მუზა, შე ბრიყვო! ღმერთა კი არა, მუზა!

სატინი. ლახეზა... გერა... აფროდიტა... ატროპა... ქაჯეშმაკიც ვერ გაარჩევს! ეს სულ იმ მოხუცმ გადარია... გესმის, ბარონ?

ბარონი. მოხუცი—სულელი იყო!

მსახიობი. უმეცრებო! ველურო მხეცებო! მელ-პო-მენა! თქვე უსულ-გულო არსებანო! თქვენ დაინახავთ რომ ის წავა... „პირქვე დაემხე... ბნელო გონებავ...“ ლექსი ბერანჟერისა... დიახ!.. ის იპოვნის თავისთვის ბინას... სადაც არ არის .. არ არის...

ბარონი. სადაც არაფერი არ არის, სერ?

მსახიობი. დიახ! არაფერი! „სამარე ჩემი ეს ღრმა ორმოა... ვკვდები უძლური და უბედური...“ რისთვისა სცხოვრობთ, რისთვის?

ბარონი. შენ ეი! „კინი ხარ თუ გენიოსობა და სალახანობა“—რალაცა... ნუ ღრიალებ...

მსახიობი. მიჰქარავ! უნდა ვიღრიალო!

ნასტია. (მაგიდიდან თავს აიღებს და ხელებს აფართხალებს). იყვირე! დეე, გაიგონ!

ბარონი. რათა, რა მოსაზრებით, ლედი?

სატინი. თავი დაანებე ბარონ! ჯანდაბას მაგათი თავი! იყვირონ, თავები იმტვრიონ! დაანებე თავი!.. ეგ უაზრობა არ არის... ნურას დაუშლი ადამიანს, როგორც მოხუცი იტყოდა ხოლმე. ეს იმან, სიმჟავეთა დედამ, დაგვამჟავა მასთან მცხოვრებნი და...

კლეშჩი. და თითონ კი სიდლაც გაჰქრა... გზაც არ გვიჩვენა.

ბარონი. მოხუცი არამზადაა!

ნასტია. სტყუი! შენ თითონა ხარ არამზადა!

ბარონი. ცოც, ლედი!

კლეშჩი. სიმართლე არ უყვარდა მოხუცს... ძლიერ იყო ამხედრებული სიმართლის წინააღმდეგ... ეგრეც უნდა! მართალია! რა საჭიროა სიმართლე? უმისოთაც სული გვხდება... აგერა კნიაზი... მუშაობის დროს ხელი დაუშავდა... თითქმის

ერთიანად ჩამოხერხვა მოუნდება .. ესეც შენი სიმართლე!

სატინი. (მაგიდას ხელს დაარტყავს) ხმა ჩაიწყვიტეთ! თქვენ, ყველანი, პირუტყვები ხართ... დაეხსენით მოხუცს! (მშვიდათ). ბარონ, შენ ყველაზე უარესი კაცი ხარ! არაფერი არ იცი... და ცრუობ! მოხუცი არამზადა არ არის... რა არის სიმართლე? ადამიანი—აი სიმართლე! მოხუცმა ეს იცოდა! თქვენ კი არაფერი არ იცით! თქვენ უგრძნობელნი ხართ! მე ვიცნობ მოხუცის სულს... დიახ! მოხუცი ცრუობდა, მაგრამ ებრალებოდით და მიტომ ცრუობდა, თქვე წყეულნო, თქვენა! თქვენი სიბრალულის გამო ცრუობდა! არიან ხალნი, რომელნიც მახლობელის სიბრალულისა გამო ცრუობენ... მე ეს ვიცი! წამიკითხავს!.. შვენიერად, აღმაფრთოვანებლად, გულის აღმძვრელადა ცრუობენ!.. არის სიცრუე მანუგეშებელი, სიცრუე შემარიგებელი... სიცრუე ამართლებს იმ ტვირთს, რომელმაც მუშას მარჯვენა გაუსრისა... და ამაყუნებს იმათ, რომელთაც შიმშილით სული ხდებათ... მე ვიცნობ სიცრუეს.. ვინც სულით ღატაკია და ვინც სხვისი ოფლითა ცხოვრობს—იმათ სჭირდებათ სიცრუე... ეს სიცრუე პირველს ამაგრებს, ხოლო მეორე—ამ სიცრუეს ეფარება ზურგს უკან... ვინც თავის თავის ბატონია, ვინც დამოუკიდებელია და სხვისი ნაშრომით არ იკვებება,—მისთვის სიცრუე რა საჭიროა? სიცრუე-რელიგიაა მონებისა და პატრონების .. სიმართლე—ღმერთია თავისუფალი ადამიანისა!

ბარონი. ვაშა! შვენიერათა მსჯელობ! გეთანხმები? შენ ისე ლაპარაკობ, როგორც რიგიანი ადამიანი!

სატინი. რატომ შულერს არ შეუძლია ზოგჯერ რიგიანი ლაპარაკი... თუ კი რიგიანი ხალხი... შულერებივითა ლაპარაკობენ? . დიახ, მე ბევრი რამ დამავიწყდა, მაგრამ ცოტაოდენი კიდევ ვიცი... მოხუცი? ის გონიერი კაცია! როგორც სიმჟავე მოქმედობს ჟანგიან ფულზე, ისე მან ჩემზე იმოქმედა... დავლიოთ მოხუცის სადღეგრძელო! დაასხი...

ნასტია. (ჭიქაში ლუდს დაასხამს და სატინს მიაწვდის).

სატინი. (სიცილით) მოხუცი თავისითა ცხოვრობს... ის ყველაფერს თავისი თვალითა ზომავს... ერთხელა ვკითხე: ბიძია! რისთვისა ცხოვრობს ხალხი? (ცდილობს ლუკას ლაპარას და მიმოხვრას მიჰბაძოს). უკეთესისათვის, ჩემო კარგო, უკეთესისათვის! აი, ვსთქვათ, ცხოვრობენ დურგლები და სხვა ამ გვარი დაბალი ხალხი... ამთგან იბადება დურგალი... ისეთი დურგალი, რომლის მსგავსი ჯერ დედა-მიწას არ უნახავს... ყველას აჭარბებს და მისი ბადალი, სადურგლო საქმეში, არავინ

არის!.. თავის ხელობას აყვავებს, სახ ერებ ს აძლევს და საქმეს მთელი ოცი წლით წინა სწევს... ასე არიან სხვებიც... ასევე არიან:—ზეინკალი, მეჩექმე, სხვა და სხვა მუშა ხალხი და გლეხები.. თითონ ბატონებიც კი უკეთესისათვ-სა ცხოვრობენ .. ყველასა ჰგონია,—მარტო ჩემი თავისათვისა ვცხოვრობო, მაგრამ ირკვევა, რომ თავისათვის კი არა, უკეთესისათვისა ცხოვრობენ... ასი წლობით, და შეიძლება მეტითაც—„უკეთესისათვისა ცხოვრობენ, ჩემო კარგო!“ (ნასტია დაყინებით შეჰყურებს სატინს; კლეშჩი გარმონის კეთებას თავს ანებებს და ყურს უგდებს; ბარონი თავდახრილია და მაგიდაზე ოდნავ აკაკუნებს თითებით. მაახიობს ფეჩიდან თავი გადმოუყვია და სიფრთხილით—ტახტზე გადმოსვლას აპირებს).

სატინი. „ყველა, ვისაც კი ხედავ, ყველა უკეთესისათვისა ცხოვრობს, ჩემო კარგო! ამიტომაც—ყოველი ადამიანი უნდა გვიყვარდეს... ჩვენ ხომ არ ვიცით, ეს ადამიანი ვინ არის, რისთვის დაიბადა და რის გაკეთება შეუძლიან... შესაძლოა, ის ჩვენდა საბედნიეროთ დაიბადა. . ჩვენდა სასარგებლოთ? განსაკუთრებით, ბავშვები უნდა გვიყვარდეს... ახალგაზდები... ახალ-გაზდობას ფართო გზა უნდა მივცეთ... ბავშვებს სიცოცხლეს ნუ შეუზღუდავთ... ბავშვები გიყვარდეთ!“

ბარონი. (დაფიქრებული). მმ—დიახ... უკეთესისათვის... მაგ სიტყვებზე მაგონდება: ჩვენი ოჯახი... ძველი გვაროვნობა... ეკატერინეს დრო... თავად-აზნაურები... მეომარნი... საფრანგეთიდან გადმოხვეწილნი... მსახურებდნენ... მაღალ ხარისხამდე ადიოდნენ... ნიკოლოზ I-ლის დროს, პაპა ჩემს, გუსტავ დებოლს... მაღალ ხარისხოვანი ადგილი ეჭირა... სიმდიდრე... ასობით ყმა... ცხენები... მზარეულები...

ნასტია. ცრუობ! მაგ გვარი არა ყოფილარა!

ბარონი. (წამოხტება). რაო? აბა, აბა, შერე?

ნასტია. მაგ გვარი არა ყოფილარა!

ბარონი. (ყვირის). სასახლე მოსკოვში! სასახლე პეტერბურგში! კარეტები! ღერბებიანი კარეტები! (კლეშჩი გარმონს აიღებს, ადგება და ვვერდზე გადადის,—საიდანაც ამ სცენას თვალს ადევნებს).

ნასტია. არა ყოფილა.

ბარონი. ციც! მე შენ გეუბნები... ათობით ხელზე მოსამსახურე!

ნასტია. (სიამოვნებით). არა ყოფილა!

ბარონი. მოგკლავ!

ნასტია (გასაქცევათ ემზადება). თქვენ კარეტა არა გქონიათ... ტყუილია!

სატინი. თავი დაანებე, ნასტენკა! ნუ აბოროტებ მაგ კაცს'

ბარონი. დამბცა... შე ქუჩის ტალახო! პაპა ჩემი...

ნასტია. პაპა არა ყოფილა!.. არაფერი არა ყოფილა! (სატინი იცინის).

ბარონი. (სიბრაზისაგან დაქანცული სკამზე ჩამოჯდება). სატინ, უთხარი მაგ ნათრევს, რომ... შენც იცინი? არც შენა გჯერა? (მაგიდაზე ხელს დაარტყავს და სასოწარკვეთილი დაიყვირებს). ქაჯ-ეშმაკს თქვენი თავი... ყველა ეს იყო... მოხდა!

ნასტია. (გახარებული). ა-ა, აენთე? ხომ გაიგე რა ემარ-თება ადამიანს, როდესაც არ უჯერებენ?

კლეშჩი. (მაგიდასთან მიდის). მე მეგონა ჩხუბი მოხდება-მეთქი...

თათარი. ახ, ბრიოლვი ხალხი.. ძალიან ოხორო ვარ!

ბარონი. მე არ შემიძლიან დაცინვის ატანა! მე დასა-ბტკიცებელი საბუთები მაქვს... წერილობითი საბუთები, შე ალ ქაჯო, შენა!

სატინი. გადაყარე! და ის პაპი შენის კარეტაც დაივი-წყე... იმ კარეტით ვერსად ვერ წახვალ...

ბარონი. არა, როგორა ბედავს, რომ...

ნასტია. როგორა ბედავს?! არა, თუ ღმერთი გწამს, მართლა?

სატინი. ხომ ხედავ, რომ ბედავს! რითია ეგ შენზე უა-რესი?—თუნდაც მაგას წარსულში, არამც თუ შენასავით კა-რეტა და პაპა, უეჭველია, დედ-მამაც კი არა ჰყოლია...

ბარონი. (დამშვიდდება). ეშმაკმა იცის... შენ შეგიძლიან დამშვიდებული ლაპარაკი და მე კი ეგეთი ხასიათი არა მაქვს...

სატინი. მაშ მომართე! გამოგადგება. (პაუზა). ნასტია! საავადმყოფოში დაიარები?

ნასტია. ვისთან?

სატინი. ნატაშასთან.

ნასტია. დროზე არ მოგაგონდა! რამდენი ხანია გამო-ეწერა საავადმყოფოდან... გამოვიდა და დაიკარგა... აღსადა სჩანს.. აი რა ძოხდა!

სატინი. ყველაფერი ახდა!

კლეშჩი საყურადღებოა, ვინ ვის ჩაბოჭავს?—ვასკა ვა-სილისას თუ ვასილისა ვასკას?

ნასტია. ვასილისა თავს დააძვრენს... მეტად გაქნილია! ვასკას კი კატორღისაკენ გაასეირნებენ!

სატინი. ჩხუბში კაცის შემოკვლა—ციხითა თავდება.

ნასტია. სამწუხაროა. კარტორღაში, რომ გაეგზავნათ, სჯობდა... ყველანი იქა ხართ გასაგზავნი... უნდა შეგაქუჩონ

ნაგავივით და სადმე ორმოში ჩაგყარონ!

სატინი. (გაკვირვებული). რა ღმერთი გაგიწყრა? გაცოფდი თუ?

ბარონი. დამაცათ ერთი მაგ სისულელისათვის ყურში გაუთხლაშუნო!

ნასტია. შინჯე! ხელი მახელი!

ბარონი. დიახ, ვშინჯავ!

სატინი. თავი დაანებე, ხელს ნუ ახლებ... ნუ აწყენინებ ადამიანს!.. ის მოხუცი თავიდან აღარა მშორდება... (იცინის). ნუ აწყენინებ ადამიანს! და თუ მე ერთხელ მაწყენინეს და ამან მთელი სიცოცხლე მომიწამლა? როგორ მოვიქცე? შევუნდო? არავის მოვკითხო? არავის... არაფერი...

ბარონი. (ნასტიას). უნდა გახსოვდეს, რომ მე შენი სწორი არა ვარ! შე... ნარეცხო...

ნასტია. ოჰ, შე უბედურო! შენ ხო მჩემით ისევე იკაებები, როგორც მატლი „ვაშლით!“ (ყველას ერთბაშათ წასქდება სიცილი).

კლეშჩი. აი, შე სულელო! შე ვაშლო, შენა!

ბარონი. გაჯავრებაც კი ვერ მომიხერხებია.. რა რეგვენია!

ნასტია. იცინით? მიჰქარავთ! თქვენ სასაცილო არა გაქვთრა!

მსახიობი. (მოღუშული). არ მოეშვა! აგრე მაგათ!

ნასტია. რომ შემეძლოს... მე თქვენ... მაგიდიდან ჭიქას აიღებს და იატაკზე დაანარცხებს). აი რა!

თათარი. ჯურჯელი რად გადეხოს? ე-ე... მუჯრეგ!

ბარონი. (წამოდგება). დამაცათ... მე მაგას ვუჩვენებ თამაშას!

ნასტია. (გაიქცევა). აი, მგელმა დაგჭამოთ ყველანი!

სატინი (ნასტიას). კმარა! ვის აშინებ? რა მოხდა? რა დაგემართა?

ნასტია. მგლებო! ჩაძაღლდით! ჩაძაღლდით!

მსახიობი. (მოღუშული). ამიხ! ამინ!

თათარი. უ-უ... ურუსის გალი... ანჩხლი ვარ! თათარი არა... თათარი ქალი განონი ვიცის ..

კლეშჩი. მაგას დაბეგვა უნდა.

ბარონი. საძაგელი!

კლეშჩი. (გარმონსა სინჯავს). მზათ არის! პატრონი კი არა სჩანს...

სატინი. გეყოფა.,. ეხლა მოდი და დალიე!

კლეშჩი. გმადლობ! დროა დავიძინოთ.

სატინი. თან და თან გვეჩვევი,არა?

კლეშჩი. (დალევს და კუთხეში წავა-ტახტთან). არა. უშავს-

რა... ყველგან ხალხია... პირველში ვერ ამჩნევ ამას... მერე თვალს გაახელ და დაინახავ, რომ ყველგან ხალხია... არა უშავსრა..(თათარი ტახტზე რაღაცას გაშლის, დაიჩოქებს და ლოცულობს).

ბარონი. (სატინს თათარზე უთითებს). უყურე!

სატინი. თავი დაანებე! ეგ კარგი ყმაწვილია! ნუ უშლი! (იცინის). მე დღეს ძალიან კეთილ გულზე ვარ... მერე რათა? ეშმაკმა იცის!..

ბარონი. შენ ყოველთვის კეთილი და ჭკვიანი ხარ, როდესაც დალევ!

სატინი. როდესაც დავლევ... როდესაც მთვრალი ვარ... ყველაფერი მომწონს... ჰო, დიახ. . ის ლოცულობს? ძალიან კარგი.. ადამიანი რწმენას არჩევს თუ ურწმუნობას, ეს თავის საქმეა! ადამიანი—თავისუფალია! ყველაფრის პასუხის მგებელი თითონ არის ადამიანი!.. რწმენისთვის, ურწმუნოებისათვის, სიყვარულისათვის, უჭკოობისათვის — ყველაფერზე თითონ აგებს პასუხს ადამიანი და ამიტომაც თავისუფალია! ადამიანი— აი სიმართლე და ჭეშმარიტება! ვინ არის ადამიანი?—ეს არც შენა ხარ, არც მე, არც ისინი .. არა! მაშ ვინ არის ადამიანი?—შენ, მე, ისინი, მოხუცი, ნაპალეონი, მაჰმადი... ყველა ერთად! (თითებით ჰაერზე კაცის აგებულებას გამოხატავს). გესმის?.. ეს დიდებულია! ამაშია დასაწყისიც და დასასრულიც! ყველაფერი ადამიანშია... ყველაფერი ადამიანისათვის არის... არსებობს მხოლოთ ადამიანი და სხვა ყველაფერი—მისი მარჯვენის და გონების ნამოქმედარია! ადამიანი! ეს ყველაფერზე უმაღლესია! ეს სიტყვა ყველგან ამაყათ გაისმის! ადამიანი! თაყვანი ეცით ადამიანს.. ნუ შეიბრალებთ... ნუ დააბკირებთ მას სიბრალულით... არა! თაყვანი ეცით! შეიყვარეთ ადამიანი! ბარონ! დავლიოთ ადამიანის სადღეგრძელო! (ადგება). კარგია როდესაც შენ თავს ადამიანათა გრძნობ. მე კი, მე ნატუსაღარი, კაცის მკვლელი, შულერი ვარ! ჰო, დიახ! როდესაც ქუჩაზე გავივლ-,—ხალხი ისე მიყურებს, როგორც გარყვნილს და გათახსირებულ ადამიანს... მერიდებიან... მათვალიერებენ... და ხშირად მომძახიან კიდეც: არამზადავ! გარყვნილო! იმუშავე! ვიმუშავო? რათა? რისთვის? იმიტომ, რომ მაძღარი ვიყო? (იცინის). მე ყოველთვის მძულდნენ ის ხალხნი, რომელნიც მხოლოთ იმაზე ზრუნავდნენ, რომ მუდამ მაძღარი ყოფილიყვნენ... არა, ბარონ! საქმე ეს როდია... არა, არა და არა! კაცი მაღლა სდგას, ბარონ! კაცი-კუჭზე მაღლა სდგას!

ბარონი (თავის ქნევით). შენ შვენიერათა მსჯელობ... ეგ, უეჭველია, სევდას გინელებს და გულს გეშვება... მე არა მაქვს მაგის ნიჭი... რ შემიძლიან.. ვერ ვახერხებ... (გარშემო იყურება, ჩუმათ და ფრთხილათ). მე, ჩემო ძმაო, მეშინიან, გესმის? ვკანკალებ... ვცახცახებ...

სატინი. (დადის). სისულელეა! ვისი უნდა ეშინოდეს ადამიანს?

ბარონი. იცი... რაც თავი შემისწავლია, ჩემ თავში მუდამ რაღაც ნისლ-ბურუსი ირევა... ყოველთვის არა მესმოდარა... მე .. ეს როგორღაც უხერხულია... მე მგონი, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე, ტანთ-საცმელის შეცვლის მეტს არას ვაკეთებდი! და ეს რისთვის? არ ვიცი! ვსწავლობდი, თავადაზნაურთა ინსტიტუტის მუნდირი მეცვა.. რასა ვსწავლობდი? აღარ მახსოვს... ჯვარი დავიწერე .. ჩავიცვი ფრაკი, მერე ხალათი... ცოლათ ყოველთ უვარგისი ქალი შევირთე! და მერე რათა?—არ ვიცი! რაც კი რამ გამაჩნდა, მთლათ შეძოვხარჯე .. ჩავიცვი რაღაც ნაცრის ფერი პინჯაკი და ყვითელი შალვარი... ჩემი დაცემა და განადგურება—ვერ შევამჩნიე... სახაზინო პალატაში ვმსახურებდი... მუნდირი, კაკარდიანი ქუდი... სახაზინო ფულები გავფლანგე... ჩამაცვეს ტუსაღის ხალათი... მერე ჩავიცვი ეს ტანთ საცმელი... თითქოს ყველა ეს—სიზმარი... ან... ჰა? ეს სასაცილოა...

სატინი. არც მაგდენად... ჩქარა უფრო სიბრიყვეა!

ბარონი. დიახ .. მეც აგრე მგონია, რომ სიბრიყვეა... მაგრამ ხომ რაიმესათვის დავიბადე?

სატინი (სიცილით). უეჭველია... ადამიანი უკეთესისათვის იბადება! (თავს აქნევს). დიახ . . კარგია!..

ბარონი. ეს ნასტენკა საით გაიქცა? წავიდე ერთი ვნახო... რაც უნდა იყოს, ის ჩემი... (გადის. პაუზა).

მსახიობი. (თათარს). ძმაო, გამიგონე... (პაუზა). კნიაზ... (თათარი თავს მისკენ მიიბრუნებს). ილოცე... ჩემთვის ილოცე...

თათარი. რაო?

მსახიობი. (ნელად). ილოცე... ჩემთვის!..

თათარი. (გაჩუმდება). თუთონ ილოცოს...

მსახიობი. (საჩქაროთ ჩამოდის ფეჩიდან, მაგიდასთან მივა, აკანკალებული ხელით დაისხამს არაყს, დალევს და თითქმის სირბილით გადის დერეფანში). წავიდა!

სატინი. ეი, სიკამბრ! საით? (უსტვენს. შემოდიან ბუბნოვი და მედვედევი. მედვედევს ქალის კოფთა აცვია. ორივენი ოდნავ ნასვამები არიან. ბუბნოვს ერთ ხელში კანაფზე ასხმული კრენდელები უჭირავს, მეორეში რამდენიმე ცალი ტარანი. ერთი ბოთლი არაყი ილლიაში აქვს ამოდებული და მეორე პინჯაკის ჯიბეში უძევს).

მედვედევი. აქლემი... ზედ-გამოპრილი ვირია! მაგრამ ყურები არა აქვს!...

ბუბნოვი. დაეხსენ! შენ თითონა ხარ ვირი!

მედვედევი. ვირს ყურები არა აქვს, მაგრამ ცხვირის ნესტოებით ესმის·

ბუბნოვი. (სატინს). მეგობარო! მე შენს ძებნაში ყველა ტრახტირები და მიკიტნის დუქნები გადავყლაპე! ჩამომართვი ბოთლიკა... ხომ ხედავ, ხელი-ხელთ არა მაქვს!

სატინი. კრენდელები მაგიდაზე დააწყე და ერთი·ხელი გაგინთავისუფლდება.

ბუბნოვი. რაც მართალია—მართალია! შენ ეი! ათის თავი ხარ თუ რაღაც ვირის თავი... ხედავ, რა ჭკვიანია?

მედვედევი. ავაზაკი ხალხი—სულ ჭკვიანები არიან... მე ვიცი! ისინი უჭკოთ ვერ იცხოვრებენ... კარგი კაცი,—სულელიც რომ იყოს, მაინც--კარგია! ცუდი კაცი-კი,—უთუოდ ჭკუის პატრონი უნდა იყოს... რაც შეეხება აქლემს, შენ სტყუი... ის მოსიარულე პირუტყვია... რქები არა აქვს... არც კბილები... დიახ...

ბუბნოვი. სად არის ხალხი? რატომ აქ არ არიან? მოდით... მოგრეკვდიო... მე გპატიჟობთ... ვინ არის მანდ კუთხეში?

სატინი. მალე გაფლანგავ სმაში შენს ქონებას? აი შე საფრთხობელის გუდავ!

ბუბნოვი. მალე, მალე! ამ ხელად ცოტაოდენი კაპიტალი შევაგროვე... ზობ! სად არის ზობი?

ძლეშჩი. (მაგიდასთან მიდის). აქ არა სჩანს.

ბუბნოვი. უ-უ-რრრ! ბოთვერ! ბრრიუ, ბლიუ, ბლიუ! ინდაურო! ნუ იყეფები, ნუ ღრინავ! დალიე, ცხვირი ნუ დაუშვი, იქეიფე, ჭვინტაკები აუშვი! ყველას მე გპატიჟობთ! დაპატიჟება მიყვარს! მე რომ მდიდარი ვყოფილვიყავ, უფასო ტრახტირს გავხსნიდი... ღმერთმანი! მუსიკით და მომღერალთა გუნდით! მოდი, ჭამე, სვი, სიმღერა მოისმინე! სული მოიბრუნე! ღარიბო ძმაო, მოდი ჩემთან, უფასო ტრახტირში... სატინ, მაშინ შენ... იცი, შენ.. მიიღე ჩემი კაპიტალის ნახევარი ... მიიღე!

სატინი. რაც ფული გაქვს სულ მომეცი... ეხლავე...

ბუბნოვი. მთელი კაპიტალი? ისიც ეხლავე? აჰა! ეს მანეთი... აი კიდევ... ორი უზალთუნი... შაურიანები... შვიდიანები... სულ...

სატინი. ძალიან კარგი... მთლად მე მებარება... ამ

ფულებით ქალალდს ვითამაშებ!

მედვედევი. მე მოწმე ვარ... მიბარებულია ფული შესანახათ... სულ რამდენია?

ბუბნოვი. შენა? შენ აქლემი ხარ!.. ჩვენ მოწმები არ გვინდა.

ალიოშკა (შემოდის ფეხ-შიშველი). ძმებო! ფეხები დავისველე!

ბუბნოვი. მოდი ახლა ყელი ჩაისველე... მორჩა და გათავდა! ჩემო კარგო... შენ შვენიერათა მღერი და თამაშობ... ეგ ძალიან კარგია! სმით კი—ტყუილათა სვამ! ეგ, ჩემო ძმაო, მავნებელია .. სმა-მავნებელია!

ალიოშკა. ზედ არ გეტყობა! შენ როცა დაითვრები, მხოლოთ მაშინა ჰგევხარ ადამიანს! კლეშჩ, გარმონი გააკეთე? (მღერის და თამაშობს).

ეხ!—ჩემო დალმეჭილო სახევ,
ვარდის კონ,ას, რომ არ ჰგვანდე,
მაშინ შენსა ნათლი-დედას,
მითხარ, რათ უნდა უყვარდე?!
გავიყინე, ძმებო! ცივა!

მედვედევი. არ შეიძლება გკითხოთ: ვინ—არის ეგ ნათლი-დედა?

ბუბნოვი. დაეხსენ... შენ ეხლა, ჩემო ძმაო, ტიუ-ტიუ!.. ეხლა ხომ დარაჯი აღარა ხარ... მორჩომილი საქმეა! შენ აღარც მათი მფარველი დარაჯი ხარ და აღარც ბიძა!..

ალიოშკა. არამედ,—უბრალოდ,—დეიდის ქმარი ხარ!

ბუბნოვი. ერთი შენი დისწული ციხეშია. . მეორე კი კვდება.

მედვედევი. (ამაყათ). სტყუი! ის არა კვდება. ის მე უკვალოთ დავკარგე! (სატინი იცინის).

ბუბნოვი. ეგ სულ ერთია, ჩემო ძმაო! რაკი დისწულები აღარა გყავს, აღარც ბიძა ხარ!

ალიოშკა. თქვენო აღმატებულებავ! ვირ-თხების უსტაბაშო!

თუმცა ჩემსა ნათლი-დედას
ბლომათა აქვს ოქრო, ფული,
მაგრამ ნაცვლათ მე ვარ ბიჭი,
მეტად კარგი, მხიარული!
ცივა! ცივა! (შემოდის ზობი. შემდეგ—მოქმედების დასასრულამდე—შემოდიან რამდენიმე ქალი და კაცი; ტანთ იხდიან, ტახტზე მოთავსდებიან და ზოზინობენ).

კრივოლიზობი. ბუბნოვ, რათ გამოგვექეცი?

ბუბნოვი. აქ მოდი! დაჯექ... შემოვძახოთ, ძმაო, ჩვენი საყვარელი სიმღერა...

თათარი. ღამე ზილი უნდოს... სიმღერა დღე უნდო თქოს...

სატინი. არა უშავსრა, კნიაზ... შენც აქ მოდი.

თათარი. როგორ არა უშოვსრა?.. ღვირილი იქნება... როძა იმღეროს... ღვირილი იღოს...

ბუბნოვი. (მიდის მასთან). კნიაზ! ხელი როგორა გაქვს? მოგჭრეს?

თათარი. რად მოჯროს? დავისადოს... იქნება მოჯრო არ უნდოს .. ხელი რგინა არ არის... გვიან არ მოჯროს .

ძრიგოლიზობი. იამანათ არის შენი საქმე, ასანკა! უხელოთ არაფრათ არ ვარგიხარ! ჩვენი კაცი, ხელით და ზურგითა ფას ება! უხელოთ, კაცი—კაცი არ არის. მორჩა და გათავდა!

ქვაშნია. (შემოდის). ჩემო კეთილო და საყვარელო მეგობრებო! აბა ერთი გარეთ გაიხედეთ... გარეთ! სიცივე, თოვლ-ჭყოპი... ჩემი მფარველი დარაჯი აქ არის? დარაჯო!

მედვედევი. აქა ვარ!

ქვაშნია. ისევ ჩემ კოფთას დაათრევ? თითქოს გადაგიკრავს კიდეც... ეს რა ამბავი?

მედვედევი. ეს ბუბნოვის სახელ-წოდების დღესასწაულის გამო მოხდა... ცივა კიდეც... თოვლ-ჭყოპია...

ქვაშნია. შენ ეი! მიფრთხილდი! თოვლ-ჭყოპია! წადი, დაიძინე...

მედვედევი. ძილი შემიძლიან... მეძინება... დროც არის... (გადის სამზარეულოში).

სატინი. რა ძალიან მკაცრათ ექცევი?

ქვაშნია. სხვაფრივ არ შეიძლება, ჩემო კარგო! მაგ გვარ კაცს, მკაცრათ უნდა მოექცე... მე ეგ ჩემთან საცხოვრებლათ ავიყვანე: მეგონა, რაიმე სარგებლობას ; ვნახავდი... რადგან სამხედრო კაცია... თქვენ თავს ეგ ვარჩიე... თქვენ თავხედი და აუტანელი ხალხი ხართ... ის მე მჭირია როგორც ქალს... ხომ გესმის? და რაც შეეხება სმას...

სატინი. ცუდი ხელ-ქვეითი ამოგირჩევია, ცუდი!

ქვაშნია. უკეთესი, რომ არ არის?.. შენ ჩემთან ცხოვრებას არ ინდომებ... და რომ იცხოვრო კიდეც,.ერთ კვირას არ გადააცილებ..შენ მე ქალალდში წამაგებ ჩემი ჩიჟი-პიჟიპებით!

სატინი. (ხარხარებს). მართალი ხარ, ქალბატონო! წაგაგებ!

ქვაშნია. ჰო და, საქმეც ეგ გახლავს! ალიოშკა!

ალიოშკა. აქ გახლავართ!

ᲥᲕᲐᲨᲜᲘᲐ. შენ ჩემზე რაებსა ყბედობ, ჰა?

ᲐᲚᲘᲝᲨᲙᲐ. მე? ყველაფერს! ღმერთმანი. საკვირველი, გასაოცარი დიაცია-მეთქი, ვიძახი! ხორცი. სიმსუქნე, ძვლები —ათი ფუთი აქვს და ტვინი კი ერთი მისხალიც არ გამოუვა-მეთქი!

ᲥᲕᲐᲨᲜᲘᲐ. მაგას კი სტყუი! ტვინი საკმაოდ დიდი მაქვს! არა, შენ გითქვამს ვითომც მე ჩემ სატრფოსა ვცემდე...

ᲐᲚᲘᲝᲨᲙᲐ. მე მეგონა სცემდი, როდესაც თმით დაათრევდი...

ᲥᲕᲐᲨᲜᲘᲐ. (სიცილით). სულელო... ვითომც ვერა ხედავ! ჩვენი ოჯახის ნაგავი კარში რათ უნდა გავიტანოთ? იმას ეგ მეტათა სწყენია... და გაჯავრებულმა ხელ-ახლათ დაიწყო სმა...

ᲐᲚᲘᲝᲨᲙᲐ. მაშ მართალი ყოფილა, რომ ამბობენ, ქათამიცა სვამსო! (სატინი და კლეშჩი ხარხარობენ).

ᲥᲕᲐᲨᲜᲘᲐ. უჰ, ღრეჯია! ერთი მითხარ, შენ რა კაცი ხარ?

ᲐᲚᲘᲝᲨᲙᲐ. პირველი და უმაღლესი ხარისხის კაცი ვარ! ყველაფერში ხელი მაქვს! საითაც თვალი გახედავს, გონებაც იქით მიზიდავს!

ᲑᲣᲑᲜᲝᲕᲘ. (ტახტთან არის. თათარს) წავიდეთ! სულ ერთია, არ დაგაძინებთ! ვიმღეროთ... მთელი ღამე ვიმღეროთ... ზობ!

ᲙᲠᲘᲕᲝᲚᲘᲖᲝᲚᲑᲘ. სიმღერა? შეიძლება...

ᲐᲚᲘᲝᲨᲙᲐ. მე კიდევ დაუკრავ ..

ᲡᲐᲢᲘᲜᲘ მოვისმენთ!

ᲗᲐᲗᲐᲠᲘ. (ღიმილით). აბა, შაითან ბუბნა... მოიდა ღვინო... ღვინო დალიოს, ჯავრი დალიოს, როზა სიკუდილი მოვიდოს, სული დალიოს!..

ᲑᲣᲑᲜᲝᲕᲘ. დაუსხი, სატინ! ზობ, დაჯექ! ეჰ, ძმებო! კაცისათვის განა ბევრი რამეა საჭირო? აი, დავლიე და გავმხიარულდი! ზობ, დაიწყე... ჩვენი საყვარელი სიმღერა... ვიმღერებ და ავტირდები...

ᲙᲠᲘᲕᲝᲚᲘᲖᲝᲚᲑᲘ. (მღერის). მზე შუქს ჰფენს არე-მარეს...

ᲑᲣᲑᲜᲝᲕᲘ. (ჩამოაოთმევს). ჩემ საკანში კვლავ ბნელა... (საჩქაროთ კარი გაიღება).

ᲑᲐᲠᲝᲜᲘ. (კარის ზღუდესთანა დგას და ყვირის). ეი... ხალხნო! აქ მოდით! ᲐᲥᲔ... უდაბნოში.. მსახლობს... თავი ჩამოუხრჩვია!.. (სიჩუმე. ყველანი ბარონს შესცქერიან. მის ზურგს უკან ნასტია გამოჩნდება და თვალებ-დაბეჟეტილი, ნელი ნაბიჯით, მაგიდასთან ჩიდის).

ᲡᲐᲢᲘᲜᲘ. (ხმა დაბლა). ეხ... სიმღერა შეგვაშლევინა... სულელი!

ᲤᲐᲠᲓᲐ.